

# თენგიზ ცეცხლაშვილი



**ლევან ღლონტი**  
სიყვარულის მასწავლებელი

თენგიზ ცაცხლაშვილი

# სიყვარულის მასწავლებელი



ბათუმი

2014

ოჯახის წევრების სახელით მადლობა მინდა გადავუხადო: **ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივს, ქალაქ ბათუმის მერიასა და საკრებულოს, აკადემიის წევრებს, მეგობრებს, ნათესავებს და თანაქალაქელებს**, ვინც ოჯახს გვერდით დაუდგა და შეეხიდა ამ ჟამიანობის დროს, ვინც პატივი მიაგო, გაიზიარა ოჯახის სატკივარი და იმასაც, ვინც ვერ მოვიდა გარკვეული მიზეზების გამო, მაგრამ განიცადა და გულთან ახლოს მიიტანა ბატონ **ლევან ლლონტის** გარდაცვალება.

უღრმესი მადლობა ყველას, ვინც დრო გამონახა და თავისი კალმით მიეფერა ჭეშმარიტად ღვაწლმოსილ პიროვნებას, ჩვენი ერის სასიქადულო მამულიშვილს, გააცოცხლა და უკვდავყო ბატონ **ლევან ლლონტის** სახელი.

**როგორც ბატონი ლევანი იტყოდა: „ღმერთმა დაგლოცოთ“!!!**

ავტორი

რედაქტორი

**ანზორ კუდბა**

წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდი ქალბატონ **მანანა სულაბერიძეს**, დებს: **ნესტან, ქეთევანსა** და **თინათინ ჯაიანებს**, ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის **გაიოზ გოგიბერიძის** სახელობის მუზეუმის ხელმძღვანელს **ლევან იაკობაძეს**.

## ბიოგრაფია

**ზურაბ (ლევან) მიტროფანეს ძე ღლონტი** დაიბადა 1937 წლის 5 მარტს ქ. ბათუმში.

1956 წელს დაამთავრა ბათუმის №6 საშუალო სკოლა, სწავლის პერიოდში გატაცებული იყო სპორტით (ფეხბურთი, მძლეოსნობა, კრივი, ველოსპორტი). ფეხბურთის თამაში დაიწყო ბათუმის “ნორჩ დინამოელთა” გუნდში მეკარედ. იყო ბათუმის და აჭარის ნაკრების მეკარე, მძლეოსნობაში, ახალგაზრდებს შორის, ბადროს ტყორცნაში და ბირთვის კვრაში დაამყარა აჭარის რეკორდი და გახდა ჩემპიონი. იყო აჭარის მძლეოსანთა ახალგაზრდული ნაკრების წევრი. შემდგომი კარიერა ძირითადად ფეხბურთს დაუკავშირა. იყო აჭარისა და საქართველოს ნაკრების მეკარედ. საბჭოთა კავშირის პირველობაზე საქართველოს ნაკრებს ზონალურ ვეგუფში პირველი ადგილი ერგო. ხოლო ფინალში 6 თამაშიდან მხოლოდ ერთი წააგო და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. მას ახალგაზრდული ნაკრების შემდეგ შესთავაზეს ბათუმის „დინამოში“ თამაში. გახდა საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონი, აღნიშნული წარმატებისათვის მიენიჭა სპორტული პირველი თანრიგი ფეხბურთში.

1955 წელს სპორტული კარიერა დაასრულა და დაიწყო მზადება შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე ჩასაბარებლად. 1956 წელს ჩაირიცხა დრამის და კინოს მსახიობის ფაკულტეტზე. სტუდენტობის პარალელურ-

რად 1956 წელს მუშაობა დაიწყო შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში სცენის თანამშრომლად და მონაწილეობა მიიღო საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე, რომელიც ჩატარდა ქ. მოსკოვში. მისი სტუდენტობის დროს საქართველოს თეატრების შემოქმედებით ორგანიზაციებს შორის დაიწყო ფეხბურთის ბუმი, რომლის ინიციატორი იყო რუსთაველის თეატრი. ინიშნებოდა ამხანაგური შეხვედრები შემოქმედებით კოლექტივებს შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ: რუსთაველის, მარჯანიშვილის, ბათუმის, გორის, სუხიშვილისა და რამიშვილის სახელმწიფო ანსამბლის ფეხბურთელები. ჩამოყალიბდა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა ნაკრები, რომლის მწვრთნელად მოიწვიეს ლეგენდარული ფეხბურთელი მიხეილ მესხი, ნაკრები ძირითადად დაკომპლექტებული იყო თბილისში მოღვაწე ხელოვანთა შემადგენლობით. იმ პერიოდში ის ბათუმის თეატრში მოღვაწეობდა. იგი მიიწვიეს ნაკრების მკარედ. გადაწყდა შეხვედროდნენ თბილისის “დინამოს” ვეტერან ფეხბურთელებს. შეხვედრამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, თუმცა მსახიობთა გუნდმა წააგო ანგარიშით 4:2, რუსთაველის თეატრის ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდნენ: რამაზ ჩხიკვაძე, კოტე მახარაძე, გიორგი გეგეჭკორი, ნოდარ ჩხეიძე, ჯემალ ლაღანიძე, სოსო ლალიძე, ვალიკო ქურხული, ეროსი მანჯგალაძე, კარლო საკანდელიძე, ბადრი კობახიძე, ნოდარ მარგველაშვილი, ლევან ღლონტი და სხვები. ჰქონდა შეთავაზება, რომ სამუშაოდ დარჩენილიყო რუსთაველის თეატრში, მაგრამ მას მშობლიური ქალაქისკენ მოუწევდა გული. 1960 წელს დაამთავრა ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მსახიობად,

სადაც შესრულებული აქვს 100-ზე მეტი როლი, მათ შორის: ზურიკელა (მე, ბებია, ილიკო და ილარიონი); ტოპაზი (“ტოპაზი”); გაბრო (“გლახის ნაამბობი”); კასიო (“ოტელი”); ელგუჯა (“ზღვა და სიყვარული”); უჯუში (“ჰაკი აძბა”); ზაზა ნაკაშიძე (“საბრალდებო დასკვნა”); თხუნელა (“თხუნელა”); სტენლი კარი (“მკვლევები”); კარანდიშევი (“უმზითვო”); იაშვილი (“თვალი პატიოსანი”); პროფილე (“ჯარისკაცის ქვრივი”); ვაჩე ვაჩეიშვილი (“ვაჩე ვაჩეიშვილი და სხვები”); ლევან ხიდაშელი (“მეშვიდე ცა”); მეოთხე მფრინავი (“მეოთხე”); ჯოუ-ჩუნი (“ტაიფუნი”); ჟივკო (ოსტატები); ანდრეი (“მედაფდაფე”); იაშვილი ვალიკო (წმინდანები ჯოჯოხეთში); სერგო ქავთარაძე (“დრო 24 საათი”); ანდრო ბერტაძე (“განთიადი ხევში”); იაგო (“მამის მკვლელი”); უშიშა (“მინდია”); აზათი (“გადარჩენილი უკვდავება”); გრენგოლი (“გუშინდელნი”); გენერალი რიტნიკოვი (“კიკიძე”); უფლისწული (“ფიფქია და შვიდი ჯუჯა”); ზაზა (ადამიანი დაბრუნდა”); მეცამეტე თავმჯდომარე (“მეცამეტე თავმჯდომარე”) და სხვა.

თეატრალური ახალგაზრდობის რესპუბლიკური დათვალიერების შედეგად პიესაში “ადამიანი დაბრუნდა” ზაზას როლის შესრულებისათვის დაჯილდოებული იყო საქართველოს კულტურის სამინისტროსა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების საპატიო სიგელით, სპექტაკლებში “მეცამეტე თავმჯდომარე” და “მეშვიდე ცა” მის მიერ შესრულებული მეცამეტე თავმჯდომარისა და ლევან ხიდაშელის როლები აღინიშნა შესაბამისი ჯილდოებით.

დაჯილდოებული გახლდათ, როგორც საქართველოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ასევე საკავშირო უმაღლესი ორგანოების დიპლომებითა და საპატიო სიგელებით. აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მისი ინიციატივით და რეჟისორობით ბათუმში პირველად ჩატარდა ახალგაზრდული ღონისძიება “ცისფერი შუქი”, ამავე პერიოდში მონაწილეობდა ბათუმში “მხიარულთა და საზრიანთა” კლუბების ჩამოყალიბებაში და შეჯიბრებების მოწყობაში.

60-იან წლებში ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში დაარსა „მწვანე თეატრი“, სადაც გაერთიანდნენ ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდები. პატარა სცენაზე ფეხადგმული გოგო-ბიჭების დიდი ნაწილი დღეს საქართველოს თეატრებში თუ ქართული ტელევიზიის არხებზე წარმატებით მოღვაწეობენ: საქართველოს ტელევიზიის პოპულარულ გადაცემაში “ცხრაკლიტული”, მის მიერ მომზადებული ბათუმის №16 და №2 საშუალო სკოლების გუნდებმა “ოქრო აჭარის ლაჟვარდში” და “მაჭახელა” პირველი და მეორე ადგილები მოიპოვეს და დაჯილდოვდნენ პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში მოგზაურობის საგზურებით.

1960 წლიდან მის მიერ მომზადებულია 800-მდე ღონისძიება, როგორც ბათუმში, ისე აჭარის რაიონებში. მათ შორის ისეთი სახალხო ზეიმები, როგორიც იყო “ბათუმი – ძმობისა და მეგობრობის ქალაქი” – რომელიც ბათუმში შვიდჯერ გაიმართა, ყვავილების დღესასწაული ბათუმში, დინამოს სტადიონზე ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი ჩატარდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ტბაზე, “ბოლო ზარი” – ბათუმის ზღვისპირა პარკი, ინდოეთის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი – ზღვისპირა პარკი, “ფოლკ-ლორის პირველი საერთაშორისო ფესტივალი” – მემედ აბაშიძის გამზირი. საქართველოში პირველად ჩატარებული “დედის დღე” ხულოში, რომელიც ჩაიწერა და გადასცა საქართველოს ცენტრალურმა ტელევიზიამ, “ტბელობა” – ხულოს რაიონში, “კოლხობა” – ხელვაჩაურის რაიონში, “ახ-

ალგაზრდობის დღე” – ქობულეთში, “შრომის ზეიმი” – ბათუმში და ბევრი სხვა.

დადგმული აქვს ცნობილი კლასიკოსების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეების, მეცნიერების და სხვა პროფესიების მოღვაწეთა საიუბილეო საღამოები და შეხვედრები, მათ შორის: აბუსერიძე ტბელის, ვაჟა ფშაველას, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, ლადო ასათიანის, დავით გურამიშვილის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ანა კალანდაძის, აგრეთვე აჭარაში მოღვაწე მწერლებისა და პოეტების: პარმენ ლორიას, ნესტორ მალაზონიას, მამია ვარშანიძის, ზურაბ გორგილაძის, ფრიდონ ხალვაშის, ამირან ხაბაზის, ჯემალ ჯაყელის და სხვა.

საქართველოს თეატრებს შორის პირველად ბათუმის დრამატულ თეატრში მისი სცენარით და რეჟისურით განხორციელდა თეატრალიზებული სპექტაკლი “ხსოვნა გულისა”, სადაც წარმოჩენილი იყო ყველა ის შემოქმედებითი, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალი, რომლებიც 1937 წლიდან (დრამატული თეატრის დაარსების თარიღი) გარდაცვალებამდე მოღვაწეობდნენ ბათუმის თეატრში, (157 თანამშრომელი).

24 წლის მანძილზე გახლდათ ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი და სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე. თეატრი მართავდა გასტროლებს თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ოზურგეთში, ბულგარეთში, თურქეთში, წარმატებული მუშაობისათვის თეატრს მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

1993 წელს დაინიშნა ახლად დაარსებული ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორად (იყო პირველი დირექტორი) პარალელურად ხელმძღვანელობდა ორ სახელმწიფო სტატუსის მქონე თეატრს.



მსახიობად მუშაობის პერიოდში დაინიშნა ახლად დაარსებული ბათუმის კულტურის ცენტრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად, მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტური თეატრის ხელმძღვანელად, იყო აჭარის კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრი, თეატრის მოღვაწეთა კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე.

1965 წელს ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით ნაყოფიერი მუშაობისა და თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის მიენიჭა აჭარის ა.რ. დამსახურებული არტისტის წოდება, ხოლო 1982 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული ხელოვნების განვითარებაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება. მიღებული აქვს იუსუფ კობალაძის სახელობის სახელმწიფო პრემია. არის ბულგარეთის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი და ოქროს მედლის მფლობელი. არჩულ იქნა მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს ოთხი მოწვევის დეპუტატად, აგრეთვე სხვადასხვა დაქვემდებარების საქალაქო თუ რესპუბლიკური ორგანიზაციების წევრად, ახალგაზრდა შემოქმედთა კავშირის თავმჯდომარედ. ბათუმის საქალაქო საბჭოსთან არსებული გამოჩენილ ადამიანთა უკვდავყოფის კომისიის წევრად. თეატრის პარალელურად მუშაობდა ბათუმის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის რეჟისორად. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

2009 წლის 23 დეკემბერს ბათუმის მერიის გადაწყვეტილებით მიენიჭა საპატიო ბათუმელის წოდება შემდეგი ფორმულირებით; “ქალაქ ბათუმის მერია, გამოხატავს რა მოქალაქეების ნებას, ანიჭებს საპატიო ბათუმელის

წოდებას ბატონ ლევან ღლონტს, ცნობილ მსახიობს და საზოგადო მოღვაწეს, უკეთილშობილეს პიროვნებას, გამორჩეულს თავისი წესიერებით და თავმდაბლობით”. ბათუმის მერი რობერტ ჩხაიძე.

მეუღლე ელენე ვიქტორის ასული პეტრიკევიჩ-ღლონტი დაიბადა სანკ-პეტერბურგში. 1960 წლიდან ცხოვრობს ბათუმში. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ბათუმის კოროზიის ლაბორატორიაში მეცნიერ მუშაკად. პენსიონერია.

ჰყავს ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.

უფროსი მათა მუსიკის პედაგოგია, ცხოვრობს თბილისში.

უმცროსი ნატო ცხოვრობს ბათუმში, მუშაობს ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ადმინისტრატორად.

მამა მიტროფანე დიმიტრის ძე ღლონტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული (სპეციალობით მებაღე-მევენლე) ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1930 წლიდან მოღვაწეობას იწყებს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში განყოფილების გამგედ. გარკვეული პერიოდის შემდეგ ინიშნება ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორად და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ. იყო სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და აღიარებული მკვლევარი-მეცნიერი.

1947 წელს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიაგვლინა იტალიასა და იუგოსლავიაში ზეთისხილის კულტურის შესასწავლად და სარგავი მასალების ჩამოსატანად. მისი რეკომენდაციები და დასკვნები მოწონებული იქნა და დაიწყო აღნიშნული კულტურის გაშენება. იგი აქტიური მონაწილე იყო აჭარის მაღალმთიან რაიონებში

ვაზის კულტურის აღორძინებისა და ჩაისა და ციტრუსების კულტურების განაშენიანებისა. ავტორია ისეთი გამოცემებისა, როგორიცაა: “უცნაური მცენარეები”; “უცნაური ცხოველები”; “ციტრუსოვანთა კულტურები”; “ზეთისხილი”; “ბათუმის ბოტანიკური ბაღი” და გამოსაცემად მომზადებული წიგნის “იტალიური შთაბეჭდილებანი”. კარგად ფლობდა იტალიურ ენას. მისი სამეცნიერო წერილები ხშირად ქვეყნდებოდა, როგორც ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში, ასევე რესპუბლიკურ და საკავშირო ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში. მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის წოდება. გარდაიცვალა 1960 წელს. სახელის უკვდავსაყოფად ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. №11 სახლზე მემორიალური დაფაა წარწერით: “ამ სახლში 1950–1960 წლებში ცხოვრობდა ცნობილი აგრონომი და საზოგადო მოღვაწე მიტროფანე ღლონტი”. მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა აღინიშნა არაერთი სახელმწიფო ჯილდოთი.

დედა მარგალიტა ბერიძე-ღლონტისა, რომელმაც სამი ვაჟი გაზარდა, დიასახლისი იყო. გარდაიცვალა 1999 წელს.

უფროსი ძმა რეზო ღლონტი დაიბადა 1932 წელს, ბათუმში. №1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე. შრომითი საქმიანობა დაიწყო თბილისში. სახვადასხვა დროს მოღვაწეობდა რიგით თუ ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. იყო პარტიის საჩხერეს რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის, გამომცემლობათა პოლიგრაფიის და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ბოლო პერიოდში, “სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო წიგნის პალატის გენერალ-

ური დირექტორი. არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარედ, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება. აირჩიეს საჩხერეს საპატიო მოქალაქედ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. გარდაიცვალა 2010 წელს.

ძმა – თენგიზ ღლონტი დაიბადა 1940 წლის 8 თებერვალს ქ. ბათუმში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისში – სამხატვრო აკადემიაში. მუშაობდა ბათუმის სამხატვრო სასწავლებლის დირექტორად. გახლდათ ბათუმის მთავარი მხატვარი. ჰყავს მეუღლე – მზიულა ერისთავი, რომელიც მუშაობს მემედ აბაშიძის სახელობის მუზეუმში გამგედ. ჰყავთ ორი შვილი: ლაშა და ანანო და სამი შვილიშვილი.





ღლონტების ოჯახი, სხედან: მიტროფანე ღლონტი და მისი მეუღლე  
მარგალიტა ბერიძე-ღლონტისა  
დგანან ძმები: მარცხნიდან თენგიზი, რეზო, ლევანი



მარცხნიდან: ამიგო მელუა, ილიას გორგილაძე.  
სხედან: მარცხნიდან გურამ თავდგირიძე, იზეკ გაგულაშვილი,  
ნანული დგებუაძე, ნათელა კენჭაძე, მამია თავდიშვილი.  
დგანან: მარცხნიდან ზაურ გოგუა, ნანული თოხაძე, ნანული ბენდელიანი,  
სოსო შანიძე, ლევან ღლონტი



ლევან ღლონტის და  
ელენე პეტრიკვიჩ-ღლონტის  
ქორწინება.  
ლენინგრადი, 1959 წელი



ელენე და ლევანი



ღლონტების ოჯახის წევრები დელასთან – ქ-ნ მარგალიტასთან ერთად



ელენე და ლევანი. 1986 წელი



ზემოთ: ბათუმის „დინამო“-ს ნორჩ ფეხბურთელთა შეკარე –  
 ლევან ლლონტი ვარჯიშის დროს  
 ამავედროულად ლევან ლლონტი იცავდა შრომითი რეზერვების გუნდის  
 კარებს. მარცხნიდან მესამე – ლევან ლლონტი.  
 1953 წელი



...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

**სანდრო ანბეტელი**

### **გულის საიდუმლო**

მართალია, ბათუმის დრამატული თეატრის დირექტორს **ლევან ლლონტს**, „დაბადება“ არ ახსოვს, სამაგიეროდ ახსოვს, რომ სწავლობდა ბათუმის მე-9 საშუალო სკოლაში, გატაცებული იყო მძლეოსნობით, კრივით, ველოსპორტით. თამაშობდა ფეხბურთს (**აჭარისა და საქართველოს ნაკრებებში, ბათუმის „დინამოში“**), ითვლებოდა საუკეთესო მეკარედ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

შემდეგ თეატრის სიყვარულმა დაძლია და პროფესიულ სპორტს თავი დაანება. ამ გადაწყვეტილებას ზოგჯერ ნანობს.

10–12 წლისამ პირველად ნახა **„ოიდიპოს მეფე“ იუსუფ კობალაძის** მონაწილეობით. იმ დღეს გადაწყვიტა, მსახიობი გამხდარიყო.

შემდეგ იყო სტუდენტობის უბედნიერესი ხანა. სწავლობდა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე. პარალელურად მუშაობდა რუსთაველის თეატრში და თამაშობდა ფეხბურთს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბათუმში დაბრუნდა და პირველად შეასრულა ციხის დარაჯის ერთწუთიანი როლი სპექტაკლში „მეკლუდი“. პირველი მნიშვნელოვანი როლი კი შალვა ინასარიძესთან ითამაშა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“. პრემიერამ კარგად ჩაიარა. ლევან ლლონტი ყველაზე პოპულარულ მსახიობად იქცა.

ბავშვობის პირველი მოგონებიდან – დედაშვილთან ერთად საბავშვო ბაღიდან გაიპარა. დიდხანს ეძებეს და სადღაც დაიჭირეს. კიდევ ახსოვს საჭაერო განგაში. ბაღიდან მაშინვე თავშესაფარში გადაიყვანეს ბავშვებთან ერთად. კარგად დაინახა, როგორ გადაუფრინა ქალაქს სამმა ბომბდამშენმა, გერმანული სვასტიკით. შემდეგ საბავშვო ბაღის აღმზრდელეები ხაჭაპურით გაუმასპინძლდნენ.

პირველი გულისტკენა ახსოვს, როდესაც „ომიანობის დროს მოედანზე 25-ტონიანი ვაგონი იყო გაჩერებული, საიდანაც კასრებში თაფლივით ტკბილ და სქელ მასას ასხამდნენ. ვაგონის ირგვლივ პატარა ბიჭები ირეოდნენ. ერთი მილიციონერს გაახელებდა. ამ დროს მეორე კასრში ხელს ჩაკრავდა და ხილფაფა ამოჰქონდა. მილიციონერმა ერთი დაიჭირა და კასრში ჩააყოფინა თავი. მილიციონერის ქცევამ გული მატკინა.. დიდი რომ ვყოფილიყავი, რაღაცას ვაკადრებდი. იმ ბავშვის პრობლემა კი უმაღლ მოიხსნა – ბიჭები მიესვენენ და უმაღლ გალოკეს“.

„მე მსახიობი ვარ და კარგად ვიცნობ ამ სამყაროს. მსახიობს, როგორც პატარა ბავშვს, ისე სჭირდება ყურადღება. სრულებით არ მიკვირს მისი ჭირვეულობა – ის ხომ შემოქმედია, თავისი სამყარო აქვს. აქედან გამომდინარე: აზროვნებს, ფიქრობს. ამიტომ უნდა მოუსმინო, კარგად გაიგო, რა აწუხებს, რა უნდა. მე, ძალიან შემრცხვება, რეპეტიციასზე დავაგვიანო, ან არ მივიღე და ვისაც ეხება, მან მიმითითოს, არ დავაგვიანო, როლზე იმუშავეო.“

როდესაც პროფესიონალი ხარ, ასეთი შენიშვნები არ უნდა არსებობდეს. ჩემთვის ეს გაუგებარია“.

მისი საყვარელი სადღეგრძელო სიცოცხლის სადღეგრძელოა. ყველას უნდა ჰქონდეს სიცოცხლის მიზანი, უნდა იცოდეს, თუ რისთვის გაჩნდა, რისთვის აეხილა თვალები...,

უნდა შეიგნოს, რომ ის სამყაროს შვილია, სიყვარულის ნაყოფია და სიყვარულით უნდა იაროს ამ ქვეყნად. რა ლამაზი და რა კარგი იქნებოდა ცხოვრება! ადვილი არაფერი არ არის. მთავარია მოთმინება და დრო.

ლევანს ძალიან ხშირად მოუთმენია. „არის მომენტი, როდესაც უნდა აფეთქდე. აფეთქება ემოციიდან მოდის, როდესაც ემოცია გონებას სძლევეს, კარგ შედეგს არ იძლევა. უნდა მოითმინო, დაწინარდე და როდესაც გონება იმარჯვებს ემოციაზე, კამათის მიზეზი მერე უნდა გაარკვიო“...

ლევანზე დიდი გავლენა მოახდინა მშობლებმა და იმ სამყარომ, რომელსაც ნათესაობა და მეგობრები ჰქვია. „ეს იყო სიყვარულითა და სიკეთით სავსე სამყარო, რომელსაც დიდი პატივისცემით ვიგონებ. მათგან ხმამაღალი სიტყვაც არ მახსოვს“.

ამ ქვეყნად საოცნებო ძალიან ბევრია. მინდა, რომ ყველაფერი ძალიან ლამაზი იყოს. მინდა, ბედნიერი იყოს ადამიანი! სიცოცხლე ისედაც ხანმოკლეა. საუკუნეც რომ იცხოვრო, უკან მოიხედავ და გიკვირს, როგორ გასულა დრო! სამყარო ხომ ლამაზია, ადამიანიც ლამაზია. მას ყველა პირობა უნდა ჰქონდეს სურვილების ასახდენად და მერე თვითონ უნდა თქვას – აქ ყველაფერი კარგი და გასაგებია, ახლა მაინტერესებს, იქ რა ხდება და თავისი სურვილით წავიდეს...“

ეს გულის საიდუმლო, ბატონმა ლევანმა, გაზეთ „**რეზონანსის**“ ჟურნალისტს – **ინგა ხალვაშს** გაუზიარა გასული საუკუნის მიწურულს.

ჰოდა, ლევანმაც თავისი სურვილით დატოვა ეს სამყარო, რომელიც დიდი ცხოვრებით განვლო, – სამოთხის კარი დამსახურებულად შეაღო და იქაური ცხოვრებით, იქაც ვაჟკაცური ცხოვრებით იცხოვრებს! იქ ღახვდებოდნენ ბათუმის „აკადემიის“ საპატიო წევრები: **იუსუფ კობალაძისა** და

**ალექსანდრე (ალი) სამსონიას** თავკაცობით და მათ, ჩვენს ამბავსაც უამბობს, რომ მათ დატოვებულ აკადემიას კიდევ უცემს გული, განაგრძობს სიცოცხლეს.

ლევანის „წასვლამ“ ძალზედ იმოქმედა ჩვენზე, მართლაც რომ „უგოლკი პეროდ“ დავრჩით..., მაგრამ სანამ ჩვენი გული ძეგრს, ყოველთვის გვემანსოვრებით ბატონო ლევან! და ეს პატარა წიგნიც ამის საწინდარია სწორედ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ნამდვილი გულანთებული ქართველები ტოვებენ ბათუმს და ამას ვერსად გაექცევი. დღეს ისეთი დრო დაგვიდგა, კიდევ კარგი აწგარდაცვლილი აკადემიის წევრები ვერ მოესწრნენ განიავებულ და უფსკრულის პირას მისულ საქართველოს.

რადგანაც დროს შევეხე, მინდა გაგიზიაროთ ჩემი აზრი მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, და რომ მე მარტო ასე არ ვფიქრობ, მინდა შემოგთავაზოთ გაზეთ „P.S.“-ში ჟურნალისტ ზურაბ აბრალავას გამოქვეყნებული სტატია: „**მომაკვდავი ყვარყვარიზმი** – 1 ოქტომბერი გამოცხადდეს ერის, რწმენის და ღირსების გადარჩენის დღედ! – ახალ ხელისუფლებას აქვს მაგალითი, როგორი არ უნდა იყოს პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია და ა.შ. ახლა ჯერი ახლებზეა, სწორი გზით წაიყვანეთ ქვეყანა!

20 წელი სულ შეცდომებით ვიარეთ. ეს არის გზა, უკან მოხედვის რომ გეშინია კაცს: რევოლუციები, ხელისუფლებაში ქუჩიდან დროშის ფრიალით მოსული ადამიანები, ჩამოგდებული და ჩამოსაგდები პრეზიდენტები, ყველაფერი ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენში პოლიტიკური და სახელმწიფო მმართველობის კულტურა თითქმის არ არსებობს. მხოლოდ უკიდურესად ცუდი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობაა რევოლუციური აღტკინების დეტონატორი, რაც არ იძლევა ნორმალური არჩევანის საშუალებას.

ვითარება, რომელიც ბოლო დროს ქვეყანაში შეიქმნა, შეიძლება ერთი წინადადებით შეფასდეს – მან დაკარგა ადამიანი, ყველაფერმა მიიღო ფასალური სახე – დემოკრატია, ეკონომიკა, კულტურა. გზები, რესტორნები, კაზინოები, სასტუმროები და შადრევნები მდიდრული ცხოვრების მხოლოდ იმიტაციას ქმნიდა, ადამიანებს კი უკიდურესად უჭირდათ. უქონელი კაცი ვერ იქნება ლალი და თავისუფალი, მაგრამ ეს კიდევ მოსათმენია იმასთან შედარებით, რაც ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში ჩამოყალიბდა – შიში, ტერორი, დაჭერები, ქონების წართმევა. ხელისუფლება ხალხს უყურებდა, როგორც ჩაგვრის ობიექტს. დაიწყო შეტევა ეკლესიაზე, რწმენაზე, ქვეყანამ დაკარგა ღირსება, თითქოს, ეკლესიებს აშენებდნენ, მაგრამ პარალელურად, გარყვნილების პროპაგანდით ანგრევდნენ რწმენას, წაგებულ ომზე ათეულ მილიონებად ღირებულ ფილმს იღებდნენ და თავს გამარჯვებულად წარმოაჩენდნენ... მოკლედ, დაუმსახურებელი ბედნიერებით ტკბებოდნენ ხელისუფალნი და მათი ქვეშევრდომნი. საქართველოს მოსახლეობა რამდენიმე პარამეტრით საფრთხის წინაშე დადგა – უკიდურესი სიღარიბე, ფიზიკური განადგურება, დემოგრაფიული საშიშროება, მონის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება, რწმენის – ღმერთის დაკარგვა. ერი ზოგადად სტრესის ქვეშ აღმოჩნდა. უიმედობამ და შიშმა მოიცვა ადამიანები. ამ ვითარებაში ხელისუფლებას და ფსევდოოპოზიციას დემოკრატიულ და ეროვნულ პრინციპებზე სახელმწიფო მშენებლობა არ აინტერესებდა. არ წყდებოდა ტყუილის ნაკადი - პირველ ადგილზე ვართ მსოფლიოში ეკონომიკური რეფორმების ეფექტიანობით, ეკონომიკური ზრდის ტემპებით, დემოკრატიით და ა.შ. ტელევიზიები ვირტუალურ, არარეალურ სამყაროს ქმნიდნენ – „ცხოვრება საამურია“. ამ დროს ქართველობა, განსაკუთრებით ქალები, რომელთაც ვერ

მოუყარეთ, გარბოდნენ თურქეთსა თუ საბერძნეთში მოსამსახურეებად, ქვეყანაში ისეთი ატმოსფერო შეიქმნა „**ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის!**”

მე სოციალიზმის ნოსტალგია არა მაქვს, არც მაშინ ვყოფილვარ დიდად დალხენილი, მაგრამ კაცობა და დანდობა მაინც იყო. ახლა ჭკვიანი და განათლებული კაცი მშვიერი დარჩა და ვიღაც ჯიპებით იწონებს თავს, რაღაცას იღეჭება თუ იცოხნება და გულს გირევს მისი ვითომ მედიდური სახე – აი, შენი ფულით გაყვეყნებული ქართველები. თუ ფულს არ მოერიე, დაგიმონებს და ადამიანურ სახეს დაგაკარგვინებს, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნების სიმდიდრის წინააღმდეგი ვარ. დიდი **ვაჟა იტყოდა: „ჩვენი უბედურება ის არის, ცოტანი გვეყვანან მდიდრებით”**, აქ მეცენატებს, სახელმწიფო კაცებს გულისხმობდა, იგი იმას იტყოდა „**ბედნიერი ვარ მაშინა, როცა ვიტანჯვი სხვისთვინა**”. სად ნახავთ ახლა ასეთ კაცს?! პირიქით, ესენი ხალხის უბედურებით ტკბებიან, ღარიბები ხომ უფრო იოლი სამართავია.

სამწუხაროდ, ერის ფიზიკური თუ სულიერი მკვლელი ისევ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება გამოდგა და ეს დაადასტურა ბოლო მოვლენებმა, როცა არჩევნების შემდეგ ბევრი გაიქცა ქვეყნიდან, ბევრს კი ისეთი ბრალდებები წაუყენეს, სინანული გეუფლება შენი არჩევანის გამო. ამ არჩევნებს მართო ეს ხელისუფლება არ დაუმარცხებია, მისი ლობისტებიც დამარცხდნენ და წუხან, რომ ვერ გააგრძელებენ საქართველოს ეკონომიკური და სულიერი გაღატაკების პროცესს (გზები და რესტორნები, კაზინოები და ა.შ. არ ნიშნავს, რომ კარგად ცხოვრობს ქართველი ხალხი, რომელსაც ყველაფერი წაართვეს, კერძო თუ სახელმწიფო ქონების სახით). უცხოელებს მიაჩნიათ, რომ ჩვენ განვითა-

რებადი ქვეყანა ვართ, არადა აშშ-ის ისტორიის მქონე ასაკის ხე გვიღვას ეზოში.

და მაინც იქედან ხელს გვიქნევენ და მითითებებს იძლევიან – ვინ უნდა გასამართლდეს და ვინ უნდა გამართლდეს ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთ ყოფაში ცხოვრება?...

უბედურებაა, როცა ვიღაც ოკეანისგალმელი იხედება შენს ოჯახში...“

\* \* \*

დღეს „სტეკლიაშკა“-ში სამწუხაროდ ნამდვილი ქართული სულის მქონე ადამიანი თითზე ჩამოსათვლელი თუ შემოდის. დღეს ზოგი „ყვარყვარეობს“, ხან ერთ დინებას მიჰყვება და ხან – მეორეს, მისთვის „სასარგებლოს“.

ეს რომ ასეა, მაგალითისათვის მოვიშველიებდი **ანზორ თალაკვაძის** („ასკანელი“) ინტერვიუს, რომელიც გამოქვეყნდა 28 მაისის გაზეთ „აჭარა“-ს ფურცლებზე – გეოგრაფი, ზღვაოსანი, ფოტოხელოვანი, ოპერატორი, „კინოშნიკი“, ჟურნალისტი, ჩვენი ქალაქის კოლორიტი, რომელიც ახალგაზრდობიდანვე გაიცნეს ბათუმელებმა, დააფასეს და შეიყვარეს მისი კეთილი გული, გურული იუმორით. იგი ერთერთი იმათგანია, ვინც სხვებთან ერთად დამსახურებულად ატარებს ჭეშმარიტი ბათუმელის სახელს – „აკადემია ჭკუის სასწავლებელი“. ყველაფერს აქ ვიგებთ ერთმანეთზე. დღეს იგი ის აღვილია, სადაც მეგობრები გელოდებიან...

ძალიან დაგვწყვიტა გული ლევან ღლონტის გარდაცვალებამ. საერთოდ, ყველას გარდაცვალებას განვიცდით. აგერ სურათს შევცქერო, ბევრი წავიდა ჩვენგან. რას იზამ, ცხოვრება ასეა, წლები მიფრინავენ, მეგობრები მიდიან...“

დღეს ქვეყანას შველა უნდა. ორპირობა და მლიქვნელობა თუ გაგრძელდა, დაილუპა და გადაშენდა ჩვენი ჯიში-ჯილაგი.

**„როცა ერს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს“**, – მამა გიორგის თქმის არ იყოს: – „ჩვენ გარეშე მტერი არასოდეს გვაკლდა, მაგრამ ყველაზე დიდი მტერი ჩვენშივეა და ამას ეშმაკი ჰქვია. როცა დავამარცხებთ ეშმაკს საკუთარ თავში, გარე მტერი ვერაფერს დაგვაკლებს“.

მომიტევით, ჩემი აზრის გამოხატვისთვის, ასე რომ ვფიქრობ და განვსჯი, სხვაგვარად არც შემიძლია, ვიცი, რომ, აწვარდაცვლილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ვანტანგ ახვლედიანი** დამეთანხმებოდა, რადგან ჩვენ თანამოაზრეები და თანამებრძოლები ვიყავით და ბატონი ვანტანგისა არ იყოს, სხვაგვარად მეც აღარ ძალმიძს!

მწერლის თემასთან დაკავშირებით მიინდა პატარა გადახვევა გაგაკეთო, რისთვისაც ბოდიშს გიხდით და ნება მომეცით, მოკლე ამონარიდი შემოგთავაზოთ ჩემი გამოცემული წიგნიდან **„ერის სადარაჯოზე“**.

„აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან, ბატონ **გენო კალანდიასთან** დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს (ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული). სოხუმში მასთან მეზობლად ცხოვრობდა ჩემი ნათესავი – **იური კეშელავა**. დმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული...“

ბოლო წლებში, რამდენიმე წიგნი გამოვეცი, მათ შორის კრებულის სახით – **„მამულო ჩემო საუნჯევ“**, რომელშიც შედიოდა ადრე გამოცემული ჩემი სამი პოემა: **„გვირგვინოსანნი“**, **„უძეფობის ჟამს“**, **„ჩემი ღელე-ღურდანი“**, ლექსები და ლიბრეტო **„დაკარგული აღმასი“**, რომელშიც **დავით აღმაშენებლის** ცხოვრებისა და მისი სიყვარულის მომენტებია ასახული.



ამ წიგნის ყდა 2004 წელს გამოცემულ ჟურნალ „ცის-კარში“ დაიბეჭდა, სხვა ახალ გამოცემულ წიგნებთან ერთად. ერთი წიგნი, ბატონ გენოს მივართვი. მან თავის მხრივ მირჩია ერთი წიგნი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარისთვის – **თამაზ წივწივაძისთვის** მიმერთმია. ცოტა არ იყოს მეუხერხულა, მაგრამ ბატონმა გენომ თავისი გაიზანა...

2004 წლის გაზაფხული იდგა. მწერალთა კავშირის თავმჯდომარის კარებზე მოკრძალებით დავაკაკუნე და კარი ნელა შევადე, შემობრძანდითო, – მიპასუხა ბატონმა **თამაზ წივწივაძემ**. მისალმების შემდეგ დაჯდომა შემომთავაზა, მეც მის წინ მოვკალათდი და წიგნიც გადავეცი.

ბატონმა თამაზმა თავაზიანად მომიკითხა, შემდეგ წიგნი გადაშალა და ჩაუღრმავდა. დასაწყისში უხერხულად ვგრძნობდი თავს. ცოტა ხნის შემდეგ მან თავი წამოწია და მითხრა: – „შენ წიგნის სპონსორს, ბატონ **ივორ კრეიდენკოს**, ძეგლი უნდა დაუდგას კაცმა; აგერ უკვე შენი მეოთხე წიგნი დაუფინანსებია, – აფერუმ მის კაცობას, ნეტავი ბევრი გყავდეს ასეთი ქართველი...“

ამ სიტყვების შემდეგ, ცოტა დაძაბულობა მომეხსნა და მეც ოდნავ შეთამამებულმა გავბედე და ბათუმელი ქორეოგრაფის **ჯემალ ჩიჩუას** მოკითხვა გადავეცი, რომელიც სულ მეუბნებოდა: ბატონ თამაზს რომ ნახავ, ჩემგან მოკითხვის გადაცემა არ დაგავიწყდესო, ჰოდა, მეც მომეცა შესაძლებლობა და მოკითხვაც გადავეცი. მოკითხვისთვის მაღლობა გადამიხადა. ამ მოკითხვის შემდეგ ჩავთვალე, რომ ჩვენს შორის დიალოგი ამოწურული იყო, წამოვდექი, მოვუბოდიშე და მორიდებით მივმართე: ბატონო თამაზ, თქვენ ძვირფას დროს არ წაგართმევთ, თანაც მეც მელოდებიან-მეთქი. სინამდვილეში მე არავინ მელოდებოდა... და გასასვლელისკენ გავემართე, უცებ მან სიტყვა დამაწია.

– ბატონო თენგიზ, მწერალთა კავშირის წევრი თუ ბრძანდებით?

მე გამეღიმა და მყისვე ვუპასუხე

– არა, თვითშემოქმედებას ვეწევი–თქო.

– ეგ როგორ გავიგო? – მიპასუხა.

– მყისვე ვუპასუხე: – ვწერ და თვითონვე ვკითხულობ ჩემსავე დაწერილს და სხვებსაც თქვენსავით ასე ძალით ვაიძულებ ჩემი შემოქმედების წაკითხვას...

ამ სიტყვების გაგონებაზე ბატონ თამაზს სიცილი წასკდა ისე, რომ ცოტაც და წიგნიც ხელიდან გაუვარდებოდა...

**თამაზ წიფწივადის** კითხვას – „ბატონო თენგიზ, მწერალთა კავშირის წევრი თუ ბრძანდებით?“, მინდა ათი წლის განვლილი გადასახედიდან გავცე პასუხი. იმის გათვალისწინებით, რაც სააკაშვილის რეჟიმის დროს ხდებოდა. სამწუხაროდ ბევრმა მწერალმა ხალხის გასაჭირზე ხმის ამალლების სანაცვლოდ „მშვიდი“ ცხოვრება არჩია..., ამიტომ კავშირის წევრად გახდომის ინტერესიც დამეკარგა. სამწუხაროდ, ხმალამოლებული მებრძოლი მწერლები იშვიათი გამონაკლისები იყვნენ. აქვე თავს უფლებას არ მივცემ, ჩემი უფროსი მეგობარი, თანამებრძოლი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, აჭარის ორგანიზაციის „**სახალხო კრების**“ თავმჯდომარე, აწ გარდაცვლილი **ვახტანგ ახვლედიანი** რომ არ გავიხსენო, რომელიც თავისი კალმით გააფთრებული ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმს, ბატონი ვახტანგი ხშირად გამოსვლებში საზოგადოების წინაშე უკმაყოფილებას გამოხატავდა მწერლებზე და ემდუროდა ინტელიგენციის დიდ ნაწილს, რომელიც შეგუებული იყო საქართველოში გამეფებულ სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს და თავის აზრს არ გამოხატავდა...

მე ისედაც ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ღვაწლმოსილი მწერლის გვერდით მერგუნა დგომა და მასთან ურთიერთობა...

მწერალი ის გახლავთ, ვინც ხალხის გვერდზე დგას, ხალხის მაჯის პულსზე უჭირავს თითი და მისი გულისცემაც ესმის!

სააკაშვილის სისტემური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხის გვერდით იდგნენ მწერლები: **ცისანა ანთაძე, შოთა ზოიძე, ნიაზ ბოლქვაძე, დავით თედორაძე, ანზორ კუდბა**, (ვგულისხმობ აჭარის რეგიონის წარმომადგენლებს), ხოლო ისინი, ვინც უნებლიეთ ვერ გავიხსენე, მზად ვარ მათ საჯაროდ ბოდიში მოვუხადო.

თუმცა, ა/წლის 7 ივლისს, მემედ აბაშიძის ძეგლთან გამართულ საპროტესტო აქციაზე, რომელიც გაიმართა უცხოელ მოქალაქეებზე მიწების გაყიდვასთან დაკავშირებით, ცნობადი სახეებიდან ბევრი ორატორი გამოვიდა, რომლებმაც მიწების გაყიდვასთან დაკავშირებით სასტიკი პროტესტი გამოთქვეს.

მეორე დღეს მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბატონი **შოთა ზოიძე** შემხვდა, ვკითხე, თუ რატომ არ ესწრებოდა აქციას. მან გაიკვირვა, ჩემთვის არაფერი უთქვამთო... შემდეგ აქციის ირგვლივ გამომკითხა. ჩემს მონათხრობზე გაეღიმა და მიპასუხა: „ესენი მაშინ სად იყვნენ, ჩვენ გალესილ სამართების პირზე რომ დავდიოდით სააკაშვილის რეჟიმის დროს“, ხელი ჩაიქნია და დამშორდა...

და მაინც ქართულ საქმეს მივესალმები, ეროვნული იდეების დაცვას ვუწონებ მათ, მაგრამ საზგადოება ზოგიერთი არასამთავრობოს ასაგდები არ გახლავთ, ამის ნება მათ ვინ მისცათ, მათი საქციელი ბაზალეთის ბრძოლას მახსენებს, რომელიც 1626 წლის გვიან შემოდგომაზე გაიმართა ქართველებს შორის და იმდენი ქართველი დაიხოცა, რომ არცერთ გადამთიელთან ბრძოლაში ერთად აღებული არ დახოცილა.

მე იმის თქმა მინდა, რომ ქიშპობას არასოდეს არ უზემია, ასე იყო 2011 წლის 26 მაისს, სადაც მშვიდობიანი მომიტინგეები გაიმეტა ევრეთწოდებულმა დღევანდელმა ზოგიერთმა ვაი პარლამენტარმა.

## **მასილ კიკნაძე,**

ხელოვნებათამცოდნეობის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

### **მსახიობის გზა**

თეატრთან ათასგვარი მისასვლელი გზაა. ყოველ მსახიობს თავისი გზა აქვს. ეს არის ძნელად სავალი, წინააღმდეგობებით აღსავსე გზა. ზოგჯერ ისეც მოხდება, რომ მსახიობი სხვა სფეროში იხარჯება, თუნდაც ეს „სხვა“ ისევე თეატრისათვის იყოს გამიზნული, მაგრამ მაინც „სხვაა“, რადგან უშუალოდ მის შემოქმედებას აკლდება. აქ არის თავისებური მსხვერპლშეწირვა. ასეთ მსხვერპლს იღებენ მსახიობი – დირექტორები.

ვისაც თეატრის შინაგან სამყაროში ჩაუხედავს, სადაც ჯოჯოხეთი და სამოთხე ერთად არის, – არ შეიძლება არ შეკრთეს. მხოლოდ ერთეულები, რაღაც უცნაურის სიყვარულის ძალით მოისწრაფვიან ამ უჩვეულო სინათლისა და სიბნელისაკენ, რათა მონური ერთგულებით ემსახურონ თეატრს. ასეთი ადამიანები ის მსახიობებია, რომელთაც ბედმა დირექტორის მოვალეობის შესრულებაც არგუნა.

ეს არის მოვალეობისა და საქმის სიყვარულით აღსავსე „ბედნიერი ტანჯვის“ გზა.

სწორედ ასეთ გზას გაჰყვა ლევან ღლონტი.

ადვილი არ არის თოთხმეტ წელზე მეტ ხანს ემსახურო თეატრს, როგორც დირექტორი. ეს სამოღვაწეო ასპარეზია, საქმეა. მსახიობმა ღლონტმა უკეთ იცის, რა სტკივა ხელოვანს, რანაირი შუქრდილები ახლავს ხელოვანის ცხოვრებას.

ყველაზე რთული მაინც ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭია, ისიც ხელოვანთან ურთიერთობისა. რამდენი რამ უნდა

გაითვალისწინო, უნდა მოთოკო შენი ნერვები, დაიცხო ადამიანური ამბიციები, გახდე მათი ბედის თანაზიარი!... ასეთია ლევან ღლონტი.

ცხოვრებამ ათეული წლობით დამაკავშირა ბათუმთან. იგი ჩემი სისხლი და ხორცია, ჩემი ცხოვრების ნაწილია. ყოველთვის სიხარულით მივისწრაფვი ხოლმე იქ, სადაც არ წაშლილა ბედნიერ დღეთა ნაკვალევი. ბათუმის თეატრზე, დიდი ილიას სახელს რომ ატარებს, ქართული თეატრის ისტორიაში ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა, ზოგიერთს მაშინ ვწერდი, როცა თეატრის ამა თუ იმ თაობის გვერდით მივდიოდი. აქ ვიკრიბებოდით, ვკამათობდით, ერთმანეთს ვავსებდით და ვზრდიდით. მახსოვს, როგორი ორგანიზებულიობით, როგორი ტაქტითა და გულითადობით მონაწილეობდა ლევანი ამ პროცესში. ის ათი წელი (1978–1988წ.წ.), როცა იგი თეატრის დირექტორი იყო, ბევრი ასეთი შემოქმედებითი თანაზიარობის დღეებით იყო შთაგონებული.

როცა მთელი საქართველო ქაოსმა და განუკითხლობამ მოიცვა, მისმა ერთ-ერთმა უმშვენიერესმა მხარემ, აჭარამ, საოცარი სულიერი წონასწორობა შეინარჩუნა და არ დარღვეულა მისი სტაბილური ცხოვრება. ეს ისტორიული ფაქტიც არის და ისტორიული გაკვეთილიც. ამიტომ განსაკუთრებულია ნერევის ფონზე ახალი დიდი კულტურის კერის – ოპერის თეატრის შექმნა, მართლაც რომ განსაკუთრებული მოვლენაა! ქართველი ხალხის მარადიული ფასეულობებისადმი **ასლან აბაშიძის** მხარდაჭერამ გამოაცოცხლა ქართული ეროვნული კულტურის ცხოვრება. ამ ფონზე მეტი მასშტაბურობა შეიძინა ლევან ღლონტის მოღვაწეობამაც და ოპერის თეატრსაც თავისი ღვაწლი დასდო.

საქართველოში რა გამოლევს ნიჭიერ მსახიობს. მაგრამ საზოგადო მოღვაწე-მსახიობები ცოტა გვყავს. ლევანის სამოღვაწეო ასპარეზი მართო თეატრი არ იყო. ათი წელი საქართ-

ველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. წლობით ხელმძღვანელობდა კულტურის ცენტრს. უანგაროდ და უშურველად აწყო სახალხო ზეიმებს, ატარებდა შეხვედრებს, საღამოებს, სინარულს ანიჭებდა ადამიანებს. მუდამ ხალხის შუაგულში ტრიალებდა, მათი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენას ახმარდა დიდ დროსა და ენერგიას. სულ უფრო და უფრო შორდებოდა თავის სპორტულ გატაცებებს(იგი ხომ დინამოს გუნდში და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა). ღრმად იძირებოდა თეატრალურ სამყაროში, რასაც მან მთელი ცხოვრება უძღვნა.

ლევან ღლონტს თეატრში ასზე მეტი როლი აქვს შესრულებული. მილიონი ადამიანის სიკვდილი – ციფრია, ერთისა კი ტრაგედიაო. ასი როლი ციფრია, მაგრამ ყოველი როლი ბედნიერი და უბედური ადამიანის მთელი ცხოვრებაა. თავისი ადგილი ჰპოვა ყოველმა მათგანმა ლევანის სულისა და სხეულის არტისტულ მრავალსახიერებაში.

მე ვამბობ „თავისი“ – ეს იმას ნიშნავს, რომ მისი გმირები ინდივიდუალური, სიახლით სავსე ადამიანები იყვნენ. კარგად მახსოვს ბევრი მათგანი. პარტერიდან დაძაბულად მიდევნებია თვალი მათი ცხოვრებისეული გზისთვის.

ხშირად მაგონდება „ტოპაზის სახლი“. იგი იმ დროს მოვევლინა სცენას, როცა ჩვენი საზოგადოება შემოფოტებული იყო უპატიოსნების აღზევებით. ოფიციალურად ძნელი იყო ამაზე ლაპარაკი, ლევან ღლონტის ტოპაზის სიტყვებით ვიოხებდით გულს. ხალხის წუხილს, ხალხის სათქმელს გამოხატავდა ლევანის გმირი. ეს იყო ხელოვანისა და მაყურებლის ფიქრთა და გრძნობათა საოცარი ერთიანობის წუთები.

ასეთი წუთებისათვის ღირს შემოქმედებითი ტანჯვა!...

მარტო ტოპაზი არ იყო ჩვენი სულის თანაზიარი გმირი. ახლაც ყურში ჩამესმის მისი სიტყვები – თუ ეს საზოგა-

დოება არ შეიცვალა, სანთლით საძებარი იქნება პატიოსანი კაცი!...

თანადროულად არ ჟღერს დღესაც?...

სიბრძნე ყოველთვის თანამედროვეა. ლევან ღლონტის შესრულებას მუდამ ახლავს გულწრფელობა, თანადროულობის ელფერი. სიცოცხლით სავსე იყო მისი ზურიკელა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), წლობით რომ ამშვენებდა ქართულ სცენას. სულ სხვა ბედის ადამიანთა სულიერი ძვრებიც გაითავისა ბატონმა ლევანმა. ალექსანდრე სამსონიას პიესაში „ზღვა და სიყვარული“, მან ბრწყინვალედ ითამაშა.

თითქოს შორს წასული ახლობლის დაბრუნებას გავს დღეს ალ. სამსონიას ელგუჯას გახსენება. „ზღვა და სიყვარული“, „ვაჩი ვაჩიშვილი“ – უფრო ადრინდელი დადგმაა, „ჩემი შვილი სიმონი“ – რაღაც განსხვავებულ სიტბოს, ფაქიზ იუმორსა და ცხოვრების ხალისს სძენდა თეატრს. ორი მათგანი კი ლევან ღლონტის ბიოგრაფიის ნაწილი გახდა.

ლ. ღლონტის გმირები შინაგანად ინტელიგენტები არიან. ყოველთვის იგრძნობა, რომ თავად მსახიობია ინტელიგენტი და მისი სულის ორეულებს ახასიათებთ ეს თვისებები. მსახიობის თამაშში მუდამ იგრძნობა რაღაც შინაგანი ძალა, იგი ყოველთვის იბრძვის. ეს ბრძოლა მიზანსწრაფულია, აზრიანი. მსახიობი ნაკლებად ენდობა იმპროვიზებულ „აფეთქებებს“. იგი ფიქრიანად მიჰყვება სცენური ქმედების ლოგიკას. ხომ განსხვავდებიან ერთმანეთისგან მინდია (ვაჟას „ალუდა ქეთულაური“) და ზაზა ნაკაშიძე (ნ. დუმბაძის „საბრალოდ დასკვნა“), ცოტნე და ვაჟა (გ. ხუხაშვილის „მოსამართლე“), ან თამაზ იაშვილი (გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“) და როდრიგო (შექსპირის „ოტელო“), მაგრამ მათ აერთიანებთ შინაგან ბუნებათა გახსნილობა და აზრიანობა. ყოველთვის არ არის ერთნაირი მხატვრული ეფექტი, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს სცენურ გმირთა ბედი, ისინი მაინც გამოირჩევიან

თავიანთი საზრიანობით. განა ჩვენს ადამიანურ ფიქრებსა და განცდებს არ ეხმიანებიან შჩერბინა (ნ. ლუმბადის „ნუ გეშინია, დედა“) და ნიუტონი (დიურენმატის „ფიზიკოსები“), ლევან ხიდაშელი (გ. ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“) და ვალიკო იაშვილი (ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“). ყოველი მათგანი ცალკე სამყაროა, თითქოს არც მაინცდამაინც ბევრი რამ აქვთ საერთო, მაგრამ თანაარსებობენ მსახიობის სულში. ყოველ სახეს თავისი ნათელი და ბნელი საწყისი აქვს, თავისი სიკეთე და სიავე. ისინი სცენურ ცხოვრებაში სხვადასხვა როლებს ასრულებენ, მაგრამ სცენაზე აღბეჭდილნი არიან მსახიობის კეთილშობილური ბუნებით. ლევან ღლონტი მუდამ მათი კეთილი საწყისის გამომხატველია. ამას იგი სცენაზე აკეთებს ხაზგასმით და დაჟინებით. რაგინდ უარყოფითიც არ უნდა იყოს მისი გმირი, მსახიობი ყოველთვის ეძებს თბილ ტონებს, რათა გამოხატოს რთული ცხოვრების განკარგვის იმედი. ეს არის მისი, როგორც ხელოვანის პოზიცია.

ლევან ღლონტის გმირთა სამყარო არ არის საზღვრული. აქ შეხვდებით სხვადასხვა საუკუნის ადამიანებს, მას თანამედროვეობიდან გადაყვავართ წარსულში, ქართული სამყაროდან უცხოეთში. მათგან არ შეძლება არ გამოვყო ორი სრულიად სხვადასხვა ეპოქისა და სოციალური წრის ადამიანთა სახეები. ესენია დიდი ილიას გაბრო („გლახის ნაამბობი“) და გურამ ფანჯიკიძის („მეშვიდე ცა“) ლევან ხიდაშელის სახე. სოციალური უკუღმართობის მსხვერპლია, გაბრო მასში იგრძნობოდა, თუ როგორ ირღვეოდა მეგობრობისა და თანასწორობის პრინციპები. სოციალური კონფლიქტები არყევდნენ ადამიანთა სულებს. კლასობრივი დიფერენციაცია ანგრევდა ზნეობრივ ნორმებს, ანადგურებდა ქართველთა ერთიანობის მარადიულ იდეალებს. დიდი ილიას სატყევეარი ფსიქოლოგიური სიღრმით ცოცხლდებოდა სცენაზე. სულ სხვა არტიზტიზმით იყო განსახიერებული ლევან ხიდაშელის სახე. იგი



იკითხებოდა, როგორც ახალი ტიპის გამოჩენა. კომუნისტურ საზოგადოებას მოეწონა ახალი მებრძოლი, საქმიანი, შემტევი, თავისი პრინციპების დამამკვიდრებელი გმირი. ეს იყო დადებითი გმირის დოკუმების რღვევის მაუწყებელი პირველი სიგნალი. მასსოვს, როგორც ცხარე კამათი გაიმართა მისი გამოჩენის გამო. გ. ფანჯიკიძე, როგორც მუდამ ახლის მაძიებელი მწერალი, გაბედულად ანგრევდა მხატვრულ აზროვნებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს. მსახიობმა ზუსტად იგრძნო ეს სიახლე.

ლევან ლლონტი მრავალმხრივი ხელოვანია. მას პატივს სცემენ თეატრში, როგორც ერთგულს, თეატრისათვის თავდადებულ ადამიანს.

იგი უფროსი დედა თეატრს, როგორც თავისი სიცოცხლის განუყოფელ ნაწილს. თეატრში ათენებს და აღამებს. მისთვის ძვირფასია სამყარო, რომელშიც იგი ცხოვრობს, სადაც ერთმანეთს ერწყმის რეალობა და ილუზია. ამ სამყაროში შეიძლება ძნელად შეაღწიო, მაგრამ თუ ერთხელ ეზიარე მას, ველარასოდეს დაშორდები. ეს სიკვდილ-სიცოცხლესავით მარადიული ჭიდილის სამყაროა, რომელსაც თეატრი ჰქვია.

ამონარიდი გაზეთიდან „საქართველოს რესპუბლიკის“ (№167.19.07.1997წ.)  
„თეატრალური გაზეთი“ – „სახიობა“(№7)

**ნოდარ მოღვაძემ,**

მწერალი

## **ლევან ღლონტის შემოქმედება**

**ლევან ღლონტის** გმირებს მაყურებელი გულწრფელი აღტაცებით ხვდება, რასაც განაპირობებს მსახიობის სცენური კულტურა და პროფესიონალიზმი. მსახიობი ჩინებულად ახერხებს შინაგანი ინტუიციით და ტემპერამენტით განსახიერებელი სახის შინაგანი ცხოვრების გააზრებას. მისი მოძრაობის რიტმის მოძიებას, ძლიერი თუ სუსტი მხარეების მკვეთრ, მაგრამ ხელშესახები ფერებით გადმოცემას. მას რამდენიმე საინტერესო მხატვრული სახე აქვს შექმნილი.

მომავალი მსახიობი სცენას თორმეტი წლის ასაკში ეზიარა, როცა თეატრის სიყვარულით კულტურის სახლის დრამატულ წრეში ჩაეწერა. 1960 წელს კი თბილისში თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა. სტუდენტობის წლებში ითამაშა ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატში“, კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისში“, ა. მილერის „სეილემის პროცესში“, ო. ჩიჯავაძის „თხუნელაში“, ჯ. გოლზუორთის „ვაშლის ყვავილობაში“. 1958 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტი, მონაწილეობს საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ბათუმის სახელმწიფო თეატრში. მისი პირველი შემოქმედებითი გამარჯვება იყო ზურიკელას რთული სახის შექმნა ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“. რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე. ეს სპექტაკლი სცენიდან თერთმეტი წლის მანძილზე არ ჩამოსულა.

ლევან ღლონტი თეატრში მოსვლის პირველი დღიდანვე მისი ინტერესებით ცხოვრობს, შემოქმედებით მუშაობასთან ერთად საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკთან პიონერული თეატრი ჩამოაყალიბა, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა თეატრს, სადაც განახორციელა რამდენიმე საინტერესო დადგმა. იყო თეატრის კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ადგილკომის თავმჯდომარე, ოთხჯერ იქნა არჩეული საქართველოს ალკკ ყრილობის დელეგატად.

დღემდე ლევან ღლონტს ასამდე დიდი თუ პატარა როლი აქვს შესრულებული. ეს ნამუშევრები იმდენად ბუნებრივი და ყოფითი შტრიხებითაა დახატული, რომ მაყურებელი მასში ხედავს ნათელ და ახლობელ სახეებს.

ლევან ღლონტის სცენური გმირები სხვადასხვა ეპოქის წარმომადგენლებია, მაგრამ მისი ძირითადი ამპლუა მაინც თანამედროვე ადამიანია. მსახიობი ღრმად სწვდება ახალი ადამიანის ფსიქოლოგიას და სცენიურად განაზოგადებს მას.

სრულიად ახალგაზრდა მსახიობმა კარგად გაართვა თავი პატიოსანი, მოკრძალებული მასწავლებლის გაქნილ საქმოსნად ქცევის წარმოსახვის რთულ ამოცანას (ა. პანიოლის „ტოპაზი“). ტოპაზის სულის მეტამორფოზის ჩვენებისას მსახიობი მხატვრულ სიმართლეს აღწევს. ელგუჯას სახეში (ა. სამსონიას „ზღვა და სიყვარული“) მსახიობმა შეძლო სწორად, დამაჯერებლად წარმოესახა თავისი გმირის წინააღმდეგობრივი და რთული ხასიათი.

„ჩვეული ოსტატობით შეასრულა მგზნებარე ბოლშევიკის, ჭეშმარიტი პატრიოტისა და დიდი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული კომუნისტის სერგოს როლი“ (ვ. კანდელაკის „დრო – ოცდაოთხი საათი“).

„ვაჩე როლი (ა. სამსონიას „ვაჩე ვაჩეშვილი და სხვები“). თავიდან ბოლომდე მიჰყავს უბრალოდ, ზედმეტი

ეფექტების გარეშე, მაგრამ დამაჯერებლად. მისი თამაში გვიზიდავს შინაგანი ძლევარებითა და ტემპერამენტით“ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“).

ასევე წარმატებით ასრულებს იგი გონა მასწავლებელს (რ. მამულაშვილის „მერხებზე ანგელოზები სხედან“). როდრიგოს (შექსპირის „ოტელოში“). გაბროს (ი. ჭავჭავაძის „გლახის ნამბობში“). ჟივკოს (ი. სტოიანოვის „ოსტატები“). მინდიას (ვაჟა ფშაველას „გველის მჭამელი“). თამაზ იაშვილს (გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“). ლევან ზიდაშელს (გ. ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“). კარანდიშევს (ა. ოსტროვსკის „უმზითვო“), და სხვა. ხოლო ზაზას როლის („ადამიანი დაბრუნდა“) საუკეთესო შესრულებისათვის მიენიჭა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების დიპლომი.

ლევან ღლონტი მონაწილეობდა რიგაში გამართულ საკავშირო თეატრალურ ფესტივალში. მონაწილე იყო ბუღარეთისა და მოსკოვის საგასტროლო სპექტაკლებისა. იგი დაჯილდოებულია საკავშირო და საქართველოს ალკკ, აჭარის საოლქო და საქალაქო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების დიპლომებითა და სიგელებით. 1965 წელს მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ლ. ღლონტი ამჟამად ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი და მსახიობია.






სცენა სპექტაკლიდან  
 „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.
   
 ილარიონი – მანუჩარ შერვაშიძე,
   
 ზურიკელა – ლევან ლლონტი,
   
 ილიკო – შალვა ძიძიშვილი

სცენა სპექტაკლიდან  
 „ღრო – 24 საათი“. ცირა  
 აბზიანიძე და ლევან ლლონტი





სცენა სპექტაკლიდან  
„განთიადი ხევში“,  
ამირან ტაკიძე და ლევან ღლონტი



სცენა სპექტაკლიდან  
„მკვლელები“,  
ლევან ღლონტი



სცენა სპექტაკლიდან  
„ჰაკი – აძბა“



სცენა სპექტაკლიდან  
„ირინეს ბედნიერება“  
თამარ სულხანიშვილი და  
ლევან ღლონტი



სცენა სპექტაკლიდან  
„შემოდგომის ყველა საღამოს“.  
ანდრეი – ლევან ღლონტი,  
დედა – საქ. დამსახურებული  
არტისტი თამარ სულხანიშვილი



სცენა სპექტაკლიდან „ოსტატები“,  
ლ. ყარასაშვილი და ლევან ღლონტი



სცენა სპექტაკლიდან „ტოპაზი“,  
ნინო საკანდელიძე და ლევან ღლონტი



ნინო საკანდელიძე, გოგი ქავთარაძე, ლევან ღლონტი








სცენა სპექტაკლიდან „მეშვიდე ცა“,  
შუაში ლევან ღლონტი



სცენა სპექტაკლიდან „მკვლელები“,  
ლევან ღლონტი და გაიოზ (კუკური) გოგობერიძე



სცენა სპექტაკლებიდან „განთიადი ზევში“ და „დრო – 24 საათი“



სცენა სპექტაკლებიდან „მეშვიდე ცა“ და „ვაჩე ვაჩეიშვილი და სხვები“



პირველი რიგი: მარცხნიდან ვლადიმერ ოქუაშვილი, ლევან ღლონტი,  
მანუჩარ შერვაშიძე, ხასან მეგრელიძე, ნიაზ მესხიძე.  
მეორე რიგი: მარცხნიდან სულიკო თურმანიძე, მევლუდ რიჟვაძე,  
ლიანა ლორთქიფანიძე, ანტონ ფილიპოვი,  
მესამე რიგი: მარცხნიდან გენო ჯიბუტი, იური ცანავა,  
გაიოზ (კუკური) გოგობერიძე



სპექტაკლ „მევლუდში“ მონაწილე მსახიობები:  
მარცხნიდან ვაჟა ფირცხალაიშვილი, ხასან მიქელაძე, უცნობი,  
გაიოზ (კუკური) ახალაძე, თამაზ ცეცხლაშვილი, იური კეშელავა



ცნობილი რუსი მსახიობი  
ალისა ფრეიდლისი და  
ლევან ღლონტი



სცენა სპექტაკლიდან „მეშვიდე ცა“  
მარცხნიდან: ბერდია ინსკირველი  
და ლევან ღლონტი




ზურაბ ქაფიანიძე და ლევან ღლონტი




ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები.



იუსუფ კობალაძე



აკაკი მგელაძე




ხასან მეგრელიძე



მურად ზინიკაძე



ბათუმის თეატრის დაჯილდოება გარდამავალი წითელი დროშით.  
მარცხნივ: ლევან ღლონტი. ბათუმი, 1983 წელი



ლევან ღლონტს გადასცემენ საპატიო ბათუმელის წოდების სიგელს.  
მარცხნივ: ლევან ღლონტი



ძალაპ ბათუმის მერია,  
გამოხატავს რა მოქალაქეების ნებას,  
ანიჭებს

## სეკვტიო გათუგელის წოდებას პატონ ლევან ღლონტს

ცნობილ მსახიობსა და საზოგადო მოღვაწეს,  
უკეთილშობილეს პიროვნებას, გამორჩეულს  
თავისი წესიერებითა და თავგდაპლოპით.

ძალაპ ბათუმის მერი

როპერტ ჩხაიძე

ძ. ბათუმი  
2009 წლის 23 დეკემბერი






ზურაბ გორგილაძე, ცირა აბზიანიძე, ბადრი მჟავანაძე, ლევან ღლონტი



ლევან ღლონტი და  
ზურაბ ცინცკილაძე



ოთარ წურქავა  
საქართველოს და აჭარის ხელოვნების  
დამსახურებული მოღვაწე

## ავტორისაგან

„ყველა სერიოზული ნაწარმოები, მართალია, შესავლით იწყება, მაგრამ შესავლამდე არც სათაურის დაწერა უნდა დაგავიწყდეს. სათაური ხმლის მარჯვედ მოქნევას უდრისო, უთქვამს ერთ სიტყვის დიდოსტატს და მერე ასეც დაუმატებია: კარგი სათაური ნახევარი ნაწარმოებიაო.

მოკლედ, სათაურის მონახვას თავი უნდა, ხოლო როცა მონახავ და წერას დაიწყებ, ძალა მაშინაც უნდა დაატანო თავს...“ ეს სიტყვები **ალექსანდრე (ალი) სამსონიას** დავესესხე მისი წიგნიდან „**პროვინციის მზე**“. ბრძნულად ნათქვამი სიტყვებია, მაგრამ ამ შემთხვევაში წიგნის სათაურის (ავტორი **დავით თედორაძე**) ძებნა არ დამიწყია. წიგნი ბატონმა ლევან ღლონტმა თავის თავზე თვითონ სიცოცხლეშივე დაწერა თავისი დაუღალავი შრომით, ძეგლიც დაიდგა და ჩვენ „მზიანეთის“ წარმომადგენლებმა მხოლოდ აკვინძეთ იგი.

2014 წლის 11 თებერვალი იდგა. ბათუმის საზოგადოებაში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და უცხოეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა პატივი მიაგეს საქართველოსა და აჭარის დამსახურებულ არტისტს, ღირსების ორდენის კავალერს, უზომოდ საყვარელ ადამიანს, ბრწყინვალე მსახიობს, უღალატო მეგობარსა და ღვაწლმოსილ ბათუმელს – ბატონ ლევან ღლონტს. ლევანის ცხედარი თეატრიდან ტაშით გამოასვენეს.

**ბატონი ლევანის** გარდაცვალებამ დაამწუხრა ბათუმის საზოგადოება, განსაკუთრებით „სტეკლიაშკას ბინადარნი“, სადაც ძირითადად იკრიბებიან ბათუმის ინტილიგენციის წარმომადგენლები.

წიგნზე მუშაობისას ძალაუნებურად ბავშვობაში დავბრუნდი, ჩემს წინ გაირბინა იმ დღეებმა, როდესაც ჯერ კიდევ

მეხუთეკლასელმა ბიჭმა ფეხი დავადგი ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატული თეატრის დალოცვილ და მადლიან სცენას და პარტნიორობას ვუწვევდი დიდი **იუსუფ კობალაძის** მეუღლეს, მსახიობ **თამარ სულხანიშვილს**, რომელიც ასრულებდა პიონერხელმძღვანელის როლს სპექტაკლში, „**სიმღერა შვეარდენზე**“, სადაც ვასრულებდი პიონერის როლს. ეს იყო და ეს: ამით შემოიფარგლა ჩემი თეატრალური „მოღვაწეობა“, ინსტიტუტში ვოკალური ჯგუფის ერთ-ერთი წამყვანი („კონფერანსიე“) კი გახლდით, მაგრამ ისიც მინდა ვთქვა, რომ სწორედ სცენაზე ყოფნამ ჩემს ცხოვრებას დიდი კვალი დამაჩნია, სწორედ სცენაზე გავიცანი ჩემი მომავალი ცხოვრების მეგზური – ქალბატონი ლეილა კაციაშვილი, რომელიც მღეროდა ანსაბლში. გვყავს სამი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი...

სცენაზე გამოდიოდა ჩემი ძმაც – თამაზი, რომელიც სპექტაკლ „**მეგლუდში**“ პარტნიორობას უწევდა ქართული თეატრის კორიფეს – ბატონ **იუსუფ კობალაძეს**, ის მის შვილს თამაშობდა. ამის გამო ჩვენი მშობლებიც თეატრის ხშირი მყურებელი გახლდით. ისინი თავისთავად იცნობდნენ დანარჩენ მსახიობებსაც და ხშირად სპექტაკლის შემდეგ მსახიობები სტუმრობდნენ ჩვენს ოჯახს, ჩვენ, იქვე ვცხოვრობდით თეატრთან, დღევანდელ „პიაცას“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მამას, როგორც კახელს, ყოველთვის ჰქონდა თავისი დაყენებული ღვინო და როგორც ტრადიციულად სჩვევიათ ხოლმე მსახიობებს, თითო ჭიქას გადაჰკრავდნენ ხოლმე ჩვენს ოჯახში. განსაკუთრებით მამა მეგობროდა მსახიობ **მიშა ნაპირელთან**, რომელიც წარმოშობით ყვარლიდან იყო, ის ბათუმის ცირკის შენობის უკან ცხოვრობდა, ხშირად ოჯახებით ვსტუმრობდით ერთმანეთს, განსაკუთრებით კი დღესასწაულებზე.

ჩვენი ოჯახი ახლოს იყო აწვარდაცვლილ ქალბატონ **ჯულიეტა თხილაიშვილთან**. იგი სუფლიორად მუშაობდა თეატრ-

ში, სწორედ მისი თანადგომით ვეზიარეთ ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრის სცენას მე და ჩემი ძმა. ხოლო მის ქალიშვილებთან: ლამარასა და გულიკოს ოჯახებთან დღესაც ვურთიერთობთ.

ასევე ახლოს ვიყავი ახალგაზრდა მსახიობთან, ჩემი ძმის ნათლიასთან, აწვარდაცვლილ **იური კეშელავასთან**, ვმეგობრობდი აგრეთვე აწ გარდაცვლილ **ვაჟა დოლიძესთან, ამირან ტაკიძესთან და როლანდ კაკაურიძესთან**, ღმერთმა ნათელში ამყოფოთ მათი სულები.

მართალია, ჩემი სცენაზე გამოსვლა რამდენიმე როლით შემოიფარგლა, მაგრამ მსახიობებთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია და დღემდე გრძელდება: **იური ცანავასთან, მანუჩარ შერვაშიძესთან, ავთო ქარჩავასთან, არსენ სურმანიძესთან, ვაჟა ბიბილაიშვილთან და თემურ კეჟერაძესთან** დღესაც ახლო ურთიერთობა მაქვს. თემურ კეჟერაძე ამავდროულად ჩემი ნათესავიცაა.

ხშირად ვხდებოდი ჩვენს უსაყვარლეს მეგობარსა და ყველას გულშემატკივარს – აწვარდაცვლილ ბატონ ლევანს. ის ჩემი წიგნების მკითხველი და კრიტიკოსიც იყო, ერთ-ერთი წიგნის „**კინოს კლდე**“ წერისას, რომელიც პოპულარული მსახიობის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს, კონსულტაციებს ბატონ ლევანთან გავდიოდი. ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრებამ ბატონ ლევანთან დამაკავშირა, რადგან მასთან შეხვედრა ყოველთვის დადებით აურას მმატებდა, ის ხომ ყველას კეთილმოსურნე გახლდათ...

მინდა კიდევ ერთხელ მაღლობა გადავუხადო ბატონ ლევანს წიგნზე მუშაობის პერიოდში გაწეული დახმარებისთვის და იმისთვის, რომ ეს ეროვნული და საამაყო ქართველი, დიდი ბათუმელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თავისი ხალხისთვის, სამშობლოსთვის.

უფალმა აცხონოს, მარადიულ სასუფეველში ყველას მიმფერებელი და დამრიგებელი – ბატონი ლევანის სული. ამინ!

ბატონ ლევანთან სპორტი მაკავშირებდა, უფრო სწორად ის 1956 წელს ბათუმის „ნორჩ“ დინამოელების გუნდში მუშაობდა და აჭარისა და საქართველოს ნაკრებების ღირსებას იცავდა საკმაოდ წარმატებულად, გუნდმა საბჭოთა კავშირის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა, რის გამოც ბათუმის გუნდის ძირითად შემადგენლობაში შესთავაზეს თამაში, თუმცა ხელოვნებას ეზიარა და კორიფეებს შორის ღირსეული ადგილიც დაიმკვიდრა. მე ამავე გუნდში 1964 წელს ვთამაშობდი თავდამსხმელად. ის ასევე გახლდათ ბაქოს ტყორცნისა და ბირთვის კერაში აჭარის რეკორდსმენი. მოკლედ რომ ვთქვათ, ლევან ღლონტი სანთლით საძებნი ახალგაზრდა გახლდათ...

გარდაცვალების წინ ბატონი ლევანი „სტეკლიაშკაში“ ვინახულებდი, მარტო იყო, თავის ჩვეულ მაგიდასთან. მომიკითხა და დოკუმენტური ფილმის გადაღების ამბავიც მკითხა, რომელიც ჩემი წიგნების „სასიკვდილოდ გამეტებულნი“, „26 მაისის სისხლიანი კალო“ და „ეს არ უნდა განმეორდეს!“ მიხედვით გადაიღო რეჟისორმა ნინო დავითაშვილმა, მასში აისახა 2011 წლის 26 მაისის მოვლენები. ვაუწყებ, რომ მონტაჟს ვამთავრებდით და მალე იხილავს მას საზოგადოება-მეთქი. ფილმის წარდგენა ა/წლის 22 მაისს შედგა აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, რომელსაც ბატონი ლევანი სამწუხაროდ ვეღარ დაესწრო...

იდეა წიგნის დაწერის შესახებ ბატონ ანზორ კულბას გავეუზიარე. მან მომიწონა იდეა და თანადგომაც აღმითქვა, თუმცა ბატონმა ანზორმა თავის წერილში ის წიგნი უკვე მოიხსენია, ბატონ ლევანს რომ მიეძღვნა მეგობრების სახელით.

მეც ბევრი აღარ მიფიქრია ლევანის გარდაცვალების შემდეგ წიგნის გამოცემით პატივი მიმეგო მისთვის. ამას ვერც გავბედავდი, ცხონებული ალი სამსონია დღეს ჩვენ გვერდით

რომ ყოფილიყო, ამ წიგნის გამოცემას ბატონ ალის ვერავინ დაასწრებდა.

კაცი, რომელიც წერდა ბათუმზე და ბათუმელებზე, წერდა ალექსანდრე მიხეილის ძე თიროშვილზე, რომელსაც დიდი და პატარა, სიყვარულით ბიძია საშას ეძახდა. ბატონი საშა ახლოს იცნობდა დავით კლდიაშვილს, დიდ ილიას და სხვა ცნობილ ადამიანებს. ბატონი ალი წერდა ლევენდარული გემის კაპიტანზე – **თენგიზ მაქაცარიაზე** და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენს მიეფერა მისი ყოვლისმთქმელი კალამი. სწორედ მის თვალწინ შენდებოდა და მშვენდებოდა ბათუმი, მას იცნობდნენ მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც.

მისებურად და მასზე უკეთესად აბა, ვინ იტყვის ბათუმზე და ბათუმელებზე?! და თუ ეს ასეა, და ეს, მერწმუნეთ, ასეა, მისივე წიგნებიდან პატარ-პატარა ამონარიდებს მოვიშველიებ, მაგრამ მანამდე შემოგთავაზებთ თავად ლევან ღლონტის ინტერვიუს (გაზეთ „აჭარა“-ს ფურცლებიდან) ჟურნალისტ მანანა ძიძიშვილის სტატიიდან **„ჭეშმარიტმა ბათუმელებმა ახალი „პრეზიდენტი“ აირჩიეს“**.

აგერ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ძირძველი ბათუმელები ირჩევენ თავიანთ **„პრეზიდენტს“**, რომელმაც ნაღდ ბათუმელებისგან შემდგარ **„აკადემიას“** უნდა უხემძღვანელოს.

2011 წლის 26 ნოემბერს მათ ახალ, რიგით მესამე **„პრეზიდენტად“** საქართველოს დამსახურებული არტიისტი, ბათუმის საპატიო მოქალაქე **ლევან ღლონტი** დაასახელეს. ჩვენც ვეწვიეთ ახალ არჩეულ პრეზიდენტს ბატონ ლევან ღლონტს. ჩვენი საუბარიც ჩვენი **„აკადემიის“** დარსების ისტორიით დაიწყო: -აღნიშნული **„აკადემიის“** დამაარსებელს კარგად იცნობს საზოგადოება (და განსაკუთრებულად თქვენი გაზეთი). ის

თქვენი ძმა, მეგობარი, საოცარი პიროვნება, ნაღდი ქართველი, მწერალი და დრამატურგი, ადამიანთა რაღაც გამორჩეულად მიმფერებელი, ჟურნალ „ჭოროხისა“ და გაზეთ „აჭარის“ ყოფილი რედაქტორი **ალექსანდრე (ალი) სამსონია** გახლავთ. „აკადემიის“ შექმნის მიზეზი ფინჯანი ყავა გამხდარა, რომელზეც ყოველდღიურად ვიკრიბებოდით სასტუმრო „ინტურისტის“ ცნობილ კაფეში. ხშირად ყავას, რა თქმა უნდა, ღვინო და „შესაბამისი“ სადღეგრძელოებიც მოჰყვებოდა ხოლმე. აქ დადიოდნენ ბათუმში მცხოვრები სხვადასხვა პროფესიისა და თანამდებობის ადამიანები: მსახიობები, მწერლები, მინისტრები, ინჟინრები... – თამამად შეიძლება ვთქვათ, ქალაქის ნაღები საზოგადოება. მერე რესტორან „აჭარაში“ გადმოვიცვლეთ.

ერთ დღეს ბატონმა **ალიმ** თავისი გადაწყვეტილება გავაცნო – „აკადემიის“ (ასე ვუწოდებდით ჩვენი თავშეყრის ადგილს) „პრეზიდენტი“ აგვერჩია და პირველი კანდიდატურა თავადვე დაასახელა – ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მაშინდელი მთავარი რეჟისორი **შალვა ინასარიძე**. იგი იყო არა მხოლოდ ცნობილი რეჟისორი, არამედ ნამდვილი ინტელიგენტი, განსაკუთრებული ღირსებებით შემკული პიროვნება, ჩვენი ქალაქის, კოლორიტი, სხვებისგან ჩაცმულობითაც კი გამორჩეული, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ „საკუთარი ნებით უარი თქვა პრეზიდენტობაზე“. მერე ალი **სამსონიას** ვთხოვეთ „პრეზიდენტობა“, მაგრამ ვერაფრით დავითანხმეთ. მაშინ პრეზიდენტად ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე **ვასო გობრონიძე** ავირჩიეთ.

შემდეგ რესტორან „აჭარის“ შენობა გაიყიდა. დავრჩით „აკადემიელები“ ყავისა და თავშეყრის ადგილის გარეშე, მაგრამ ერთად ყოფნის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ შესაფერი ადგილი მაინც გამოვძებნეთ – კაფე-ბარ „საამოში“.

ესეც ალბათ ალის დამსახურება იყო, რადგან კაფე ზუსტად გაზეთ „აჭარის“ რედაქციის შენობის მოპირდაპირედ მდებარეობდა. მას შემდეგ აქ ვიკრიბებით.

მესამე რიგით „პრეზიდენტად“ ღვაწმოსილი პიროვნება **ჰაიდარ ჯაფარიძე** ავირჩიეთ. ჩვენზე უფროსი კი იყო ასაკით, მაგრამ აქ ყოველდღე მოდიოდა, უყვარდა ჩვენთან ურთიერთობა და ჩვენც დიდ პატივს ვცემდით მას. სამწუხაროთ, დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა. 40 დღე მისი „ადგილი“ თავისუფალი იყო, 26 ნოემბრამდე მაგიდაზე მისთვის განსაკუთრებული თეფში, და დანა-ჩანგალი იდებოდა. ასე მივაგებდით პატივს მის ხსოვნას. რა თქმა უნდა, ყოველდღიურად ვიკრიბებოდით და ვიკრიბებითი აქ, სადაც ღვინო არა, მაგრამ ფინჯანი ყავა და აქ მომსახურე პერსონალის თბილი გული ყოველდღიურად გვხვდება.

26 ნოემბერს გადაწყდა ახალი „პრეზიდენტის“ არჩევა. 45 ადამიანი შევიკრიბეთ (ისე, უფრო მეტნი ვართ), ორი ქალბატონიცაა ჩვენი აკადემიის წევრი – **ირინა ბურკაძე** და **მზია კრასნოპოლსკაია**. ამ „აკადემიაში“ ყველას შეუძლია „გაწევრიანდეს“, ეს პოლიტიკური კი არა, ხელოვან (და არამხოლოდ ხელოვან) ადამიანთა გაერთიანებაა. მისი წევრებიდან ზოგი მუშაობს, ზოგიც პენსიაზეა. მათ ერთმანეთის პატივისცემის გარდა ბათუმის, მისი თითოეული ქუჩისა, თუ შენობის სიყვარული აერთიანებთ, – გვითხრა ახალმა „პრეზიდენტმა“.

ბატონმა ლევანმა ის ადამიანები გაიხსენა, ვინც წლების განმავლობაში ამ „აკადემიის ნამდვილ წევრად“ ითვლება და არასოდეს არაფერი შეშლია მეგობრობაში. ისინი კოლორიტები იყვნენ და ამშვენებდნენ ამ ქალაქს. ახალმა „პრეზიდენტმა“ მთხოვა მათი გვარები სათითაოდ ჩამომეთვალა გაზეთის ფურცლებზე, რადგან ისინი მართლაც დააკლდნენ ქალაქს: **იუსუფ კობალაძე, მერაბ ხინიკაძე, ალი სამსონია, არჩილ ტოტოჩავა, ხასან მეგრელიძე, გორდეს იმნაიშვილი, ზია**



შარაშიძე, ნუგაზრ ჯაფარიძე, ვასო გობრონიძე, ზურაბ გორგილაძე, მამია ვარშანიძე, ღურსუნ კობალაძე, გენო ჩხაიძე, იური თავღუმაძე, ალი კონცელიძე, თენგიზ ხომერიკი, გოგი სალუქვაძე, ამირან შერვაშიძე, ჯუმბერ ბოლქვაძე, გურამ ქვირია, გოგი ქურიძე, საშა მითაიშვილი, ანზორ ჩანტლაძე, ნოდარ ყურშუბაძე და ჟორა ჩხიკვიშვილი... ისინი ბევრი იყვნენ (მთელი რედაქციაც აქ დადიოდა) და სამწუხაროდ, ყველას ვერ ჩამოვთვლით.

აღსანიშნავია, რომ არქიტექტორ-დიზაინერმა, აკადემიის წევრმა **ჯიმსონ გურგენიძემ** სპეციალური სამკერდე ნიშანიც დაამზადა.

– ჩვენი ახალი „პრეზიდენტი“ ყველასათვის საყვარელი ადამიანია, ღირსეული, 24 წელი ხემდგვანელობდა ბათუმის თეატრს და ეს არ არის ადვილი საქმე, – თქვა ჯიმსონ გურგენიძემ. – ბატონი ლევანი ყველამ ერთხმად ავირჩიეთ და მივესალმებო, რომ „პრეზიდენტად“ ასეთი ღვაწმოსილი პიროვნება გვყავს, – თქვა ფოტოხელოვანმა **გიზო ჩიგოვიძემ**. – „აკადემია“ ჩემთვის ძმობის, მეგობრობის, სითბოსა და სიყვარულის ადგილია, როცა ვინმეს მოსვლა დაავგიანდება, ვკითხულობთ, ვაზუსტებთ, რაიმე ხომ არ შეემთხვა. ეს განსაკუთრებული „აკადემიაა“ და სანამ ბათუმი და ნაღდი ბათუმელები იარსებებენ, „აკადემიაც“ იქნება, – გვითხრა მისმა ერთ-ერთმა“ სტაჟიანმა წევრმა **ანზორ თალაკვაძემ**. – გასაგები მიზეზების გამო ხშირად ვეღარ მოვდივარ, მაგრამ გული ყოველდღე აქეთკენ მომიწევს. „აკადემია“ თითოეული ჩვენგანისთვის მეორე დიდი ოჯახია, – თქვა დამსახურებულმა ჟურნალისტმა **ავთანდილ დიასამიძემ**.

30 წელია ჩვენი კაფე ფუნქციონირებს და აქედან 20 წელია ეს ადამიანები ალამაზებენ აქაურობას. თითოეული მათგანის შემოსვლა ჩვენთვის დიდი სიამოვნებაა, – თქვა კაფე „საამოს“ დირექტორმა **სერგო ბოლქვაძემ**. – ახალგაზრდო-

ბას ვურჩევ ბევრი ისწავლონ მათგან, არავითარი ზედმეტი სიტყვა, უზემობა, ლანძღვა-გინება. მათი სახით აქ სიტობო და სიყვარულია. მადლიერი ვარ, რომ ასეთ ხალხს ყოველდღურად ვხვდავთ და ვემსახურებით, – გვითხრა კაფე “სამოს” თანამშრომელმა **ფატი გორჯელაძემ**. – სამსახურში ანზორ თალაკვაძემ მიმიღო და მას შემდეგ მეგობრული, მამა-შვილური ურთიერთობა გვაქვს. აქ ხშირად შემოვდივარ, მიყვარს ამ ადამიანებთან ურთიერთობა, მათი აღზრდილი ვარ, არც ჭკუის სწავლება მეთაკილება მათგან, პირიქით, – გვითხრა აჭარის ტელევიზიის ოპერატორმა **დათო გოგიტაურმა**. ...ამ „აკადემიაში“ „პრეზიდენტებს“ უვადოდ – სიცოცხლის ბოლომდე ირჩევენ. დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ ბატონ ლევანს, „აკადემიის“ მრავალრიცხოვან წევრებთან ერთად, არ მოკლებოდეს ქალაქს ადამიანები, რომლებიც ჭეშმარიტი, გულიანი, ნაღდი ბათუმელები არიან და რომელთა გარეშეც ნებისმიერი ქალაქი თავის ნიბლს დაკარგავდა. – და კიდევ, აკადემიელებმა მთხოვეს საჯაროდ გადაგვეხადა მადლობა კაფე-ბარ „სამოს“ კოლექტივისთვის, „აკადემიის“ „პრეზიდენტის“ არჩევნების დღეს განსაკუთრებით **შორენა თავდგირიძისა და ნაზიკო გორგაძისთვის** გულითადი მასპინძლობისათვის.

ბატონ ლევან ღლონტის მიერ გაზეთის ფურცლებზე ჩამოთვლილ კოლორიტთა სიას „აკადემიელებმა“: **ჟორა ბარამიძემ და ჯემალ შავაძემ** ამ ჩამონათვალს კიდევ მიუმატეს: საშა თიროშვილის, ანზორ ზამბახიძის, ზორბეგ ღლონტის, ფერიკ ქიქავას, ანტონ ფილოპოვის, თემელ მიქელაძის, ნიაზ გოგიტიძის, გენო გეგეჭკორის, ნიაზ მესხიძის, ოთარ გორგილაძის, გოგიტა ლორთქიფანიძის, სოსო კუჭუბიძის, პაპულა თალაკვაძის, ჟორა სურგულაძის, მექი ჩხიკვიშვილის, გივი ჩოგოვაძის, შოთა როყვას, ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის, გრიშა შეწირულის, მიშა არველაძის, ზური ბაღდადიშვილის, იაშა ტრაპაიძის და სხვათა სახელები.

ღმერთმა აცხონოს მათი სულები ზეციურ საქართველოში.

ზემოხსენებულ ინტერვიუში, როგორც ბატონმა ლევანმა განაცხადა, რომ ყოფილი პრეზიდენტის ჰაიდარ ჯაფარიძის გარდაცვალებიდან 40 დღე მისი „ადგილი“ თავისუფალი იყო... ასევე თავისუფალი იყო „ადგილი“ ლევანის გარდაცვებიდან კარგა ხანს, იგი თებერვლის დასაწყისში გარდაიცვალა, ხოლო „აკადემიელებმა“ მხოლოდ მაისის დასაწყისში პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ბატონი ასლან კაკაბაძე.

..., მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა ასლანმა კარგა ხანია სამოცდაათს გადააბიჯა, ჩვეული შემართებით ირჯება. არაერთ განსაცდელს გამკლავებული, ახალი ჩანაფიქრების განხორციელების სურვილითაა მოცული. წიგნის სათაურიც ამის შესაბამისად შევარჩიეთ. „ღირსებით შემკული ცხოვრება“ – ეს სიტყვები ამ წიგნის ავტორს შაქრო ხარაზს ეკუთვნის. წიგნში მოთხრობილია ასლან კაკაბაძის გვარიშვილობაზე, მის მიერ განვლილ გზაზე, სულიერ სამყაროსა და ოჯახურ გარემოზე, ბათუმელობაზე.

ბატონ ასლანთან ბოლო წლებში დავმეგობრდი, ის აწ-გარდაცვლილი ვახტანგ ახვლედიანის უახლოესი მეგობარი, მისი მარჯვენა ხელი და გაჭირვების ტალკვესი გახლდათ, სწორედ ის ამომიღვა მხარში და დააფინანსა წიგნი „ერისკაცი“, რომელიც ვახტანგ ახვლედიანს მივუძღვენი.

აქვე მინდა დავძინო, რომ 2012 წლის 26 მაისს გარდაიცვალა მწერალი და საზოგადო მოღვაწე, „აკადემიის“ საპატიო წევრი ბატონი – **ვახტანგ ახვლედიანი**.

როგორც ზემოთ აღვნიშნე მას წიგნი მივუძღვენი სახელწოდებით „ერისკაცი“ და ახლახან კი 22 მაისს მას მივუძღვენი დოკუმენტური ფილმი „სისხლიანი კალო“, რომელიც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს **ვახტანგ ახვლედიანისა და სამშობლოსადმი თავდადებულ ღირსეულ მამულიშვილთა ნათელ ხსოვნას** მიეძღვნა.

მასში შეხვდებით **ჭაბუა ამირეჯიბს, ნონა გაფრინდაშვილს, ვლიზბარ ჯაველიძეს, გოგი ქავთარაძეს...** ბევრ სხვა ცნობილ პიროვნებას, „**სახალხო კრების**“ აქტივისტებს.

აღნიშნულმა ორგანიზაციამ 2011 წელს შეძლო გაერთიანებული ძალით ებრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. საპროტესტო აქციებს, რომელიც ჯერ **ბათუმში** (21 მაისს), ხოლო რამდენიმე დღეში **თბილისში** გაიმართა (25 მაისს), მონაწილეთა დარბევა—დაპატიმრება მოჰყვა. აქციებში სხვებთან ერთად მონაწილეობდა **ვახტანგ ახვლედიანიც**.

არქივებიდან ამოღებული დოკუმენტური კადრებით, თვითმხილველთა ინტერვიუებით ნათლად ჩანს, თუ რა სისასტიკეს ჰქონდა ადგილი. ამ ფილმში პირველად ვიხილეთ ის ადამიანები, ვინც აქციებში აჭარიდან მონაწილეობდნენ.

აქ მინდა ბატონ ვახტანგის ერთი პატარა მოთხრობა გავიხსენო, მის უკვდავ წიგნიდან „**ძახილი**“, რომელიც ბათუმლებს ეხება და მკითხველმა დასკვნა თვითონ გამოიტანოს. „**ოდეს კაცსა დაეჭირვოს...**“

„2005 წლის ივნისში ჩემი ქალიშვილის – ზეინაბის ქორწილი მაქვს დანიშნული.

– რაც უნდა კარგი და მრავალფეროვანი სუფრა გქონდეს, თუ ღვინო ძალიან მაღალი ხარისხის არ გექნება, დაგიწუნებენ. კარგი ღვინო სუფრის სინდისია, – მეუბნება როლანდ ხეიჩია.

მარდი, დაულალავი, დაუზარებელი და უსასრულოდ ერთგული კაცია როლანდი. მიუხედავად ასაკისა, ღონეც მოსდევს. თავის დროზე სპორტსმენი იყო, მოჭიდავე. იგი საქართველოს სიცილის მეფის – **იპოლიტე ხეიჩიას** ძმისშვილია. მამამისი – **გრიგოლ ხეიჩია** თავის დროზე ბათუმის კოლორიტი იყო.

– გეთანხმები, – ვპასუხობ. – ახლა უნდა გამოჩნდეს შენი დიდი უნარი, როლანდ.

– შეგიძლია, არ იდარდო, ძმაო, თავის ღროზე ყველაფერი გექნება, – მამშვიდებს.

– ორ დღეში თბილისიდან მირეკავენ.

– ბატონი ვახტანგი ბრძანდებით?

– გახლავართ.

– ხვალ ღვინო ჩამოგივით. დღის მეორე ნახევარში ჩვენს მარანს მიაკითხეთ პუშკინის ქუჩაზე.

– რამდენი უნდა გადავიხადო?

– გეკადრებათ? თქვენი ქალიშვილის საქორწინო საჩუქრად ჩაგვითვალეთ მე და როლანდს, – მეუბნება.

– სახელი მაინც მითხარით, ბატონო ჩემო.

– ალექო.

ღვინო იმდენი გამოეგზავნათ, ორ ქორწილს ეყოფოდა.

დღესაც, ნებისმიერ სუფრასთან ჩვენი მეგობრობის სალოცავთან ერთად, მე და როლანდ ზვიჩია **ალექო ნოზაძის** სადღეგრძელოსაც წარმოვთქვამთ“.

აქვე, – ერთი ბათუმელის ნაამბობი მინდა გავისხენო, რომელიც ბათუმელი კაცის ხასიათს წარმოაჩენს.

ზაფხულში ზღვის სანაპიროს დამსვენებელს რა მოაკლებს..., ჰოდა იხსენებს ჩვენი თანაქალაქელი.

ზღვის ნაპირზე უამრავი ხალხი იყო მოფენილი, ზღვაშიც ისეთი სიმჭიდროვე იყო, რომ დასადგომი ადგილიც არ იყო. ამ ღროს ჩვენი ქუჩის ბიჭები ნაპირზე მზის ვანებს ვლებულობდით, ვხედავთ ერთი ათლექტური აღნაგობის ახალგაზრდა მამაკაცი ნაცნობ ქალებს ეთამაშება და ისინიც სიამოვნებით მას ეკვრიან ხოლმე და არის ერთი სიცილხარხარი. ამ ღროს მას მიუახლოვდა ჩვენი ქუჩის მცხოვრები, ახოვანი ვაჟკაცი **ჯემალ შანიძე**, ზედმეტ სახელად – „**პანტერა**“-დ ცნობილი და მამაკაცს ყურში წასჩურჩულა რაღაც, ეტყობა თავშეკავებისკენ მოუწოდა.

– უცხო მამაკაცი უცებ შეჩერდა და მერე გასაგონად უთხრა – გავიღეთ აქედან და დავილაპარაკოთ! უწინ კონ-

ფლიქტებს მამაკაცები ვაჟკაცური ჩხუბით აგვარებდნენ. რაინდი რომელიც გამოიწვევდა „ღუელში“ ვინმეს, პირველი დარტყმაც მის მოწინააღმდეგეს ეკუთვნოდა, ასე ამგვარად იყო მაშინდელი „წესები“, ასე რომ, პირველი დარტყმა „პანტერას“ ერგო.

– ზღვის პირიდან სანაპირო თეატრთან გავიდნენ, კორტებისკენ, ჩვენც მათ გავყევით და შორიახლოდან, ბუჩქებიდან დავიწყეთ ყურება. გვესმის უცხო მამაკაცის ხმა, – რაღას უცდი, პირველი დარტყმა შენ გეკუთვნის! მიმართა „პანტერას“.

– მე ვერ დავარტყამ – შენ სტუმარი ბრძანდები. ამ სიტყვების გაგონებაზე ოცხო მამაკაცმა, გაოცებულმა შესძახა, – შენს ქართველობას ვენაცვალე! – მასთან მიიჭრა და გადაეხვია...

– უცხო მამაკაცი, როგორც მერე გავიგეთ, ცნობილი ქართველი მსახიობი – **დოდო აბაშიძე** აღმოჩნდა.

– ცხონებულ ჯემალ შანიძეს ვიცნობდი, აბა მას ვინ არ იცნობდა ბათუმში...

– ღმერთმა აცხონოს მისი სული.

აქ კაცმა ერთიც უნდა თქვას, რამდენი ბათუმელი დადიოდა და დღესაც შეუმჩნევლად დადის მის ლამაზ ქუჩებში, დადიოდნენ იმ კაფე-ბარებში, სადაც ჩვენი კოლორიტები იკრიბებოდნენ, ფინჯან ყავასთან ბაასობდნენ, ერთად ესწრებოდნენ სპექტაკლებს, ქორწილებისა და ქელეხების სუფრებზეც ხშირად სვდებოდნენ ერთმანეთს, ბათუმი ხომ პატარა ქალაქია, ყველა ყველას იცნობს, მაგრამ შეუმჩნევლნი რჩებოდნენ ყოველთვის. ახლა ერთ-ერთს წარმოგიდგენთ – **რომან ბერბიჭაშვილს**, ჩემს უახლოეს მეგობარს, ბათუმის მანქანათსამშენი ქარხნის მოწინავე ინჟინერ-ტექნოლოგს. იგი კარგი სამსახურისათვის დაჯილდოებული განლდათ მთავრობის სიგელებითა და ღოპლომებით, დიასაც უწინ სამსახურიც იყო და

ადამიანიც ღირსეულად ცხოვრობდა. როგორც ერთმა „აკადემიელმა“ ბატონმა ვეძალ შავაძემ, რომელსაც თავის დროზე საპასუხისმგებლო პოსტიც ეკავა, ერთხელ საუბარში ბრძანა: ძველ მთავრობას (კომუნისტების პერიოდს გულისხმობდა) რომ ავინებენ, ჯერ თვითონ ხალხის ყოფითი მდგომარეობა გააუმჯობესონ, მთელი საქართველო თითქმის სიღარიბის ზღვარზე ჰყავთ მიყვანილი, თავისთვის პრემიებს ირიგებენ, ხალხს ჯიბეში ერთი თეთრიც არ გააჩნია და შემდეგ აკრიტიკონ ძველები. მაგალითისთვის მოიყვანა: კომუნისტების დროს ელექტროენერგია ორი კაპიკი ღირდა, ნავთი ოთხი კაპიკი, ხოლო ბენზინი კი სადღაც ათ კაპიკამდე თუ ფასობდა, ჰოდა დასკვნებიც, თვითონ გააკეთეთო...

რომანი ყველასთვის გვერდში მდგომი პიროვნება გახლდათ, დაუზარელი, უღალატო და სანდომიანი. ყოველთვის მოგიკითხავდა, დახმარების ხელს გამოგიწვდიდა: მოკლედ გაჭირვების ტალკვესი გახლდათ, ვერ მოესწრო ამ წიგნის გამომზიურებას, ისე დატოვა ეს ქვეყანა და დაგვწყვიტა გული ახლობლებს. ასეთები ბევრნი არიან ბათუმში, აბა მათ სახელებს ვინ ჩამოთვლის... ჩემს მეგობარზე ბევრი სათქმელი მაქვს, მაგრამ ამ ყოველივეს სხვა წიგნის ფურცლებიდან ვიტყვი...

რომანმა კარგი შვილები გამოზარდა, დიდ ბაბუობასაც მოესწრო და ვაჟკაცი გვარის გამგრძელებელიც კარგი დატოვა – მიშიკოს სახით.

**ღმერთმა სამარადისო სასუფეველი დაუმკვიდროს ჩემს კეთილ მეგობარს...**

ახლა ისევ ბატონ ალი სამსონიას უკვდავ კალამს დავუბრუნდეთ...

**„რატომ გიყვარს ბათუმი?“**

– ალბათ, იმიტომ, რომ სხვა ქალაქების მსგავსად ბათუმსაც თავისი კოლორიტი, თავისი განუმეორებელი სიღამაზე

აქვს, სტუმარს რომ ერთი ნახვით ატყევევებს და გულში პირველი სიყვარულივით ტკბილ მოგონებას უტოვებს.

– სად არის ასეთი ბუნება, – ასეთი ზღვა, თეთრი გემებითა და აფრებით, ოქროთი სავსე ლაჟვარდით, რომელიც ყველა დროში ელის თქვენს ღიმილს, რაც ხალისს გმატებს, ფრთებს გასხამს და რწმენას გმატებს?

- გალაკტიონი ხომ გახსოვთ?
- მიყვარს ბათუმი... მისი ბუნება,
- მის ოქროვულ ლაჟვარდის ბლონდი,
- მისი ზღვის მძლავრი აგუგუნება,
- მისი ზენიტი და ჰორიზონტი!

– მომხიბვლელია აჭარის ლაჟვარდი, მაგრამ ის ხომ არ შეგვაშინებს, „მზიური ბათუმი“ რომ ჩვენი ქვეყნის ყველაზე წვიმიანი ქალაქია?

- როგორ გეკადრებათ!
- ვერც ისე საშიშ წვიმების ხშირი
- და მხიარული ულტიმატუმი
- შეძლებს, რომ გულის გულთან კავშირი
- შეწყვიტოს, ისე მიყვარს ბათუმი.
- ლურჯი ზღვა, კრიალა ქუჩები, ლამაზი ბუნება – თქმა არ უნდა, ყველაფერი ეს ბათუმის კოლორიტია, მაგრამ ყველაზე უფრო კოლორიტული ბათუმში მაინც ბათუმელები არიან.

– რატომ გიყვარს ბათუმი?

– მე თუ შემეკითხებით, ასე გიპასუხებთ:

– იმიტომ მიყვარს, რომ ამ ქალაქში შესანიშნავი ადამიანები ცხოვრობენ, შრომისმოყვარე, მეგობრისმოყვარე კეთილი ადამიანები. ეს მათი მარჯვენით, მათი გონებით, მათი სისხლითა და ოფლით აშენდა დღევანდელი ბათუმი – ძველი, მაგრამ მაინც ახალი ქალაქი.

.....წელიწადში 365 დღეა.



ქალაქში, სადაც ჩვენი გმირები ცხოვრობენ, 365–დან 300 დღე წვიმიანია და ქალაქს მზიანეთი ჰქვია.

...მაშასადამე, მზიანეთს რომ ახსენებენ, წვიმას წარმოიდგენენ. ასევე შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ქოლგები, პლაშები, კალოშები და კაუჩუკიანი ფეხსაცმელები. ყველაფერი ეს ერთად აღებული მხოლოდ ჩვენი ქალაქისათვის დამახასიათებელი კოლორიტია.

ყოველგვარ წარმოდგენას მაინც უშუალო გაცნობა სჯობს: თუ როგორია მზიანეთური წვიმა, ამის გასაგებად მობრძანდით ნოემბერში და ყველაფერი საკუთარი თვალით იხილეთ.

თუმცა აქვე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ერთია – ზედაპირული შთაბეჭდილება, და მეორე – წვიმის შინაგანი გაცნობა. ამის გასაგებად კი ჩვეულებრივი სტუმრობა ვეღარ გიშველით, საჭიროა თვით მზიანეთის მკვიდრი იყოთ...

...მზიანეთის ისტორია ზღვასთანაა დაკავშირებული.

დავიწყოთ იქიდან, რომ ზღვას მზიანეთისთვის არასოდეს უღალატია, მუდამ ერთგულად ეალერსება მის ნაპირებს. მართალია, ხანდახან გადაირევა კიდეც, მაგრამ ეს გადარევაც მხოლოდ სიყვარულის ბრალია. მართალია, არგონავტების ხომალდს მის ნავსადგურში ღუზა არ ჩაუშვია, მაგრამ არსებობს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ლეგენდა, კერძოდ, ის, რომ შოთა რუსთაველი იერუსალიმში მზიანეთიდან გაემგზავრა. სხვა დიდ ადამიანებსაც გაუვლიათ ჩვენს ქალაქში, მაგრამ დარჩენით არ დარჩენილან, რადგან მზიანეთს საკუთარი დიდი ადამიანები ჰყავდა. ამაში არაფერია გასაკვირი. დიდი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები და ფეხბურთელები პროვინციაში იბადებიან, დიდების გვირგვინს კი დედაქალაქში იღებენ თავზე.

– **რატომ გიყვარს ბათუმი?**

გპასუხობთ: თუნდაც იმიტომ რომ თქვენ, ჩვენო ძვირფასო ქალაქის მემკვიდრე, ბათუმის ქუჩებში რომ დადიოდით სხვა დანარჩენ ბათუმელ კოლორიტებთან ერთად და ცხოვ-

რობდით, ბჭობდით და აშენებდით, ალამაზებდით და ნერგავდით ყოველივე ქართულს, ამ დიდ და განუძმორებელ კოლორიტობას, რასაც ნამდვილი ბათუმელი ჰქვია! მასხოვს ჯერ კიდევ ახალგაზრდას, რომ ჩავივლიდით მეძედ აბაშიდის გამზირზე (ყოფილი სტალინის გამზ. ეს ზამთარში სანაპირო ბულვარის როლს ასრულებდა, მარშრუტი კი პიონერთა პარკიდან ნავსადგურამდე განისაზღვრებოდა) ხალხი მოკრძალებით გესალმებოდათ: იუსუფ კობალაძეს, ხასან მეგრელიძეს, შალვა ინასარიძეს, მურად ხინიკაძეს და სხვა ბათუმის კოლორიტ ბუმბერაზებს, სიამაყის შეგრძნება გვეუფლებოდა, თქვენ რომ მოგესალმებოდით და თქვენაც დინჯად თავს დაგვიკრავდით...

თქვენი დატოვებული „აკადემია“ დღესაც აგრძელებს სიცოცხლეს, მართალია ის ყოფილი რესტორან „აჭარის“ ძესამე სართულიდან (დღეს სამწუხაროდ ბევრი რამ ყოფილია...) აჭარის ყოფილი რედაქციის წინ მდებარეობს, ეგრეთ წოდებულ „სტეკლიაშკაში“ და ვინ იცის სანამდის იარსებებს...

ცხოვრების წესს კაცი ვერსად გაექცევა... სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა, თქვენთან ერთად მარადიულ სასუფეველში გადმოვიდნენ და ადგილი დაიმკვიდრეს აკადემიის თავკაცებმა: **შალვა ინასარიძემ, ვასო გობრონიძემ, ჰაიდარ ჯაფარიძემ, აკადემიის საპატიო წევრმა – ვახტანგ ახვლედიანმა**, ხოლო ახლახან კი მისი კარი შემოალო მისმა თავკაცმა, ბატონმა **ლევან ღლონტმა**, რომელსაც თქვენ კალმით მისივე სიცოცხლეში მოეფერეთ და მას უწოდეთ – **ჩემი მეგობარი ლევანი: (ამონარიდი) – „როდესაც ბათუმის თეატრზე ჩამოვარდება საუბარი, უპირველესად იუსუფ კობალაძეს, მურად ხინიკაძეს, ნუნუ თეთრაძეს, აკაკი მეგლაძესა და სხვა სახელმძხვრეკილ მსახიობებს ახსენებენ. ეს მათმა და მომდევნო თაობამ მოუტანა ბათუმის თეატრს დღევანდელი სახელი. ეს მათი „ოიდ-**

იპოსი“, „კიკვიძე“ და სხვა სპექტაკლებია, საეტაპოდ რომ იწოდებიან თეატრის ისტორიაში.

სცენის ამ ოსტატების მხარდამხარ ბათუმის თეატრში მოღვაწეობდნენ ახალგაზრდა მსახიობები, რომლებმაც თავიანთი ნიჭიერებით მაყურებელთა სიყვარული დაიმსახურეს.

ერთ მათგანზე – **ლევან ღლონტზე** მინდა გესაუბროთ იგი ჩემი მეგობარი გახლავთ. მეგობარზე წერა სასიამოვნოცაა და ძნელიც. მე სიამოვნებით ვწერ.

ანკეტური მონაცემებით დავიწყებ.

ლევან ღლონტი 1937 წელს დაიბადა, სწორედ იმ წელს, როდესაც ბათუმის თეატრის სცენაზე რუსთაველის სახელობის თეატრის სტუდიის აჭარის სექციის კურსდამთავრებულებმა პირველი სპექტაკლი წარმოადგინეს (**„ბრმა“ დოდო ალექსიძის დადგმით**).

ახლა თქვენ ტრადიციულ ფრაზას მოეღიბო: „ბავშვობიდან სურდა მსახიობი გამოსულიყო“, მაგრამ ბავშვობაში ლევანი ბურთს დასდევდა, მძლეოსნობაც იტაცებდა. ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში აჭარის რეკორდსმენი იყო ჭაბუკთა შორის. საფეხბურთო კარიერა უფრო თვალსაჩინო ჰქონდა – საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების მეკარე იყო და საკავშირო ასპარეზობაზე მისი გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდა.

სპორტი სპორტია, მაგრამ ლევანს ლიტერატურაც უყვარდა, თუმცა დაწერით არაფერი დაუწერია, თეატრიც უყვარდა. 12 წლის იყო, პირველად სცენაზე ოდიპოსი (**იუსუფ კობალაძე**) და კიკვიძე (**მურად ხინიკაძე**) რომ ნახა. თეატრის სიყვარულმა კულტურის სახლის დრამატულ წრეში მიიყვანა. ამ წრეს **შალვა გეჯჯაძე** ხელმძღვანელობდა. აბა მაშინ ლევანი რას იფიქრებდა, რომ წლების შემდეგ სწორედ **იუსუფ კობალაძის, მურად ხინიკაძისა და შალვა გეჯჯაძის** პარტნიორი იქნებოდა სცენაზე.

სკოლის დამთავრების შემდეგ რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობდა. სტუდენტობისას უთამაშია სპექტაკლები: „ღალატში“, „სასტუმროს დისანლისში“, „სეილემის პროცესში“... სტუდენტობის პერიოდშივე, 1958 წელს, მონაწილეობდა საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში.

1960 წელს დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი და ბათუმის თეატრის დასში ჩაირიცხა.

თუმცა ჰამლეტი მათი თანატოლი იყო, მაგრამ ახალბედა მსახიობების უმრავლესობას სადებიუტოდ მაინც ეპიზოდური როლები უწევს: მეორე მსახური, პირველი მგზავრი, მეხუთე პერიქიფე...

ლევან ღლონტს ბედმა გაუღიმა, უფრო სწორად, რეჟისორმა **შალვა ინასარიძემ** „გაუღიმა“ – **ზურიკელა** ათამაშა სპექტაკლში **„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“**.

ეს იყო 1961 წელს, როცა ნოდარ დუმბაძის მოთხრობის გმირები **„ცისკრის“** ფურცლებიდან სცენაზე იწყებდნენ ტრიუმფალურ სვლას.

პიესა თითქმის ერთდროულად დაიდგა თბილისის მარჯანიშვილის სახელობისა და ბათუმის ჭავჭავაძის სახელობის თეატრებში. დაიდგა და 11 წელიწადი არ ჩამოსულა ბათუმელთა სცენიდან (როგორი რეკორდია!).

თბილისელთა სპექტაკლის წარმატებაზე ბევრი დაიწერა, მაგრამ ვისაც ბათუმელი **„ბებია“** უნახავს, დაგვერწმუნება, რომ შესანიშნავი სპექტაკლი იყო (მათ შორის საინტერესო იყო **ნოდარ დუმბაძის** აზრიც). ბრწყინვალე სცენური სახეები შექმნეს **მანუჩარ შერვაშიძემ** (ილარიონი) და **შალვა ძიძიშვილმა** (ილიკო), მეტად კოლორიტული იყო **ნაზი კეჭყემაძის** ბებია. „მე“ (ზურიკელა), როგორც გითხარით, **ლევან ღლონტი** იყო – ალალი და საყვარელი სოფლელი ბიჭი.

პრემიერის შემდეგ დებიუტანტს მეგობრებმა ყვაილები მიართვეს. ეს მომავალი წარმატების ავანსიც იყო.

თერთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, წლევეანდელი სეზონის პირველ პრემიერაშიც ლევან ღლონტმა მთავარი როლი შეასრულა და ეს როლიც ფრიად ღირსშესანიშნავია მსახიობის ბიოგრაფიაში.

ამჯერადაც თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლი – ახალგაზრდა მწერლის **გურამ ფანჯიკიძის** განმაურებული რომანის „**მეშვიდე ცის**“ ინსცენირება. ამ ნაწარმოების მთავარი გმირი ლევან ზიდაშელი კრიტიკამ ერთხმად აღიარა როგორც ფრიად ორიგინალური ლიტერატურული სახე. ლევან ღლონტმა მშვენივრად გახსნა ლევან ზიდაშელის რთული, წინააღმდეგობით აღსავსე ხასიათი. განსაკუთრებით ძლიერია მსახიობი აღსარების სცენაში, როდესაც მეგობრის წინაშე თავისი საქციელის გამართლებას ცდილობს. აქ მას კარგ პარტნიორობას უწევს ახალგაზრდა მსახიობი **ბერდია ინწკირველი**. აღსანიშნავია აგრეთვე **იური ცანავას**, **ამირან ტაკიძის**, **ლამარა ყარასაშვილის**, **ნუნუ ხინიკაძის**, **ნიაზ მესხიძისა** და სხვათა თამაში. შემთხვევით არ იყო, რომ ახალგაზრდა რეჟისორის ენვერ ჩაიძის ამ სპექტაკლმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ კონკურსზე პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მთავარი როლის შემსრულებელს **ლევან ღლონტს**.

„**ბებიასა...**“ და „**მეშვიდე ცას**“ შორის, როგორც ვთქვით, თერთმეტი წელიწადაა, თერთმეტი თეატრალური სეზონი. ამ ხნის მანძილზე ლევანს იმდენი როლი უთამაშია, მათ შორის მხოლოდ ზოგიერთს შეგახსენებთ: გენერალი სიტნიკოვი „**კიკვიძეში**“, როდერიგო „**ოტელოში**“, გაბრო „**გლახის ნაამბობში**“, ტოპაზი „**ტოპაზში**“, სტენლი კარი „**მკვლელებში**“,

ჩინჩალაძე „ჯარისკაცის ქვრივში“, კარანდიშევი „უმზითვოში“, მინდია „ალუდა ქეთელაურში“.

გაზეთიდან ამონაჭერ რეცენზიებს აღარ დავიმოწმებ, მხოლოდ ვიტყვი, რომ სხვადასხვა იყო ამ როლების ხასიათი: კარგი, საშუალო, ცუდიც (ცუდზე რეცენზენტები იშვიათად წერენ), მაგრამ ყველა როლს ლევანი ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. შეიძლება თამაში არ გამოვივიდეს, ამბობს იგი, მაგრამ ცდა არ უნდა დააკლო, პატივი უნდა სცემსახიობის პროფესიას და რაც მთავარია, მაყურებელს.

ლევან ლლონტს თითქმის ყველა ეპოქის გმირი გაუცოცხლებია სცენაზე, მაგრამ აღიარება ძირითადად მაინც თანამედროვეის ამსახველ სპექტაკლებში მოუპოვებია. ლევანისთვის ახლობელია მისი თანატოლების ბუნება, ახალგაზრდა კაცის ხასიათი, მისი მისწრაფებები...

ისევ ანკეპტური მონაცემები მოვიშველიოთ:

1963 წელს თანამედროვეობისადმი მიძღვნილი სპექტაკლებისა და თეატრალური ახალგაზრდობის რესპუბლიკურ დათვალიერებაზე ლევან ლლონტი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების სიგელით დააჯილდოვეს ზაზას როლის შესრულებისათვის სპექტაკლში „**ადამიანი დაბრუნდა**“.

1965 წელს მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის წოდება.

1966 წელს ბათუმის თეატრის ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად მონაწილეობდა რიგაში გამართულ საკავშირო თეატრალურ ფესტივალში.

1968 წელს ითამაშა კრემლის თეატრის სცენაზე მოსკოვში ბათუმის თეატრის გასტროლების დროს. ბათუმელებმა ორი სპექტაკლი წარმოადგინეს და ორივეში მთავარ როლს ლევანი ასრულებდა.

იმავე წელს ბათუმის თეატრი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელით ბულგარული პიესების ფესტივალში მონაწილეობისათვის. სპექტაკლში „ყოველ შემოდგომის საღამოს“ ლევან ღლონტი ასევე მთავარ როლს ასრულებდა.

კიდევ?

ლევან ღლონტი კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტთან არსებული „ახალგაზრდა შემოქმედთა საბჭოს“ თავმჯდომარეა, აქტიური მუშაობისათვის შეტანილია კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის საპატიო წიგნში, სამჯერ იყო საქართველოს კომკავშირის ყრილობის დელეგატი.

მის რეჟისორულ საქმიანობაზეც ხომ უნდა ითქვას! პედაგოგიური ინსტიტუტის, ქალაქის სკოლებისა თუ პიონერთა პარკის სცენაზე ათზე მეტი სპექტაკლი დაუდგამს, „არც თუ ისე ცუდად“, როგორც პროფესიონალი რეჟისორები ამბობენ. „ნუ გეშინიათ, პურს არ წაგართმევთ“, – ამშვიდებდა მათ ლევანი.

და კიდევ, როგორ შეძლება არ ითქვას ლევან ღლონტის შესანიშნავ ოჯახზე, მის დედაზე – ქალბატონ მარგალიტაზე (მამა – სოფლის მეურნეობის ცნობილი სპეციალისტი 1960 წელს გარდაიცვალა), ლევანის მეუღლე ლენასა და მათ ორ ქალიშვილზე ნატოსა და მაიკოზე. ლევანის ძმა თენგიზი, ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვანი, (ამჟამად ბათუმის მთავარი მხატვარია). მესამე ძმა – რეზო პარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი.

ასეთია ფრაგმენტულად ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობის ლევან ღლონტის პორტრეტი, ჩემი მეგობრის პორტრეტი.

როგორც მოგეხსენებათ, მეგობარზე წერა სასიამოვნოცაა და ძნელიც.

მე სიამოვნებით ვწერდი“.

ახლა კვლავ მივუბრუნდეთ ბატონ ალექსანდრეს კალამს და წიგნიდან „პროვინციის მზე“-დან შემოგთავაზებთ ერთ-ერთ მის ამონარიდს, სათაურით „მზიანეთის ცენტრი საყავა“ და ამით მიხდებით თუ რის თქმასაც ვაპირებდი და რადგან ბატონი ალივით ვერავინ გადმოცემს იმას რაც მან თავისი დიდებული კალმით უკვე გადმოგვცა, მის ნაამბობს გავიმეორებ დიდი სიამოვნებით და ასე, ამ გზით ალი კიდევ ერთხელ ჩვენთან იქნება მისი მორგებული და სხარტი კალმით...

„დიალოგი ქუჩაში:

– ასლანი ხომ არ გინახავს? მაგის ძებნაში მთელი ქალაქი შემოვიარე.

– საყავეში შეიხედე?

– არა.

– ტყუილად მოგიკლავს თავი და ისაა!

დიალოგი საყავეში:

– მამიკო, დედამ შემოგითვალა, სტუმრები ჩამოვიდნენ და სახლში მოდიო.

– ჩემი იღბალი! ყავის დალევასაც არ გაცლიან კაცს!

დიალოგი ოჯახში:

– რა მოხდა, შე კაი ქალო, დასვენების უფლებაც წამართვი?!

– ბარემ ლოგინი დაიდგი მაგ საყავეში და სახლში ღამის გათევა არ დაგჭირდება!

ეს ტიპიური დიალოგებია ტიპიური მზიანეთელის ცხოვრებიდან, და, როგორც ხედავთ, ძალღის თავი საყავეშია დამარხული.

დიდი აღმოჩენები და დიდი მოვლენები ჩვეულებრივად შინაურ ცხოველებს უკავშირდება. მაგალითებით თავს არ შეგაწყენთ, ოღონდ იმას შეგახსენებთ, რომ ყავის აღმოჩენას ისტორიულად თხას მიაწერენ. ძალიან დიდი ხნის წინათ თხამ, თურმე, შემთხვევით ყავის ხეს ფოთოლი გაუსინჯა და ძალიან მოეწონა. ეს რომ პატრონმა დაინახა, თქვა, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, და ყავის სმა დაიწყო.



ახლა რომ გითხრათ, – ის ლეგენდარული თხა მზიანეთში ცხოვრობდა-მეთქი, ტყუილი გამომივა. ჩვენბური თხა მხოლოდ ვენახს ჭამდა. ეტყობა, უფრო ჭკვიანი ყოფილა. ყავის სმას რომ ღვინის სმა სჯობია, ეს ადამიანებმაც დაამტკიცეს.

რაც აქამდე გითხარით, ზოგადი მოსაზრებებია. კონკრეტულად კი ყავა და მზიანეთი განუყოფელია.

დაგიღევით თქვენ სონიას ან იზაბელას მოდულბუღი შავი ყავა? ისეთი კი არა, თბილისში რომ მოიტანენ-წყალწყალასა და ამღვრეულს, შიგ დაუფქვავ მარცვლებს რომ დაითვლი. მე ნამდვილ ყავაზე გეკითხებით, მზიანეთურ შავ ყავაზე. თუ არ დაგიღევით, ბევრი დაგიკარგავთ ცხოვრებაში და, სანამ დროა, გირჩევთ აინაზღაუროთ.

უყავოდ მზიანეთი წარმოუდგენელია. ყავაზე წყდება მსოფლიო პრობლემები, ნაწილდება თანამდებობები, ინიშნება პაემნები და კიდევ რამდენი რამ.

გარეშე კაცისათვის ყავის სმა მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებაა, მაგრამ შერვეულისათვის ეს მთელი ცხოვრებაა.

საყავე, როგორც ასეთი, კაფემია მოთავსებული. ყავის გარდა აქ ყიდიან ”ოჯახურს”, ”სტალინის” და ფორთოხლის არაყს. ერთი სიტყვით, სხვებისათვის მინიატურული რესტორანია. ყავის მოყვარულისათვის კი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს, კაფე მხოლოდ” კოფეა.

აღრე დილით, მუშაობის დაწყებამდე, თუ გვიან საღამოს, მუშაობის შემდეგ, ან კიდევ შესვენების დროს პატარა საყავეს მისი ნამდვილი კლიენტები ესტუმრებიან.

რაც უნდა დაღლილი იყოთ, ან რაც უნდა ცუდ ხასიათზე ბრძანდებოდეთ, საყავეში შესვლა ყველა უსიამოვნებას დაგავიწყებთ.

– ჯერ ის რად ღირს, როცა თამბაქოს კვამლში გახვეული საყავეს კარებს აღებს და ისეთი ღიმილით და შეძახილებით გვხვდებიან, თითქოს მარსიდან ჩამოსული კოსმონავტი იყო:

– ამირან, სიცოცხლე!

– დაბრძანდი, ამირან!

გეპატიჟებიან ყველა კუთხიდან და არ იცი, რომელ ერთს გაუწიო ხათრი, რომელთან ჩამოჯდე.

ბოლოს, როცა ყველაფერი დაწყნარდება და ყველას საერთო სალამსა და მადლობას დაუბრუნებ, ოფიციალტი მაშინვე თქვენთან გაჩნდება.

როგორ ბრძანდებით, ბატონო ამირან?

ამირანი ოფიციალტს კი არ ეტყვის, მაგი არაა შენი საქმეო, არამედ მადლობას გადაუხდის და ხელით ანიშნებს, ყავა მომიტანეო.

– იზაბელა, ყავა ამირანისთვის! – გასძახებენ ჯიხურს იქით. – ნახევრად ტკბილი.

– არის ყავა ამირანისთვის! – უპასუხებს იზაბელა. ოფიციალტს რომ არ ეთქვა, ნახევრად ტკბილიო, განა დაავიწყდებოდა, ამირანისთვის როგორი ყავა უნდა მიეტანა?!

ღიას, მუდმივ კლიენტებს საყავეში თავისი ყავა აქვთ. ეს არის დაუწერელი კანონი, რომელიც ყველამ ზეპირად იცის. ამირანს რომ ნახევრად ტკბილი მოსწონს, შალიკო ტკბილზეა შეყვარებული, დურსუნი კი მხოლოდ მაგარ ყავას სვამს.

სანამ ყავას მოიტანდნენ, ამირანი განუყრელ უზარმაზარ მუშტუკს ამოიღებს, მადიანად გააბოლებს ”პრიმას”, შემდეგ კმაყოფილი გადახედავს თანამოსუფრეებს და სხვათა შორის იკითხავს:

სხვა რა არის ახალი?

გაიგე, კაცო, ჩომბეს რა უთქვამს? – იწყებს მიშა.

რაო, რა მინდაო?

როგორც ნადირობისას, ყავის სმაზეც ტყუილი და მართალი ერთმანეთშია არეული. ზოგს სჯერა, ზოგს არა სჯერა და, ვისაც როგორ გაეხარდება, ისე უნდა მოიქცეს. ამ შემთხვევაში მთავარი ჭეშმარიტება კი არ არის, მთავარი ყავის

სმას. ჰოდა, წრუპავენ მზიანეთელები ნელ-ნელა სურნელოვან ყავას და დროს ატარებენ.

ფინჯანი ყავა ახალ ფულზე ორი შაური ან ცოტა ნაკლები ღირს. ფული აქ სიტყვამ მოიტანა, თორემ გასაოცარი ისაა, რომ ორ შაურად ორ საათს შეგიძლია თავი შეაქციო, ახალი ამბები გაიგო და ისიამოვნო. გული გულობდეს და ზოგჯერ ორშაურიანი ყავით ოცმანეთიანი პურ-მარილი იწყება.

აქ პურ – მარილზე და დროსტარებაზე რომ სიტყვა ჩამოვარდა, შეიძლება ვინმემ იფიქროს, თქვენს ქალაქში მართო ლოთი-შფოთი და ზარმაცი ხალხი ცხოვრობსო. ნურას უკაცრავად! მზიანეთელები სხვებივით დადიან სამსახურში, ქორწილში, ტირილსა და კინოში; აკეთებენ ჩარხებსა და კონსერვებს, ღვინის გაკეთებაც იციან. თავისუფალ დროს წერენ მისალოც ბარათებსა და ანონიმურ წერილებს. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ადამიანები არიან.

ჩვენ ამჯერად საკითხს გადავუხვიეთ და ისევ ყავას უნდა დავუბრუნდეთ.

თუ რამდენად მასშტაბურია მზიანეთის ცხოვრებაში საყავე, ამის დასამტკიცებლად მართო დიდიმ კეჟერაძის მაგალითიც კმარა. დიდიმი ავტორიტეტიანი მეცნიერია მზიანეთში და არა მართო მზიანეთში, მოსკოვშიც შემოქმედებითი მივლინება ხშირად უწევს; ჰოდა, როცა ერთხელ შემოქმედებითი მივლინებიდან დაბრუნებული დიდიმი მზიანეთის სადგურზე გადმოვიდა, ნაცნობმა ჰკითხა:

– რა არის ახალი, დიდიმ-ბატონო, დედაქალაქში?

– ჯერ საყავეში არ ვყოფილვარ და ახალს ვერაფერს გეტყვი, მიუგო კეჟერაძემ.

საყავე მზიანეთში რამდენიმეა. პირობითად მათ შეიძლება ეწოდოს: ”მწერლებისა და არტისტებისა”, ”მონადირეებისა”, ”ბაზრის ხალხისა” და ასე შემდეგ.

ყოველ საყავეს მხოლოდ თავისი მეყავეები ჰყავს და ვაი იმას, ვინც რეზიდენტის გამოიცვლის. მოლაღატეს უმაღლ შავ სიაში ჩარიცხავენ და მერე იმ თავხედმა თუ მაინც გაბელა ძველ საბუღარში ფეხის შემოდგმა, არც ერთი ოფიცინტი არ მოემსახურება.

რომ არ დაგავიწყდეს, აქვე გეტყვით, რომ ყველა საყავეს თავისი პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ჰყავს, როგორც ამერიკაში, მაგრამ მათ ამერიკულად კი არ ირჩევენ ფულითა და შანტაჟით, არამედ დემოკრატიული პრინციპით- დამსახურებისა და ერუდიციის მიხედვით.

კონკრეტულად, მე რომ ვინაბავთ, იმ საყავეს პრეზიდენტი მწერალი და საზოგადო მოღვაწე არჩიბაღლ შარაბიძეა.

მართალია, მზინათის კაფეს ჯერჯერობით პარისის "ოტონდის" ოღენა სახელი არ მოუხვეჭია, მაგრამ ყავაზე შემოსულ საზღვარგარეთელ ტურისტებს ადგილობრივი გიდი კოკი მაჭარაძე მაინც ასეთ განმარტებას აძლევს:

- აი, ამ მაგიღასთან მუშაობს მწერალი არჩიბაღლ შარაბიძე.
- ეს კუთხე მხატვარ ჟორა ბლუზოვის საყვარელი ადგილია.
- ამ ფანჯრიდან გასცქერის სამყაროს მსახიობი იონა კიკაბიძე.

ისე როგორც ჰემინგუეი იწერდა ერთ ღროს კაფე "როტონდაში", უცხოელი ტურიტებიც გაფაციცებით იწერენ ბლოკნოტში ყველაფერს, რომ შემდეგ ოკეანისგაღმელ საზოგადოებას ამცნონ მზინათის საყავის ამბავი.

არჩიბაღლ შარაბიძის საყავე ზღვისპირა ქუჩაზე მღებარეობს, სასტუმრო "უცხოეთის" ეზოში. ასე რომ, თუ დაინტერესდებით, მისი მონახვა არ გაგიჭირდებათ. კარგად დაიმახსოვრეთ, ეს საყავე მზინათის ცენტრია“.

არ ვიქნები მართალი, თუ აქვე ერთ-ერთ ბათუმელი კოლორიტის, აწგარდაცვლილი მწერლის, ნუგზარ ჯაფარიძის წიგნიდან „მოგზაურობა ბათუმში“ (1997 წლის

გამოცმა. ნაწ. პირველი), სათაურით: „**ასე ზუმრობენ**“, ბატონ ლევანის მიმართ საქმიანი და ყოვლისმთქმელი ფრაზა არ გავიხსენო:

„ზულოში დედის დღე ჩავატარეთ ლევან ღლონტმა და მე, რაც საქართველოში პირველი იყო და კარგი გამოვიდა.

ქუჩაში – მხვდება ერთი ზულოელი მეგობარი და მეკითხება როგორ ხარო. მე კი ვპასუხობ, ბედნიერი ვარ, იმ დედის დღის მერე ტყუპები შემეძინა მეთქი.

რას ამბობ, ახლა ის გადაირია, ქალიც რომ ამოგეყვანა მაშინ ზულოში, სამი ტყუპი გეყოლებოდაო...

მას მერე ოჯახი ბეშუმში დასასვენებლად რომ მიმყავს, ზულოში მანქანას აღარ ვაჩერებ“.

ჩვენ კი აქ შევჩერდეთ და კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს.

**ნუგზარი** და მე მეხუთე კლასში ერთ მერხზე ვიჯექით. ის პიონერთა რაზმეულის ხელმძღვანელი, წარჩინებული და ნიჭიერი მოსწავლე გახლდათ, ჰოდა ერთ კვირაში ცუდი ნიშნები დამიგროვდა, რის გამოც პიონერის ჰალსტუხი შემხსნა და მითხრა, „სანამ ნიშნებს არ გამოასწორებ არ დაგიბრუნებ“ო. (ნიშნები გამოვასწორე და ნუგზარმა ჰალსტუხიც დამიბრუნა). ეს ისე წინასიტყვაობის მიზნით გავიხსენე, ახლა კი მთავარი.

აჭარის განათლებისა და კულტურის მუზეუმში 2002 წლის 23 ოქტომბერს 14 საათზე, საქართველოს დამსახურებული არტისტის, მემედ აბაშიძის პრემიის ლაურეატის, დავაწლმოსილი, მამულიშვილის **ამირან ტაკიძის** დაბადებიდან 65 და სასცენო მოღვაწეობის 45 წლისთვისადმი მიძღვნილი საუბილეო საღამო გაიმართა, ეს ის დროა, როდესაც ხელოვნების მესვეურთ არ ვიცი რატომდაც სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა, მაშინ ბათუმი ოპერით სულდგმულობდა და ამიტომაც ასეთ მოღვაწისადმი დრო და ადგილი არ გამოინახა საკუთარ თეატრის კედლებში... ეს ისე ვახსენე, სხვათა შორის...

პირველი განყოფილების შემდეგ გადავინაცვლეთ სახელდახელოდ გაწყობილ სუფრასთან და ფეხზე დგომით რამდენიმე სადღეგრძელო შევსვით, ამ მოფერების სუფრას ნუგზარ ჯაფარიძე თამადაბოდა და აბა ვინ აღუდგებოდა მის მჭერმეტყველ ენას და, ჩვენ, იქ მყოფთ, ისღა დაგვრჩენოდა, რომ მისთვის გვესმინა.

ამ დროისათვის იყო გამოცემული ჩემი პირველი პოემა „გვირგვინოსანნი“, მინდოდა იგი ბატონი ამირანისთვის გადამეცა და როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მისთვის თავი შემეხსენებინა. ნუგზარის ყურში რამდენჯერმე წავჩურჩულე, რომ ჩემთვის სიტყვა მოეცა, თუმცა უშედეგოდ... შემდეგ ნუგზარს ხმამაღლა მივმართე: თეატრში პირველად ვინ წავიყვანა მეთქი და ეს ფრაზა მას რამდენიმეჯერ გავუმეორე, ამის შემწრენი გაოცდნენ, ნუგზარი ოდნავ შეცბა, გაჩერდა, თვალებში ჩამხედა, თითქოს იქიდან რაღაცა ამოიკითხა, და პატარა პაუზის შემდეგ მიპასუხა, – შენო! (სპექტაკლის „სიმღერა შევარდენზე“ პრემიერაზე ჩემს სანახავად მთელი კლასი მოვიდა), შე დალოცვილო ერთი სიტყვა მათქმევინე, რომ ამ ღვთიურ კაცს მოვეფერო, მასთან ერთად ერთ სპექტაკლში მითამაშია-მეთქი. ყველას სიცილი წასკდა. უსიტყვოდ მივედი ბატონ ამირანთან, ჩემი წიგნი გადავეცი და ერთმანეთს გადავეხვიეთ. იქ მყოფმა საზოგადოებამ ჩვენი დიდი ხნის შემდეგ შემდგარი შეხვედრა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა...

მე ბედნიერება მხვდა წილად, რომ ცხოვრების გზამ შემახვედრა ხალხისათვის უსაყვარლესი მსახიობები: იური ცანავა, ამირან ტაკიძე, ლევან ღლონტი და როლანდ კაკაურიძე მათთან მქონოდა საქმიანი ურთიერთობა. ისინი ჩემი დაკვირვებით, სადღაც ერთმანეთს ჰკავდნენ შესრულების მანერით. სცენიდან უმაღ იპყრობდნენ მაყურებელს და მოჯადოვებული ჰყავდათ დარბაზი მთელი სპექტაკლის მსვლელობისას. მათ

თენგიზ ცაცხლაშვილი

შესწევლათ უნარი როლის განსახიერების დროს მაქსიმალურად გამოეყენებინათ თავიანთი მაგიური პალიტრა გარდასახვისათვის. მათ შესწევლათ უნარი თანაბრად განასახიერებინათ როგორც დრამატული, ასევე სხვა ჟანრის მხატვრული სახეები, ჰქონდათ განუმეორებელი ხმის ტემბრი...

ღმერთმა ნათელში ამყოფოთ მათი სულები.



აკადემიის წევრები და თანაქალაქელები. ბათუმი, 2014 წელი, ალექსანდრე (ალეკო) აბაშიძის ფოტო




აკადემიის წევრები და თანაკლასელები. ბათუმი, 2011 წელი, გურამ ტურაშვილის ფოტო






ალი სამსონია




შალვა ინასარიძე



ვასო გობრონიძე



ჰაიდარ ჯაფარიძე



ლევან ლლობიძე



ასლან კაკაბაძე



მარცხნიდან: ლევან ღლონტი, პაატა ნაცვლიშვილი და მისი მეუღლე –  
 ნინო სხირტლაძე, ნუგზარ ჯაფარიძე



მარცხნიდან: გელა კაჭარავა, ჯემალ შავაძე, რეზო სურმანიძე,  
 ვარდო შარაძე, ფატი გორჯელაძე, ლევან ღლონტი, ანზორ კუღბა

და ბოლოს ისევ **ნუგზარ ჯაფარიძეს** ვუთმობ სიტყვას

### **ბათუმელი პეჩორინო**

ბათუმელი პეჩორინო  
ლერმონტოვის გენიავ,  
დარდმა არ დაგიმორჩილოს  
თუ რამ ვისი გწყენია.

სცენის მტვერი გიყლაპია,  
პოპულარულ მსახიობს,  
შენ სიცოცხლე გიხარია,  
მიტომც მუზას მსახურობ.

გაგიმარჯოს, მარჯი შენი,  
ჩვენი ძმობის დასტურად,  
გვემუქრები – დაგიბერდით  
ვთრები გოლიათურად.

პეჩორინო, ჩემო ლევან,  
აიაზმა გაასხურე,  
ერთად დავჭყლეთ მწიფე  
მტევანს,  
ღმერთმა მზე დაგვახუროს.



## მამია პარუანიძე,

პოეტი

### ლევან ღლონტი!

საქართველოს დამსახურებული მსახიობი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, ჩვენი თეატრის ღვაწლდებული ხელმძღვანელი, რაინდული სულისკვთების ადამიანი, უღალატო, ალალი, მეგობრების სული და გული, თანამეინახე და თანამოღხინე, თავმდაბალი და საყვარელი პიროვნება – აი, ვინ არის ჩვენი ამ პატარა წერილის პერსონა. ფაქტები გნებავთ? – რამდენიც გინდა... მეცნიერები იტყვიან: მემკვდრის გენები ემსგავსებიან მშობლებისასო. წამიერად უნდა გავიხსენო ლევანის მამა, ბატონი მიტროფანე. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორად ვმუშაობდი ერთხანს. 1953 წელია. ბატონი მიტროფანე მაშინ მუშაობდა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მგონი, ერთ-ერთი განყოფილების გამგედ. მე ახლოს ვიცნობდი მას. ერთ დღეს ჩემთან კაბინეტში შემოდის ეს საპატიო პიროვნება. მომიბოდიშა. მე ვუთხარი: არ გეწყინოს, ერთი შენიშვნა უნდა შეგკადროთო, ნუთუ, შენთვის ისე უცხო ვარ, რომ ჩემთან შემოსასვლელად ამდენი ბოდიში გჭირდება – მეთქი. ასე მჩვევიაო, მიპასუხა და გაიღიმა და გამოსაცემად გადმომცა მანქანაზე სუფთად გადაბეჭდილი წიგნი სახელწოდებით „უცნაური მცენარეები“. დავაიმედე, შევიტან საგამომცემლო გეგმაში-თქო. ღიმილით დაძეპვილობა და წავიდა. მე ვფიქრობდი: ასეთი მუშაკები ბევრი რომ გვყავდეს, საქართველოს ბალნარად ვაქცევდითო!

დამაინტერესა წიგნის სახელწოდებამ და ვიდრე მთავარ რედაქტორს, პოეტ ნესტორ მაღაზონიას გადავცემდი, გადავფურცლე, გამიტაცა და გულდასმითაც წავიკითხე. ორი დღის

შემდეგ დავურეკე და ვუთხარი – რა კარგი წიგნი დაგიწერია, ბატონო მიტროფანე, რა კარგი! იმანაც მადლობა მითხრა და თან დაუმატა – ამისთანა მეორე წიგნით, მალე გამოცემლობის კარზე მოგადგებიო... მისი წიგნი გამოიცა... აჭარწიგნის მალაზიებში ერთ თვეში გაიყიდა მთელი ტირაჟი. მალაზიის მუშაკები კვლავაც მოითხოვდნენ მოგვეცითო...

მიტროფანე კეთილშობილი კაცი იყო და შვილიც – ლევანიც მას ჰგავს. ჩვენს მწერლებს, პოეტებს მხარში უდგას ჭირ-ვარამში. ერთ დეტალს მოვიტან, პოეტ ზურაბ გორგილადის ლექსი „სულხან-საბა“ ბრწყინვალე ლექსია და თვითონ ავტორიც ხომ შესანიშნავად კითხულობს ტრიბუნიდან, მაგრამ ამ ლექსის ვირტუოზულად ზეპირთქმაში, არა მგონია ლევანს ვინმემ დაუდოს ტოლი.

1984 წელს ხელვაჩაურის რაიონის ხელმძღვანელობამ ამ რაიონის საპატო მოქალაქის წოდება მომანიჭა. იმ წელს რაიონში სახეიომოდ მზადდებოდა ე.წ. “კოლხობა“, რომლის ჩატარება დავალებული ჰქონდათ – ლევან ღლონტს, როგორც გამოჩენილ მსახიობს და ნიჭიერ ჟურნალისტს, შემოქმედს ნუგზარ ჯაფარიძეს. ამ ორს აზრად მოსვლია, ჩემთვის, როგორც ამ რაიონის მკვიდრისთვის, მონენიჭებინათ ხელვაჩაურის რაიონის საპატო მოქალაქის წოდება. ეს თხოვნა რაიკომის პირველ მდივანს, ბატონ ნიაზ გოგიტიძეს და რაიადმასკომის თავმჯდომარეს ბატონ რევაზ ბაქრაძეს გააცნეს. მოულოდნელად მიხმეს რაიონის ხელმძღვანელებმა და ეს აზრი გამიზიარეს, რას იტყვიო? მადლობა მოგახსენე ამ პატივდებისათვის. სწორედ მათ გამიმხილეს, რომ ამ გვირგვინს გამონასკვის გულითადი ინიციატორები იყვნენ ლევან ღლონტი და ნუგზარ ჯაფარიძე.

ორივეს, ლევანსაც და ნუგზარსაც, ასეთი დიდი ადამიანობის გამოჩენისთვის ახლაც მადლობა და მადლობა! ასე კეთილად უნდა ირჯებოდეს კაცი კაცისთვის და არა ხე-

ლეროსავით სულ თავისკენ მიიხვეტავდეს, სხვას ბნელში, ჩატეხილი ხიდისაკენ უბიძგებდეს, შურისა და შუღლის, გესლის მორევში ეშმაკურად ყვინთავდეს, კარგი ცოტაა და მათ უნდა მოვეუაროთ, თორემ ჩვენ სიცოცხლეს სულ შუღლი შეჭამს, ასეთი ადამიანები, საკმაოდ, რომ გვეყოლოდა, მაშინ საქართველოს, ქართველ ერს რა უჭირდა. მაგრამ... აქ დავსვით წერტილი. ვინც წაიკითხავს ამ სტრიქონებს, რასაც ვგულისხმობ, თვითონაც კარგად მიხვდება... მაგრამ ვაი, რომ ბოროტნი ბოროტებას არ მოიშლიან...

1996 წლის 17 დეკემბერს ჩატარდა ჩემი 80 წლის იუბილე, რომლის მხატვრული მხარის სულისჩამდგმლი იყო ლევან ღლონტი...

ეს საიუბილეო სპექტაკლი, ჩემს ბიოგრაფიაში დარჩება ოქროს ასოებით აღბეჭდილ ფაქტად. ამ ფაქტებიდან ამოიკითხოს დაუწერელი ჩემი ფიქრები მკითხველმა და თითონაც იფიქროს...

დასტურ რაინდული სულისკვეთებისაა ჩვენი საყვარელი მეგობარი, ლევანი.

ახლა მინდა სიტყვა დაუთმო ლევანის გარდაცვალების გამო გულდათუთქულ ძვირფას საზოგადოების წარმომადგენლებს.



## **ნიწო საკანდელიძე,**

საქართველოს სახალხო არტისტი

### **პატიოსნების სიმბოლო**

საწუთროს წუთი დაარქვეს  
წუთმა წაილო ფიქრები,  
დადგება ჟამი განკითხვის  
და წუთში აღარ ვიქნებით.

ჩემო ლევან, შენი წუთები, ისე მყარად და ისე კარგად გაატარე, შენი ცხოვრების მანძილზე, რომ თამამად შეგიძლია თქვა მე ღირსეულად გავლიე ჩემი ცხოვრება და ეს ნამდვილად ასე იყო.

მთელი ჩვენი განვლილი თეატრალური პერიოდი სულ პარტნიორები ვიყავით და ეს იყო ჩემთვის დიდი სიხარული, რადგან შენ იყავი ბრწყინვალე პარტნიორი, ბრწყინვალე მეგობარი. შენ იყავი კაცი პატიოსნების სიმბოლოთი.

შენ იყავი შეუდარებელი მეუღლე, მამა და ბაბუ.

შენ ძალიან სუფთა და დიდი გული გქონდა, ჩემო ლევან, მიკვირს ამ გულმა როგორ გიღალატა, თუმცა არა, ამას ღალატს ვერ დავარქმევ.

შენ ხარ წმინდანი სულით და გულით, რათა ღმერთი იხილო, ნათელი დაადგეს შენს სულს, დიდი მონატრებით და დიდი ტკივილით.





## იური ცანავა,

საქართველოს სახალხო არტისტი

### იგი მაყურებელს უყვარდა

**ჩვენი ლევანი!** – ასე მოიხსენიებდნენ ჩვენთან თეატრში, როცა მასზე საუბარი ჩამოვარდებოდა. იგი ინსტიტუტიდან სრულიად ახალგაზრდა მოვიდა თეატრში. სულ მოკლე დროში წამყვან ძალად იქცა, ძალზე წარმატებულ მსახიობად ჩამოყალიბდა და თავისი უშუალო და მაღალმანხტვრული შემოქმედებით საზოგადოების საყვარელი მსახიობი გახდა. თამაშობდა წამყვან როლებს, მალე დაიპყრო მაყურებლის გულები. განსაკუთრებით ახალგაზრების, რადგან ნიჭთან ერთად გარეგნობაც მეტად მიმზიდველი ჰქონდა. მიჭირს მასზე წარსულში ლაპარაკი. გულწრფელი და სათნო გულის პიროვნება იყო, მისთვის მიუღებელი გახლდათ შური, ღვარძლი, ვერაგობა, ამიტომაც, კოლექტივის მოთხოვნით, დიდხანს გახლდათ ბათუმის თეატრის ხელმძღვანელი. ამ პოსტზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა მისი დიდი სიყვარულის უნარი და კაცობა.

დიდია ლევანის ღვაწლი ხალხურ თვითშემოქმედებაშიც. მრავალი დიდი ღონისძიებისა და კონცერტის დამდგმელი და რეჟისორი იყო. დღე-დღეზე თეატრის წინ მისი სახელობის ვარსკვლავი უნდა გახსნილიყო და რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს დღესასწაული დიდი ტკივილითა და მწუხარებით შეიცვალა. ფაქტი ერთია, ლევან ღლონტმა თავისი მოსვლითაც და წასვლითაც სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა თეატრალურ ცხოვრებაში.

მშვიდობით, ჩვენო ლევან, კარგო კაცო, ტკბილო მეგობარო და საყვარელო ადამიანო.

\* \* \*

სამწუხაროდ ამ წიგნის დღის სინათლეზე გამომზეურებას ბატონი იური ვერ მოესწრო. ის ა/წლის მიწურულს, ნოემბერში 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. დატოვა სანიმუშო ოჯახი, როგორც თვითონ ამბობდა: „**პირველი – ჩემი სახლია, ჩემი ციხესიმაგრე, ჩემი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები. თუ რამე შემეძენია, მათი დამსახურებაცაა, ამიტომ დიდი მადლობა მათ**“.

საქართველოს საზოგადოებამ საქართველოს სახალხო არტისტი – იური ცანავა ბოლო გზაზე თავისი საყვარელი თეატრის სცენიდან გააცილა.

აქვე მინდა მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენო, რომ ბატონ იური ცანავაზე 1997 წლის მარტში გამოიცა წიგნი სათაურით „**სიკეთის სამსახურში**“, იური ცანავა – ხელოვანი, რომლის ავტორი გახლავთ მწერალი იური ბიბილეიშვილი, წიგნი მოგვითხრობს ღვაწლმოსილი ხელოვანის სიკეთით აღსავსე განვლილ გზაზე. იგი – 50 წლის მანძილზე ერთგულად და ნიჭიერად იღვა ქართული თეატრალური ხელოვნების სამსახურში.

წიგნში განთავსებულია საქართველოს ღვაწლმოსილ ხელოვანთა გიგა ლორთქიფანიძის, ვასილ კიკნაძის, გიზო ჟორდანიას, რევაზ ჩხეიძის, გურამ ფანჯიკიძის, გოგი ქავთარაძის, ნოდარ გურაბანიძის, ფრიდონ ხალვაშის, ლევან მირცხულავას, ვალერიან კანდელაკის, გაიოზ გოგიბერიძის, ლევან ღლონტის, ენვერ ჩაიძის, ნინო საკანდელიძის, მანუჩარ შერვაშიძის, ზურაბ გორგილაძის და სხვათა წერილები.

– იური ცანავა: „მინდა ჩვენი ლამაზი კუთხის შვილებს მადლობა მოვახსენო თეატრის დიდი სიყვარულისათვის. თუ



არა მაყურებელი, ჩვენი ცხოვრება ფუჭი იქნებოდა, ამიტომაც, რადგან ეს ორი კომპონენტი წარმოუდგენელია უერთმანეთოდ, მუდმივი იყოს სიყვარული სცენასა და დარბაზს შორის“.

– **ვასილ კიკნაძე**, აკადემიკოსი: „ჩემო იური! ბედმა გარგუნა დიდი როლი იუსუფ კობალაძისა და მურად ხინიკაძის თაობათა გვერდით და მათ შემდეგაც თეატრის ავტორიტეტის შექმნაში. შენი სახელის გარეშე ვერ წარმოიდგინება ბათუმის თეატრი. ქართული თეატრის სამსახიობო სკოლას ამშვენებენ შენს მიერ შექმნილი სახეები. მართალი კაცი ხარ და არც გიღალატია სცენური სიმართლისათვის. მძიმე გზა გაიარა ჩვენმა თაობამ, მაგრამ მას ყოველთვის ჰქონდა ეროვნული ღირსების გრძნობა. ეროვნული სულის გამოხატვისათვის იბრძოდნენ მწერლები, მხატვრები, რეჟისორები, მუსიკოსები, მსახიობები, მათ გვერდით იყვნენ თანამოაზრე „მცოდნეები“. ეს იყო ერთობლივი ისტორიული ბრძოლა ქართული სულის გადასარჩენად.

წინა რიგებში იყავი ამ ბრძოლის ჟამს. შენ ისევ სავსე ხარ შემოქმედებითი ენერგიით, ნიჭით, ისე მდიდარი გამოცდილებით და ოსტატობით, რომ ჯერ შორსაა ნაღვლიანი შემოდგომის წლები. თუმცა დიდი ზაფხულის მზეც გადაიხარა. არ მოგასვენებს შენი მაყურებლის მქუხარე ტაში, მის სამსახურში უნდა გალიო დარჩენილი გზა, რომელსაც შენ მთელი ცხოვრება პატიოსნად, კაცურკაცურად მიუყვებოდი და ამიტომ უყვარხარ შენს ხალხს. დიდი ილიას სიტყვებით დამილოცნინხარ, ჩემო იური: იმხნევე და გამძლავრდი!

აი, რას წერდა მასზე **ლევან ღლონტი**: „ერთად სცენასა და ცხოვრებაში. თითქმის 40 წელია, რაც იური ცანავა და მე ერთად ვმოღვაწეობთ ჩვენი თეატრის სცენაზე. ეს საკმაოდ დიდი დროა ადამიანთა მეგობრული თუ შემოქმედებითი

ურთერთობისათვის. ერთად განვლილი ცხოვრების გზა საშუალებას მაძლევს ჩემი დამოკიდებულება გამოვთქვა შესანიშნავი პიროვნებისა და მსახიობის მიმართ. იურიმ ძალიან კარგად იცის მეგობრობის ფასი. ის ჭირსა და ლხინში თანამდგომია, უყვარს ადამიანი, დიდ პატივს მიაგებს მას. საოცრად კაცთმოყვარეა, ხალისიანი და კეთილი იუმორით აღსავსე. ადამიანური თვისებები დიდად უწყობს ხელს მის მსახიობურ ნიჭიერებას. არაერთ სპექტაკლში გვითამაშია



სცენა სპექტაკლიდან „დრო – 24 საათი“.  
 მარცხნივ: გენერალი მაზნიაშვილი – იური ცანავა,  
 ქეთარაძე – ლევან ღლონტი

ერთად. ისე, როგორც სცენაზე, ცხოვრებაშიც ადამიანთან ურთიერთობაში, შესანიშნავი პარტნიორია. როგორც პიროვნებას და ნიჭიერ მსახიობს, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში გამორჩეული ადგილი უკავია და დიდი

ავტორიტეტით სარგებლობს. პრინციპული და მომთხოვნი, აქვს ყოველთვის გამოკვეთილი პოზიცია შემოქმედებითი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც არაერთხელ დაადასტურა. თეატრი მისთვის მეორე ოჯახია... იური ცანავას მთავარი კრედიო მაღალი პროფესიანალიზში და ხალხის სამსახურია...“.

თითქმის ამდენივე ხნის ახლობლობა მაკავშირებს ბატონ იურისთან, მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ადამიანთან მქონდა ურთიერთობა. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. იგი ამავდროულად მეტად შორსმჭვრეტელი ადამიანიც გახლდათ...

ასე რომ, წიგნი იური ცანავაზე მისივე სიცოცხლეშივე დაიწერა, რაც იშვიათი მოვლენაა ცხოვრებაში! იგი ამბობდა: **„მინდა მოვესწრო ერთიან, მთლიან საქართველოს, ბედნიერ ბავშვებს, სახედალაგებულ ადამიანებს და შრომის ფუსფუსში ჩამბულ ხალხს“**. ამ თემასთან დაკავშირებით გამუდმებით საუბრობდა. თუმცა, როგორც იცით, საუბარი ძალიან უჭირდა...

გულდასაწყვეტია, რომ ყოველივე ამას ვერ მოესწრო, მაგრამ იმედია, რომ ეს ნანატრი დღე საქართველოში აუცილებლად დადგება და ამაზე საფლავშიც ჩასძახებენ მისი შვილები და შვილიშვილები. იმედია, რომ ამ დღეს ჩვენც მოვესწრებით მალე.



## მანუჩარ შერვაშიძე

საქართველოს სახალხო არტისტი

### იცოცხლებს ყოველთვის, როგორც გამორჩეული ბათუმელი

რამდენი წელი გავატარეთ ერთად! თითქმის 50! უაღრესად პატიოსანი, მართალი და ყურადღებიანი ადამიანი იყო. 24 წელი ისე უხელმძღვანელა დრამატულ თეატრს, არავისთვის, არც ერთხელ კონფლიქტი არ ჰქონია. სამაგიეროდ იცოდა დახმარება, გულთან მიიტანდა ადამიანის გასაჭირს, არ შეეძლო გულგრილად აევილო გვერდი ვინმესთვის, თუ გაიგებდა, რომ რაიმე პრობლემა აწუხებდა. მთავარი ისაა, რომ პროფესიონალი გახლდათ, საკუთარ საქმეზე შეყვარებული, არასოდეს აძლევდა თავს უფლებას რაიმე ისე გაეკეთებინა, რომ მაქსიმალურად არ დახარჯულიყო. სცენაზე არასოდეს იმსუბუქებდა როლს, მისგან ”ხალტურას“ ვერასოდეს წააწყდებოდით. მართალია, ჩვენ იშვიათად ვიყავით პარტნიორები, რადგან ლევანი უფრო ჰეროიკულ, დრამატულ როლებს ასრულებდა, მე კი კომიკურს, მაგრამ ერთად თამაშის რამდენიმე შემთხვევაც საკმარისი იყო, რომ დარწმუნებულიყავი, რა სერიოზულად ეკიდებოდა თავის საქმეს, როგორი საიმედო იყო სცენაზე მის გვერდით ყოფნა.

საოცარი ოჯახი შექმნა, რადგან თავადაც არაჩვეულებრივი ოჯახიშვილი იყო... ძალიან მეძნელება ლევანზე წარსულში საუბარი. შოკისმომგვრელი გამოდგა მისი გარდაცვალება. გული გამისკდა ლამის! 76 წელი მამაკაცისთვის არც ისე ბევრია, თანაც იუბილეს, თავისი ვარსკვლავის გახსნას ელოდებოდა, ხარობდა...

ლევან ღღონტი თეატრში არასდროს მოკვდება! ყოველთვის გვემანსოვრება მსახიობებს, როგორც პარტნიორი, მეგობარი, დარდის და ღზინის თანამოაზრე. კეთილშობილი კაცი. ამ ქალაქშიც იცოცხლებს ყოველთვის, როგორც გამორჩეული ბათუმელი, ღირსებითა და კაცობით სავსე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

### **რეზო ჭანიშვილი,**

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

### **ჯაურ ლაზიშვილი,**

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის დამსახურებული არტისტი

## **სასიქადულო ბიოგრაფიით წავიდა ამ ქვეყნიდან**

„...სახელი დარჩეს ჩემისად  
კეთილად ნამსახურები...“

**რუსთაველი**

2014 წელი, 6 თებერვალი... ბათუმი დიდმა მწუხარებად მოიცვა. გულმა უმტყუნა ყველასთვის ძვირფას ლევან ლლონტს, სიცოცხლეს გამოასალმა იგი. მის უეცარ გარდაცვალებას ვერვინ წარმოიდგენდა. არასოდროს გვინახავს ნაღვლიანი, მუდამ სიმხნევით, გულსავსე ღიმილით გამახსოვრებდა თავს.

მასთან ყოფნას რა სჯობდა, უხვად მოგვითხრობდა ხელოვნებაზე, ქართულ ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებზე, გამოჩენილ მოღვაწეებზე.

ქართული მწერლობა, პოეზია საუცხოოდ იცოდა... მერედა როგორი ხალისით, სითბოთი გადმოგვცემდა ყოველივე იმას, რაც ქართულმა თეატრალურმა შემოქმედებამ დაანათლა.



მართლაც, გულზე ესვენა სიდიადე ეროვნული თეატრისა. ხელოვნების ამ სფეროში უხვად გამოანათა თავისი ღვთიური ნიჭიერება და ტალანტი.

როგორც თვითონ ამბობდა ბავშვობიდან შეიყვარა დრამატული ხელოვნება. სასკოლო ღონისძიებებსა და სანახაობებზე მოცილე არავინ ჰყავდა. რიხიანად, ხიბლითა და მოწადინებით კითხულობდა პოეტურ ქმნილებებს, მოწინავეობდა სკოლის დრამატულ წრეში. მეტადრე რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“, აკაკის „განთიადი“, გალაკტიონის „მესაფლავეთი“ იპყრობდა მასწავლებლებისა და თანატოლი მოსწავლეების ყურადღებას.

სკოლაში კარგად სწავლობდა. გამჭრიახობითა და გონიერებით გამოირჩეოდა. ახლობლები, მეგობრები სასიკეთო მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ... ერთხანს ფეხბურთმაც მიიზიდა, ბათუმის „დინამოს“ კარს იცავდა. საქართველოს ახალგაზრდულ საფეხბურთო ნაკრების რჩეული მეკარე იყო. მაგრამ სულმა და გულმა მაინც თავისი „ქმნა“. დრამატულმა ხელოვნებამ გადაწონა. საამისოდ თბილისის. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტს ეწვია, 1956 წელს ჩინებულად ჩააბარა მისაღები გამოცდები, ჩაირიცხა დრამისა და კინოს მსახიობის ფაკულტეტზე. საქართველოს ამ ნაქებ უმაღლეს სასწავლებელს ლეგენდარული აკაკი ხორავა ედგა სათავეში. ქართული თეატრის სხვა პოპულარული მოღვაწეებისგანაც ისმენდა მეტად შინაარსიან ლექციებს. საერთოდ, კიდედაქალაქურმა სათეატრო გარემომ ბევრი რამ შესძინა. როგორც წესი, ხშირად ესწრებოდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სპექტაკლებს, სცენის თანამშრომლადაც მუშაობდა.

თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ არჩევანის წინაშე დადგა... რა თქმა უნდა, თბილისში მოღვაწეობა ბევრად წაადგებოდა, მაგრამ მაინც იძალა მშობლიური ბა-

თუმის სიყვარულმა. აქ, კი როგორც ნათქვამია, ყოველივე თეატრალურ მოვლენებს გულითადად აუბა მხარი. მისი ნიჭიერებით აღსავსე შესაძლებლობანი ადვილად შესამჩნევი და დასანახი გახდა ხელოვნების მოყვარულთათვის.

საინტერესოა, რომ მეოცე საუკუნის სამოციან და სამოცდაათიან წლებში ბათუმის თეატრს ამშვენებდნენ ღირსებაშემკული მოღვაწენი: **იუსუფ კობალაძე, მერაბ ზინიკაძე, ნუნუ თეთრაძე, აკაკი მგელაძე, ნაზი კეჭელმაძე, ხასან მეგრელიძე, ლილი აფხაზავა, გიორგი ახვლედიანი, გორდეს იმნაიშვილი**, მომდევნო თაობიდან ცნობილი იყვნენ: **იური ცანავა, მანუჩარ შერვაშიძე, ნინო საკანდელიძე, ბერდია ინწკირველი, როლანდ კაკაურიძე, ცირა აბზიანიძე, ლამარა ყარასაშვილი** და სხვები. აქვე მოღვაწეობდნენ რეჟისორები: **თემო აბაშიძე, გიზო ჟორდანიას, გოგი ქავთარაძე, ენვერ ჩაიძე, გურამ აბესაძე, ლალი ნიკოლაძე, გოგი ჩაკვეტაძე.**

ლევან ღლონტი აჭარის თეატრალურ დასში, სწორედ, გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან გვეახლება. სცენაზე პირველი გამორჩენისთანავე აიტაცა მისი სახელი მაყურებელმა. განსაკუთრებული სიხარული და აღტაცება მოჰყვა მისეულ „**ზურიკელას**“ როლს. **ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“** ამ მხატვრულმა პერსონაჟმა მთელი სისრულით გადაინაცვლა ხალხის გულში. მით უფრო, რომ ანალოგიურ სცენურ სახეს შედარებით ადრე დამაჯერებლად ასახიერებდა ნიჭმომადლეული მსახიობი **იური ცანავა** მერე კი სხვა როლებითაც გვაცნობს თავს, რომელთა მრავალფეროვნებაზე ცოტა როდი იწერებოდა ქართულ პრესაში. თავის წერილში „მსახიობის გზა“ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ვასილ კიკნაძე ნათელი სიცხადით აღწერს ლევან ღლონტის მსახიობურ გამორჩეულობას: „**ლევან ღლონტს თეატრში ასზე მეტი როლი აქვს შესრულებული... თავისი ადგილი ჰპოვა ყოველმა მათგანმა ლევანის სულისა**

და სხეულის მრავალსახიერებაში. მე ვამბობ „თავისი” – ეს იმას ნიშნავს, რომ მისი გმირები ინდივიდუალური, სიანხლით სავსე ადამიანები იყვნენ. კარგად მახსოვს ბევრი მათგანი. პარტერიდან დაძაბულად მიდევნებია თვალი მისი ცხოვრების გზისთვის...“

სიბრძნე ყოველთვის თანამედროვეა. ლევან ლლონტის შესრულებას მუდამ ახლავს გულწრფელობა, თანადროულობის გრძნობა. სიცოცხლით სავსე იყო მისი „ზურიკელა” („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი,“) წლობით რომ ამშვენებდა ქართულ სცენას. სულ სხვა ბედის ადამიანთა სულიერი ძვრები ნამდვილი ოსტატობით გამოხატა მსახიობმა. ეს იყო **ალექსანდრე სამსონიას** პიესის „ზღვა და სიყვარულის” გმირის ელგუჯას სახე (ვ. კიკნაძე, „მსახიობის გზა” გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა” 1997, 12 ივლისი).

ლევან ლლონტის გარდასახვითი როლების წარმატებულად წარმოჩენაში უმნიშვნელოვანესია მისივე სულიერი სიწრფელე, დიდი ადამიანური მგრძნობელობა, ინტელექტუალური მისწრაფებანი ზოგჯერ ვიტყვით კიდევაც, რომ მსახიობის შინაგანი თვისებაც, ბუნება-ხასიათი, სცენური გმირის არსებამია განსხეულებული. ყოველივე ამას მკაფიოდ ადასტურებს ამ მჩქეფარე ხელოვანის მიერ გადმოცემული, მართლაცდა, მბზინავი სახეები. მეხსიერებიდან არ შეიძლება წაგვივიდეს მისი „ტოპაზის” მხატვრული თავისებურება. სპექტაკლში „ტოპაზის სახლი” მან სრულად დაგვანახა სინამდვილის, ცხოვრების მოთხოვნებისადმი ერთგულება. ესაა უკომპრომისო ზურგმექცევა უპატიოსნების, უზნეობისა და ადამიანური უკუდმართობის მიმართ. ამიტომაცაა, რომ მაყურებელმა ფართოდ გადაუშალა გული ხალხის ინტერესების გამომხატველ ლევან ლლონტის გმირს.

ფრიად შთამბეჭდავია, ლევან ლლონტის გმირები ზაზა ნაკაშიძე (ნ.დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა”), თამაზ იაშვილი

(გ.ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“) მინდია (ვაჟას „ალუდა ქეთელაური“, ლევან ზიდაშელი (გ. ფანჯიკიძე „მეშვიდე ცა“).

ბატონი ლევანის სცენურ ოსტატობაზე მასალებს ვპოულობთ გ.ბუხნიკაშვილის წიგნში „ბათუმის თეატრი“. წიგნის ავტორი გვამცნობს, რომ 1968 წელს, 20 ივნისის ბათუმის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ბულგარული დრამატურგის **თ.პეირევის** პიესა „**ყოველი შემოდგომის საღამოს**“ ამ სპექტაკლში ჩინებულად ითამაშა **თამარ სულხანიშვილმა**, რომელმაც „ბრწყინვალედ დახატა თავისი ხალხისთვის მებრძოლი ქალის, ელენა ვასილევას ნათელი სახე“, მსგავსად იმარჯვა ლევან ღლონტმა, რომელმაც მთელი სისრულით გამოკვეთა ვასილევას შვილის, ანდრეის სახე. სხვა დადგმებშიც შექმნა შთამბეჭდავი როლები. ასე რომ, ლევან ღლონტმა სავსებით სამართლიანად დაიმსახურა **ხალხის ძვირფასი მსახიობის სახელი**.

გასაკვირი არაა, რომ შემოქმედებითი ძიების ხელოვანი რეჟისორული ცოდნითა და გამოცდილებითაც გაეცნო ჩვენს ხალხს. ყოველივე ამან მეტი გასაქანი მისცა: ბათუმის საწარმოო სასწავლო დაწესებულებებში შექმნა სანაქებო თვითმოქმედი დრამატული კოლექტივები. მართლაც, ნაყოფიერად, სამაგალითოდ იმუშავა ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში, შ.რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტურ თეატრში, დააფრთიანა არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა, მომდევნო ხანებში პროფესიულ თეატრებში რომ იღვწოდნენ.

განსაკუთრებული ეფექტურობით გამოსდიოდა დღესასწაულებრივი ღონისძიებების, საიუბილეო საღამოების, მასობრივი სახალხო ზეიმების, პოეზიისა და ლიტერატურის მოღვაწეებთან შეხვედრის, სასკოლო ოლიმპიადებისა და სხვა დიდმნიშვნელოვან წამოწყებათა ჩატარება: გრანდიოზული სანახაობრიობით ხასიათდებოდა სახალხო ზეიმები: „**ბათუმი ძმო-**

ბისა და მეგობრობის ქალაქი”, „ყვავილების დღესასწაული” – რომელთა მასშტაბური ქორეოგრაფიული კომპოზიციების დადგმაში ჩვენი მოკრძალებული წვლილიც იყო. მანვე ხატოვანება არ მოაკლო სხვა მასობრივ ღონისძიებებსაც, მათგან აღსანიშნავია: „ფოლკლორის პირველი საერთაშორისო ფესტივალი”, „ტბელობა”, „კოლხობა”. „შრომის დღესასწაული”, „ახალგაზრდობის დღე” და თეატრალიზებული „ხსოვნა გულისა”. ეს უკანასკნელი მისივე სცენარითა და რეჟისორული თვალთახედვით გასცენირდა. მასში აისახა ბათუმის თეატრის დიდი ცხოვრება, მისი როლი ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრებისათვის სამსახურში.

ბატონი ლევანის პიროვნულ ღირსებებზე, მეტყველებს ის, რომ საქმის ცოდნით უძღვებოდა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრს. აქ თვალნათლივ გამოიკვეთა მისი ორგანიზატორული ძალისხმევა, თეატრალურ დასთან ურთიერთობის უტყუარი შესაძლებლობანი, ერთსულოვნების, საერთო შემოქმედებითი ინტერესებისთვის მისწრაფებანი...

24 წელი იმუშავა თეატრის დირექტორად, იზრუნა რეპერტუარის გადახალისებაზე, გაითავისა მყურებლის, ხალხის შეხედულებანი, განაგრძლო წლობით ნაცადი ტრადიცია, რასაც ასე გამოხატავდა: „არ დავივიწყოთ თეატრის წარსული, ერთიანი, სასიკეთო იდეის ირგვლივ დავირაზმოთ. აწმყოშიც გამოვინახოთ ღროის თანმხვედრი მიზანდასახულობანი, რადგან „აწმყო მშობელია წარსულისა”.

ღირსაცნობია, ისიც, რომ ლევან ღლონტის სახით ქართული ქორეოგრაფიას საიმედო მეგობარი ჰყავდა. ჩვენს თათბირებსა და სემინარებს გვერდს არ უვლიდა, მეტად გასაზიარებელ წინადადებებს გვთავაზობდა. დამაჯერებლად ბჭობდა თეატრსა და ქორეოგრაფიის საურთიერთობო თემაზე. მიიწვევდა, რომ ქართული ქორეოგრაფიის განვითარების შეუქცევადი გზა ხალხურობისადმი ერთგულებაა.

ბატონი ლევანის კეთილგონიერულ პიროვნულობაზე 2014 წლის 12 თებერვლის გაზეთში „აჭარა“ რამდენიმე ტკივილიანი წერილი დაიბეჭდა. საქართველოს სახალხო არტისტის იური ცანავას წერილში ვკითხულობთ: „მიჭირს მასზე წარსულში ლაპარაკი... გულწრფელი და სათნო ადამიანი იყო. მისთვის მიუღებელი იყო შური, მტრობა, ვერაგობა, ამიტომაც კოლექტივის თხოვნით დიდხანს გახლდათ ბათუმის თეატრის ხელმძღვანელი... დღე-დღეზე თეატრის წინ მისი სახელობის ვარსკვლავი უნდა გახსნილიყო და სამწუხაროა, რომ ეს დღესასწაული მწუხარებით შეიცვალა“.

მართლაც, დასანანია, რომ ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან გულსუფთა მეგობარი, სახელოვანი ბიოგრაფიის შემოქმედი, მოღვაწე, ქართველკაცობით ნაცადი პიროვნება. გარკვეულ წლებში მას მიენიჭა აჭარის დამსახურებული არტისტის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, იუსუფ კობალაძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდებები. ასევე იყო ღირსების ორდენის კავალერი, ბათუმის საქალაქო საბჭოს ოთხი მოწვევის დეპუტატი და რაც მთავარია, ბათუმის საპატიო მოქალაქე.

თამამად ვიტყვით, რომ ამ გულნათელი, ყველასთვის საამაყო ბათუმელის სახელი უქრობია, ამას უკეთ დაგვისურათებს მომავლის წლებიც.



**ცისანა ანთაძე,**

პოეტი

### მან იღვაწა...

**ლევან ღლონტი ჭეშმარიტად ღვაწლმოსილი პიროვნება იყო... და რაც მთავარია – დიდი ადამიანი!**

მთელი შეგნებული ცხოვრება, ნიჭი და ძალისხმევა თეატრს და საზოგადოებას უძღვნა, ასზე მეტი როლი განასახიერა და 24 წელი თეატრის დირექტორადაც იღვაწა.

ტოპაზის როლი შემთხვევით არ დაუმსახურებია – პატიოსნების გვირგვინდადგმული კაცი გახლდათ.

**„თუ ეს საზოგადოება არ შეიცვალა, სანთლით საძებარი იქნება პატიოსანი კაციო“**, ლაპარაკობდა სცენიდან თავისი გმირის სახელით. დიახვაც, რომ უხდებოდა და შეეფერებოდა ამ სიტყვების წარმოთქვა.

მუდამ ხალხთან ტრიალებდა და მშობლიურ ქალაქსაც გამორჩეული, გულწრფელი სიყვარულით უყვარდა. ეს სიყვარული ზურიკელას როლმა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) კიდევ უფრო გაამყარა.

უყვარდა პოეზია, მუსიკა, მხატვრობა. ახლო ურთიერთობა ჰქონდა შემოქმედებით ინტელიგენციასთან. ლექსის მხატვრულ კითხვაში ტოლ–სწორი არ ჰყავდა...

გამოჩენილი ქართველი თეატრმცოდნე, პროფესორი ვასილ კიკნაძე ბრძანებდა, რომ **ლევან ღლონტში იკითხებოდა „ხელოვანისა და მაცურებლის ფიქრთა და გრძნობათა საოცარი ერთიანობა“**, მის მიერ წარმოდგენილი სცენიური გმირი აღიქმებოდა **„როგორც ახალი ტიპის აღმოჩენა“**.

ძალიან ძნელია დატოვო დაუვიწყარი კვალი პრეტენზიული (საუკეთესო გაგებით), ინტელექტით გამორჩეული ქა-

ლაქის ცხოვრებაში. ლევან ღღონტმა ეს შეძლო! მსახიობის ვარსკლავი არ ჩაქრება ბათუმის ცაზე...

ბოლო „როლი“ უსიტყვოდ შეასრულა საყვარელი თეატრის სცენაზე... იყო ყვავილების თოვა და გაცილების სევდიანი ფორიაქი... სევდით იყო მოსილი ბათუმური ბოჭემურ – შემოქმედებითი ელიტის სალონიც – „სტეკლიაშკა“...

ეს სევდა, შესანდობარში სათუთად გადანახული, ჩვენი თაობის თანამგზავრი იქნება.

და ბოლოს, ვიტყვი:

ნიჭიერს და გულიანს, თვითონ ღმერთი წყალობდა,  
უხდებოდა სცენას და უხდებოდა სალონსაც,  
ასი როლი მოირგო, ასი ჯუბა ჩაიცვა,  
ძმაკაცებთან ღვინო სვა, დაქალებთან ჩაი სვა...  
რომ ვარსკლავად იბრწყინო, საჭიროა მოტივი –  
აენთო და ანათო უნდა ლევან ღღონტივით!...





## ნოდარ იაკობაძე,

საქართველოს თეატრალური საზოგადოების  
აჭარის განყოფილების თავმჯდომარე

### ხსოვნა გულისა

მიმდომს, ნამდვილად მიმდომს გავიხსენო ადამიანი, მეგობარი, კოლეგა, რომელთანაც თეატრში 40 წელი გავატარე, მისი შემოქმედებითი თუ ცხოვრებისეული ეპიზოდები.

სულ რაღაც ორიოდე დღის წინათ შევხვდი თეატრში, მივესალმე და კვითხე, როდის დავიწყეთ სპექტაკლის ”ხსოვნა გულისა“ აღდგენა-მეთქი. ”ახლა მეჩქარება, ხვალ შევხვდეთ და ჩამოვყალიბდეთ“ – მითხრა. სამწუხაროდ, სამი საათის შემდეგ მოულოდნელად წავიდა ჩვენგან.

ორიოდე წლის წინათ გადავწყვიტე ჩამეტარებინა ხსოვნის საღამო და გაგვეხსენებინა აჭარაში მოღვაწე ხელოვნების სფეროს აწ გარდაცვლილი წარმომადგენლები. მივედი ბატონ ლევანთან და გავანდე ჩემი მოსაზრება. აღფრთოვანებით შეხვდა ამ ამბავს. ვთხოვე, სპექტაკლის სახით დაედგა. დიდი რუღუნებით შევუდექით მასალების მოძიებას. სცენარიც გავაკეთეთ, სათაური თავად შეურჩია ”ხსოვნა გულისა.“

პრემიერა ბათუმის დრამატულ თეატრში შედგა. ასსამოდაათამდე გარდაცვლილი ხელოვანი გავიხსენეთ. პრემიერის დასასრულს მაყურებელიც და მონაწილეებიც ტიროდნენ; მივედი ლევანთან მისალოცად, მაგრამ ორივეს ცრემლები წამოგვივიდა. იმის თქმა მოვახერხე, მგონი მიზანს მივალწიეთ-მეთქი, პირველად ვნახე ცრემლორეული ლევანი.

როგორ წარმოვიდგენდი, ბატონო ლევან, რომ რამდენიმე ხანში თქვენც მათ რიგებს შეუერთდებოდით.

მიჭირს, მაგრამ ალბათ, უახლოეს ხანში აღვადგენთ თქვენს მიერ დადგმულ სპექტაკლს "ნსოვნა გულისა."

ნამდვილად გული დაგვწყვიტეთ, ბატონო ლევან. თქვენი სახით ბათუმის დრამატული თეატრის რიგებს, ქართულ თეატრალურ ხელოვნებას გამოაკლდა საინტერესო მსახიობი, საზოგადო მოღვაწე და ბათუმის საპატიო მოქალაქე.

ღმერთმა გაანათლოს თქვენი სული.



## ავთო ქარჩავა,

აჭარის დამსახურებული არტისტი

### სიყვარულით, პატიოსნებით იცხოვრე

ეს იყო 1966 წელი. მეექვსეკლასელი მოსწავლე პიონერთა პარკის "მწვანე თეატრში" მიმიყვანეს. ნოდარ ღუმბაძის "მე, ბებია, ილიკო და ილარიონს" დგამდა და პირველი სპექტაკლი სწორედ ეს იყო, რომელშიც მეც ვითამაშე.

ჩემო ლამაზო ადამიანო, ჩემო ლევან, მას შემდეგ 47 წელი გავიდა. ბედმა ეს წლები შენთან შემოქმედებითად დამაკავშირა. როცა წამოვიზარდე, სცენაზე პარტნიორობას გიწვედი, ეს ჩემთვის საამაყოა.

ქართველები ხშირად ვამბობთ: წუთია წუთისოფელიო და ამ წუთში ჩვენი გასაკეთებელიც უნდა მოვასწროთ და ჩვენი სათქმელიც უნდა ვთქვათ. ამას ზოგი ახერხებს, ზოგიც ვერა. ეს ალბათ, რჩეულთა ხვედრია და ამ რჩეულთა შორის ხარ შენ, ყველაფერი მოასწარი შენი კაცობით, ნიჭით, ადამიანთა სიყვარულით, პატიოსნებით. ძალიან მიჭირს იმის გაფიქრება, რომ ხვალ ქალაქში ველარ დაგინახავ.

რა მოგივიდა? რა დაგემართა? ის ხომ არ ინერვიულე, ვარსკვლავის გახსნა ახლა რომ გადაწყდა, რომელიც ორი წლის წინათ, შენს 75 წლის იუბილეზე უნდა გაეხსნათ? როცა ეს ამბავი გაიგე, ლაწვებზე ცრემლები გადმოგიგორდა... ეს სინარულის ცრემლები იყო. ვფიქრობ, სინარული უფრო განიცადე... მაგრამ გული არ დაგწყდეს – შენი ვარსკვლავი მაყურებლის სიყვარულია... ის პატივია, რომლითაც დღეს იმ სცენიდან გაგაცილებენ უკანასკნელ გზაზე, სადაც არაერთი წელი სიყვარულით იცხოვრე...

მშვიდობით, ჩემო მეგობარო!

**შენი აკადემიის სახელით,**

**ანზორ კულბა,**

მწერალი, საზოგადო მოღვაწე

**ჩვენი მეგობარი ლევანი,  
ანუ „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა...“**

**ლევან ღლონტი:** კაცი, რომელიც უყვართ და აფასებს ყველა და უყვართ იმიტომ, რომ უპირველესად მას უყვარს ყველა – დიდი და პატარა, თავდავიწყებით უყვარს ჩვენი ქვეყანა. მისი სახელი ნაცნობია დღეს ყველასათვის, ამ სახელს წარმოთქვამენ სიამაყით და ერთგვარი თრთოლვითაც.

იგი პიროვნებაა ამაღლებული სულით, მისაღები და თითოთ საჩვენებელი ყველა ბათუმელიათვის.

და როგორც ყველა მისი თანამედროვე, ისიც იყო ერთ დროს პატარა ბიჭი, რომელსაც ძალიან უყვარდა ფეხბურთი. ემანსოვრებათ ალბათ, როგორ დასდევდნენ ჭინჭის ბურთს ბათუმელი ბიჭებიც. დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველდნენ საქმეში ჩახედული ადამიანები ამ საოცრად საყვარელ ბიჭს, მაგრამ ერთ დღეს შეიცვალა მასში რაღაც: სცენაზე იხილა უკვე სახელგანთქმული მსახიობი **აკაკი ხორავა** და აუთრთოლდა მგრძნობიარე გული.

ის დღე იყო და სცენაზე ფიქრსა და ოცნებაში უთენდებულამდებოდა... და აისრულებს სულ მალე წადილს – თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ხდება. რომ იტყვიან, უფალმა თავზე დაადო თავისი ღვთაებრივი ხელი. სტუდენტური წლები უკან რჩება, მაყურებელმა იმთავითვე შეიყვარა დამწყები, ჯერაც შეუძღვარი ახალგაზრდა მსახიობი, ატყვევებდა ყველას მისი სხეულის აღნაგობა და საოცრად მჟღერი და გულში ჩამოწვდომი ხმა.

მერე მთავარი როლი: იგი ზურიკელას განასახიერებს, მას ტაშს უკრავენ, აღმერთებენ. მის ზურიკელას თავს უხრიან.

ღიას, ლევან ღლონტი ერთ მშვენიერ დღეს უცებ გაიცნო **”წვიმიანმა მზიანეთმა“**, როგორც უწოდა ერთხელ ჩვენს ქალაქს აწ განსვენებულმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ჭეშმარიტმა ბათუმელმა, ჩვენმა დიდმა მეგობარმა და დამრიგებელმა **ალი (ალექსანდრე) სამსონიამ**.

მერე იზრდებოდა და იხვეწებოდა სულიერად ლევანი. აბა, ვინ მოსთვლის, რამდენი როლი განუსახიერებია და მართლაც ღვთის რჩეულს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდებაც მიენიჭა.

შემდგომ თეატრის დირექტორი ხდება და საზრუნავიც მოემატება. ადამიანებთან ურთიერთობა არ გასჭირვებია. მისი ესმოდათ, რადგან უპირველესად მას ესმოდა ყველასი, ამაში უდავოდ ეხმარებოდა მას დიდი, მოსიყვარულე გული და საოცარი ჟღერადობის ხმაც, ყველასგან გამორჩეული.

...ახლა მისი ცხოვრების წესზეც: თენდება. დგება დილაუთენია.... სამსახური – სცენა, მერე შეხვედრა ადამიანებთან და ბოლოს – ოჯახი! იგი აქ მოსიყვარულე, ერთგული მეუღლეა, მზრუნველი მამა, კეთილი, განუმეორებელი ბაბუა და დიდი პაპა.... თითქოსდა აქ უნდა მთავრდებოდეს მისი ჩვეულებრივი დღე. მაგრამ არა! არ დასრულებულა ჯერაც ეს დღე!

აბა, მივყვით, კვალში ჩაუღვტეთ...

აკადემიისკენ მიეჩქარება...

აქ აკადემიაზეც უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა. არ ვიტყვით და დაგვიშავდება ნამდვილად, თვითონ ლევანსაც მიაკლდება ჩვენი სიტყვა.

**აკადემია...** ჩვენი საზოგადოებისთვის, თითქმის ყველა ბათუმელისთვის ცნობილია, რომ ჩვენს **”წვიმიან მზიანეთში“** – ბათუმში, გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული არსებობს და დღესაც ცოცხლობს ეგრეთ – წოდე-

ბული აკადემია, სადაც თავს იყრიან ჩვენი ქალაქის ცნობილი ადამიანები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი – მსახიობები, ქორეოგრაფები, მწერლები, სტუდენტები და სხვები და სხვები. აკადემიის კარი ღიაა ნებისმიერი მსურველისათვის. მისი დაარსების ინიციატორები იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები: **იუსუფ კობალძე, მურად ხინიკაძე, შალვა ინასარიძე, ვასო გობრონიძე, ამირან შერვაშიძე, ხასან მეგრელიძე, არჩილ ტოტოჩავა, გიორგი სალუქვაძე, ალი სამსონია, გოგიტა ლორთქიფანიძე, ლადო სეიდიშვილი, ზურაბ გორგილაძე. ჩვენი ლევანიც, ჯერ სულ ახალგაზრდა, ამ აკადემიის წევრია მისი დაარსებიდან. დღეს კი აკადემიის – ამ დიდი საკრებულოს პრეზიდენტია!**

აკადემიას აწუხებს ჩვენი დღევანდელი ყოფა – ქვეყნის ჭირ-ვარამი, ერის მომავალი, მაგრამ ახარებს მისი თუნდაც ერთი წარმატებული დღე, წინ გადადგმული ნაბიჯი. აქ ჭიქა ყავაზე ბჭობენ წარსულზე, აწმყოსა და ხვალინდელ დღეზე და მართლაც, ბედნიერ მომავალზე ფიქრი, ზრუნვა და ოცნებაა მთავარზე მთავარი. **ჭიქა ყავას შეიძლება გაშლილი სუფრაც მოჰყვეს და თავის ამპლუაშია ჩვენი აკადემიის პრეზიდენტი – ლევან ღლონტი. იგი თამადაა შეუცვლელი. მას ყურადღებით უსმენენ. ვაჟასი არ იყოს, "სიტყვა მაუდის მზიანი". იგი ხომ ბრწყინვალე ორატორია, მაგიური სიტყვის პატრონი, მაგრამ აქ შევწყვეტთ მის აუწონელ ბიოგრაფიას...**

ვემშვიდობებით ჩვენს ლევანს, იგიც წუთისოფლის სტუმარი ყოფილა თურმე. ამოითავა ლევანმაც წუთი, რომელიც წუთისოფლად მოსვლის ჟამს მიეცა და წუთი იგი ბარე საუკუნეშიც ვერ ჩატეულა. დაიღალა დიდი შემოქმედი და აქ დახურა კიდეც თავისი ცხოვრების დიდი დღიური.

ლევან!

გადადიხარ შენ ჩვენი წუთისოფლიდან მარადსოფელში, საითკენაც გზა ხსნილია შენთვის.

დაგემშვიდობოთ გვინდა, რადგან სადაცაა შენთვისაც განილება, ლევან, კარი სასუფეველის...

**ზურაბ ხაბაძე,**

მხატვარი

## **მხატვრის სახელდახელო ჩანაწერები „სტეკლიაშკა“**

...როგორც ამბობენ, ადამიანის ბედი მის ხასიათში ძევს, რა ხასიათიც გაქვს, ისეთი ბედი გექნება... ბატონი ლევანი ბედნიერ ვარსკლავზეა დაბადებული, მას უთუოდ აქვს ძალიან ბევრი ისეთი თვისება, რამაც ათეული წლების მანძილზე ბათუმის სახელმწიფო დრამატული თატრის ღირსეულ ხელმძღვანელად აქცია... ღიახ, თუ ნამდვილი ლიდერი არა ხარ, თუ არ უკრავ პირველ ვიოლინოს, მაშინ წარმოდგენა არ შედეგა... ლევან ღლონტის სინამდვილეში ეს წარმოდგენა უკვე შედეგა და თანაც თვალსაჩინოდ. – ნებისყოფამ, ფანტაზიამ, თავისი საქმის ჭეშმარიტმა სიყვარულმა, სხვა ადამიანისათვის ბედნიერების მინიჭების დაუოკებელმა სურვილმა მრავალი ოცნება აუხდინა, შეუძლებელი შეაძლებინა... გარდა იმისა, რომ ჩვენი დრამატული თეატრის სცენაზე უამრავი დაუვიწყარი როლი განასახიერა, არც რეჟისორული საქმიანობა გამოსვლია ურიგოდ. მისი რეჟისორობით წლების მანძილზე 800-მდე ღონისძიება განხორციელდა სხვადასხვა ჟანრის თემატური კონცერტები, საღამოები, მასიური შოუ თუ სხვა წარმოდგენები...

მის სულიერ სილამაზეს ფიზიკურიც თან ერწყმის. წარსულში ცნობილ გოლკიპერს სპორტული აღნაგობა, მოხდენილი გარეგნული პეწი ღლემდე შეუნარჩუნებია... არტისტული იერი და განწყობა დაჰყვება თან, ყოველთვის დინჯი და გაწონასწორებული ხასიათისა... თამაღობაც გამორჩეული იცის, ქართულ პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული, ჩინებულად

კითხულობს გალაკტიონის „მესაფლავეს“, ვაჟასა და ბართაშვილის ლირიკას...

უსმენ მას და რწმუნდები, რომ ხელოვანი, რა რანგისაც არ უნდა იყოს, მაინც შეუცვლელია, განა **აკაკი ზორავასა** და **ეროსი მანჯგალაძეს** ერთნაირი რიზიანი ხმა არ ჰქონდათ? ერთმანეთს კი მაინც არ ჰგავდნენ, ბატონ ლევანსაც თავისი ხელწერა აქვს, ყველგან და ყოველთვის საკუთარ „მეს“ განასახიერებს...

ღიას, ასეა, ადამიანი ჰგავს სხვას და ამავე დროს არც ჰგავს, როგორც ღიდი **რუსთაველი** იტყოდა: „**კაცი არ ყველა სწორია, ღიდი ძეს კაცით კაცამღის**“.

მისი ტკივილიც სხვაგვარია, ისეთი, სხვებისას რომ ჰგავს და თან არცა ჰგავს: – ჩემო ზურაბ, მეუბნება ამასწინათ, – **გული მტკივა, რომ არასწორი პოლიტიკის გამო ხელოვნება დღითიდღე კნინდება... ფორმის სილამაზე თანდათან ბუნდოვანდება, სიწრფელეს ჰკარგავს და ხელოვნურად შეთხზული, გონისმიერი ხდება...**

ვაგლახ, რომ ცამდე მართალია საქართველოს დამსახურებული არტისტი... თუ არ შეიცვალა ხელოვნებისადმი მიდგომები, დამოკიდებულება, კატასტროფაც გარდაუვალია...





## ღამით თმლორაჰმ,

საქართველოს მწერალთა კავშირის  
აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე

### სიყვარულის მასწავლებელი

**ლევან ღლონტი** ბათუმს მოუკვდა. სჯობს თუ ვიტყვი  
– გარდაეცვალა. ლევანის – ნაირები არ კვდებიან, სახეს  
იცვლიან და სახეცვლილნი რჩებიან ქალაქის, ქვეყნის მეხ-  
სიერებაში.

ლევანი სიყვარულის მასწავლებელი იყო. სიყვარულს,  
ოდენ სიყვარულს თესდა საზოგადოებაში, თეატრში, სამეგობ-  
როში და სიყვარულის წილ სიყვარულს იმკიდა. არ არის  
იოლი 25 წელი გაუძლო თეატრის დირექტორობას და არც  
არავინ გაათავისუფლო, არც არა ვინ „დააპრიკაზო“.

ოთხი ათეული წლის განმავლობაში აჭარაში ჩატარე-  
ბული ყველა მასშტაბური ღონისძიება, ყველა სახალხო დღე-  
სასწაული ლევანის მომზადებული გახლდათ. სცენარს ნუგ-  
ზარ ჯაფარიძე წერდა, რეჟისურას უნაკლოდ აკეთებდა ლევან  
ღლონტი.

ლევანი იყო ბრწყინვალე დეკლამატორი, დაუვიწყარია მის  
მიერ წაკითხული ქართული პოეზიის ნიმუშები. შეუდარე-  
ბლად კითხულობდა **გალაკტიონის** „მესაფლავეს“, „ლურჯა  
ცხენებს“, **ლადო ასათიანის** ლექსებს.

ერთ სუფრად ღირდა ლევანის თამაღობა. ლექსით, იუ-  
მორით, სიყვარულით გამთბარი სადღევრძელოები და ალავერ-  
ღობის მადლი.

აკადემიის პრეზიდენტობაც დაიმშვენა, ღირსეულად მო-  
ერგო ქუჩის აკადემიას, რომლის ხელმძღვანელადაც ერთხმად  
იქნა არჩეული.

ეგრეთწოდებულმა „სტეკლიაშკამ“ ლევანთან ერთად ნიბლიც დაკარგა. ვერაფრით წარმომიდგენია ულევანოდ „სტეკლიაშკა“ და მემედ აბაშიძის (სტალინის) ქუჩაც.

ლევანი ბათუმის უნაოჭო შუბლიცა და ღირსებაც იყო. სწორედ მისნაირები განსაზღვრავენ ქალაქის სახეს.

ჩვენ ისლა დაგვრჩენია – სათუთად შევინახოთ შესანიშნავი მამულიშვილის, შემოქმედის, ქალაქის ნიბლისა და საპატიო ბათუმელის ხსოვნა.



## რამაზ სურმანიძე,

მწერალი, საზოგადო მოღვაწე

### ჩვენი პერორინი

დიდი რუსი მწერლის მიხეილ ლერმონტოვის რეალისტური რომანი, „ჩვენი დროის გმირი“ გაჟღერებულია ღრმა საზოგადოებრივი შინაარსით, რომელმაც შემდგომში დიდი როლი ითამაშა რუსული პროზის განვითარებაში, პერორინის სახით შექმნა მე-19 საუკუნის 30-იანი წლების მოაზროვნე ადამიანის ტიპური ნიმუში. ნაწარმოების მთავარი გმირი გამოირჩევა ძლიერი და გამრჯე ხასიათით, საღი გონებით და თავისი შესაძლებლობების მიხედვით საქმისათვის დახარჯვისაკენ სწრაფვით.

ლევან ღლონტს პერორინის როლი არასოდეს უთამაშია, თუმცა სახელების შერქმევის დილოსტატი, ჩემი მეგობარი ალი სამსონია მას პერორინს ეძახდა... ადრე ხუმრობად ვთვლიდით და ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, ახლა კი, როცა ლევანი აღარ გვყავს, დავრწმუნდი, რომ ალი გაცილებით ადრე ხელავდა მასში ლერმონტოვის გმირის თვისებებს, ვიდრე სხვები და თურმე არ ცდებოდა.

ლევან ღლონტმა ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ატარა მსახიობის რთული, ამავე დროს საპატიო სახელი და ყველა ჩვენთაგანს პირველ რიგში სწორედ ამით დაგვამახსოვრა თავი. მისმა შემოქმედებამ, პირველი და ბოლო როლამდე ჩემს თვალწინ გაიარა, განსაკუთრებული იყო მისი ზურიკელა, ტოპაზი, გაბრო, უჯუში, ვაჩე, ლევან ხიდაშელი, სერგო ქავთარაძე და მრავალი სხვა. პატარა ბიჭიდან ლევანი ჩემს თვალებში ნება-ნება ბრძენკაცობამდე მალდებოდა, როგორც თავის როლებში, ასევე პირად ცხოვრებაში და მეგობართა შორის საყვარელი კაცის ადგილს იკავებდა.

ვინც გაიხსენებს მის მიერ შესრულებულ როლებს, ისიც გაახსენდება, რომ ლევანი უპირატესად დრამატულ, ჰეროიკულ, დადებით გმირებს ასახიერებდა და არცაა გასაკვირი, რომ თითოეული როლიდან მასში, როგორც წინმავალ შემოქმედში, მის ხასიათში სწორედ საკუთარი გმირების დადებითი თვისებები ილექებოდა და არაიშვიათად მის პირად თვისებებშიც გამოანათებდა ხოლმე.

ლევან ღლონტში სამსახიობო ნიჭთან ერთად, ორგანიზატორული უნარიც დაინახეს, იგი სრულიად დამსახურებულად ბათუმის თეატრის დირექტორად დანიშნეს და... ამ თანამდებობაზე ყოფნის რეკორდიც დაამყარა: მეოთხედი საუკუნე ედგა სათავეში საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე თეატრს, როგორც დირექტორი, დროდადრო დასის ხელმძღვანელი, რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

თუმცა ამის გარეშეც ლევანმა ჩვენს საზოგადოებაში დიდი პატივისცემა მოიხვეჭა, ეს კი იყო კაცობის რეკორდი, მისი არაჩვეულებრივი უნარი ადამიანებთან ურთიერთობისა, რაც ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებით დაგვირგვინდა.

ლევანი დიდებულ, ქართული ტრადიციების მიმდევარ ოჯახში გაიზარდა. ყველა ბათუმელს ამ ოჯახთან ჰქონდა მეტნაკლებად ურთიერთობა, მათ შორის მეც გახლდით და დიდ პატივად მიმაჩნია, რომ მისი მამის, დამსახურებული აგრობოტანიკოსის ერთ-ერთი ბოლო წიგნის რედაქტორობა მხვდა წილად. ბატონ მიტროფანეს თავისთავზე საუბარი არ ჩვეოდა, არც შვილებს მოჰქონდათ თავი ასეთი დიდებული მამის სახელით, მაგრამ ჩვენს წიგნათსაცავებში და არქივებში მრავალი საბუთი მეტყველებს მის დიდ დამსახურებაზე ჩვენი ქვეყნის, განსაკუთრებით აჭარის წინაშე. ვიცოდი ლევანის ხასიათი და ერთხელ მოულოდნელად მამის მოღვაწეობაზე არქივიდან სამიოდ, მისთვის უცნობი ამონაწერი მივაწოდე, უნდა გენახათ ლევანის აცრემლებული თვალები: „რამ მოგაფიქრებინა ეს, ამას

არასოდეს დავივიწყებო“, – თქვა და ლამის ატირდა. ამ უმნიშვნელო შემთხვევაზე ჩემს გარეშე და ჩემი თანდასწრებით იგი ყველას უყვებოდა, არ მიკარგავდა მცირე დამსახურებასაც კი.

მე ვერ გავბედავ ვრცლად ვისაუბრო ლევანის დედაზე, დიდებულ მანდილოსანსა და დისახლისზე, ქალბატონ მარგალიტაზე, რომელიც საკუთარი ვაჟების მეგობრებს ეპყრობოდა ვითარცა საკუთარ შვილებს და თავისი მადლიანი ხელით და დედობრივი სითბოთი ყველას დაამახსოვრა თავი.

სამ ძმას: რეზოს, ლევანს და თენგიზს განსაკუთრებული ძმობა ჰქონდათ და ამაში მე პირადად დავრწმუნდი ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინ, როცა მძიმე სნეულების გამო ლევანის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. უნდა გენახათ ძმები, რარივ განიცდიდნენ ამას და მზად იყვნენ ყველაფერი გაეღოთ მის გადასარჩენად. მაშინ მე ხელი მიმიწვდებოდა სამედიცინო დახმარების მოგვარებაზე. რეზოს თხოვნით თითქმის გამოტირებული, საკაცზე მწოლიარე ლევანი მოსკოვში გადავაფრინეთ და რაოდენ გავინარეთ, როცა ის საკუთარი ფეხით, ჩვეული რაინდული ნაბიჯებით და წელში გამართული დაუბრუნდა ცოლ-შვილს და საკუთარ ქალაქს.

ბათუმელ ინტელექტუალთა შეხვედრის ადგილად დასაწყისში ფოსტის წინ მდებარე კულტურის სახლი, ე.წ. ძველი თეატრი და მისი კუთხე ითვლებოდა. აქედან ბულვარში, კოლონადებთან და საზაფხულო თეატრთან გადავინაცვლეთ, შემდეგ უფროსმა თაობამ, ვინც ყავის გემო იცოდა და ერთ ფინჯანზე მთელი დღე საუბარიც შეეძლო, თანდათანობით „ინტურისტის“ ყავახანაში გადაგვანაცვლა. ასე შეიქმნა დღეს კარგად ცნობილი „სახალხო აკადემია“, რომელსაც ყველა დროში ხელისუფლება აღმაცერად უყურებდა, თუმცა აკადემიის წევრები ამას აინუნშიც არ აგდებდნენ. „ინტურისტიდან“ რესტორან „აჭარაში“ მოგვიხდა გადასვლა, შემდეგ ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქციაში და ბოლოს გაზეთ „აჭარის“ რედაქციის წინ, ე.წ. „სტეკლიაშკაში“ ვიპოვეთ ნავსაყუდელი.

ყველგან აკადემიას პრეზიდენტი ჰყავდა, დრამატურგი ამირან შერვაშიძე, რეჟისორი შალვა ინასარიძე, ჟურნალისტი და მთარგმნელი ვასო გობრონიძე, ნაღდი ბათუმელი ჰაიდარ ჯაფარიძე... ყველა მათგანის არჩევის წინადადება ალი სამსონიას ეკუთვნოდა, თვითონ კი პრეზიდენტობაზე ყოველთვის უარს ამბობდა.

პრეზიდენტად არჩევის მილოცვისთანავე ლევანმა მითხრა:

– „სტეკლიაშკა“ არ მომწონს, რაღაც სხვა სახელის შერქმევას ვაპირებ და ხომ არ დამეხმარებითო.

მე გავეხუმრე:

– ჟურნალის რედაქტორად ახალ კაცს რომ დანიშნავენ, პირველ რიგში ჟურნალის ყდას გამოცვლის, შენც ასე გსურს-მეთქი.

ხუმრობა ხუმრობად, მართლაც დავიწყეთ ფიქრი აკადემიის სახელის შეცვლაზე, მაგრამ ვეღარ მოვასწარიტო... ახლა ახალი პრეზიდენტი და „აკადემიკოსები“ ამას ისურვებენ თუ არა, მომავლის საქმეა.

ლევანს შეხვედრების მკაცრი წესი ჰქონდა. მისთვის მიუღებელი იყო, ბაასის დროს მოსაუბრისათვის სიტყვის „ჩაჭრა“.

– აცალეთ! – მკაცრად ეტყოდა წესის დამრღვევს, მეტადრე მაშინ, როცა ასაკით უფროსი პიროვნება საუბრობდა.

უფროს-უმცროსობის ქართული ტრადიცია ლევანს ოჯახიდან მოსდგამდა და ამ ჩვეულებასაც არ ღალატობდა.

ლევანის სიცოცხლის ბოლო დღეები იყო, როცა ყავანანაში ჩემს გამოჩენაზე ლევანი ფეხზე წამოდგა და სხვებიც აიყოლია. ის ადრეც ასე იქცეოდა, მაგრამ ამჯერად ერთი კაცი არ წამოდგა. ლევანმა და სხვებმაც ამას წუთიერი გაოგნებით და გაოცებით უპასუხეს. ხმა არ ამოუღიათ.

გავიდა ცოტა ხანი, სადღეგრძელოც ვთქვით, ყავაც მივირთვით და მხოლოდ ამის შემდეგ თითქოს სხვა თემასთან დაკავშირებით გაისმა ლევანის შთამბეჭდავი ხმა:



28/XI 2010 წ. ლევან ლლონტი, გიორგი ქავთარაძე, რამაზ სურმანიძე ბათუმში ვარსკვლავების გახსნის ცერემონიაზე (თამარ სულხანიშვილი, ნინო საკანდელიძე, მანუჩარ შერვაშიძე, იური ცანავა).

– საქართველოში ერთი დღით უფროსი ასაკის ადამიანსაც პატივს სცემდნენ და ამას ყველა ფორმით გამოხატავდნენ. ამ ადათ-წესების დაცვა პირველ რიგში ჩვენ გვევალება.

ეს დარიგება ვის ეკუთვნოდა, ყველასთვის გასაგები იყო.

უკანასკნელად ლევანი ხელოვნების მუზეუმში ვნახე. პოეტი ბელა ქებურია ქუჩაში მიიჩქაროდა, გამოფენაზე მივდივარო და მუზეუმამდე მივაცილე. უკან გამობრუნებას ვაპირებდი, მაგრამ ღირექტორის კაბინეტში სკამებზე მსხდომი ძმები ლევანი და თენგიზი დავინახე. ისინი ჩვეულებისამებრ ფიცხლად წამოდგნენ, მომესალმნენ, ვეღარ მივატოვე, მეც ჩამოვუჯექი.... რატომღაც ახლა დავაკვირდი, საუბრის დროს ლევანი ნათელი სახით, პირდაპირ, გაფართოებული თვალებით რომ შემოგუქეროდა. ეს უანგარო და უსპეტაკესი ადამიანების თვისებაა...

თურმე ეს ბოლო შეხვედრა ყოფილა.

**ბელა ქეზურია,**

მწერალი

### **სხვისი ნიჭის დამფასებელი**

განუმეორებელი ხიბლის, ელეგანტური, საოცრად ჯენტლმენური, თბილი, ხალისიანი, ამასთან ერთად დინჯი და მოზომილი, საიმედო ადამიანი, ბათუმის თეატრის მოამაგე, დიდი მსახიობი და სხვისი ნიჭის დამფასებელი... ესეც არასაკმარისია ბატონ ლევან ლლონტის შესაფასებლად. საგამოფენო დარბაზში შევხვდი, მოვეფერეთ ერთმანეთს, – დიდი ხანია აკადემიაში არ შემოგვივლიათო, – მისაყვედურა.

აუცილებლად, ბატონო ლევან, ამ დღეებში შემოვივლიმეთქი. საუბარი ვერ დავასრულეთ, სხვები შემოგვიერთდნენ, ნეტავ კიდევ რისი თქმა სურდა? მეტირება.





## მასტანბ ღლონტი,

პოეტი

### არ შეიძლება არ გვახსოვდეს

**ლევან ღლონტი** ძალიან ჰგავდა მშობლიურ ქალაქს – თბილი, მოსიყვარულე, ღირსებიანი. ერთ–ერთი უკანასკნელი **მოჰიკანი**, ვინც იცოდა წესი და რიგი, დიდი და პატარა, ადამიანისა და ადამიანურობის ფასი. გარეგნული ხიბლითა და შინაგანი არტისტიზმით. მთელი ბათუმი იყო მისთვის სცენა და საოცარი გულწრფელობით „თამაშობდა“ ოდნავ ძველ–მოდური, ჰეროიკული გმირის როლს... ადამიანი, რომელიც ლამის სამი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ურთულეს სამსახურს – დრამატულ თეატრს ბათუმში; სადაც სცენის მიღმაც არანაკლები ადამიანური დრამები გათამაშებულა და, – არც ერთი გულნატკენი, არც ერთი სამსახური–დან დათხოვილი...

წუთისოფელს სწორედ ასეთი ხალხი გვიხანგრძლივებს.

ცხოვრება იმით არის კარგი, რომ შეიძლება ასეთ ადამიანებს შეხვდე. ცხოვრება იმიტომ არის ხანდახან მწარე, რომ ასეთ ადამიანებთან გამოთხოვება გვიწევს...

არ შეიძლება არ გვახსოვდეს!



## ავთანდილ ღიასამიძე,

საქართველოსა და აჭარის დამსახურებული  
ჟურნალისტი, ბათუმის საპატო მოქალაქე

### ყველას მომფერებელი

ჩვენი მეგობრობა 42 წელზე მეტს ითვლის. ახალი დანიშნული ვიყავი გაზეთ "აჭარის" კულტურისა და ინფორმაციის განყოფილების გამგედ (ჩვენი ალი სამსონია მაშინ პასუხისმგებელი მდივანი იყო, მერე გადაიყვანეს რედაქტორის მოადგილედ, მერე რედაქტორად), ალიმ მასთან მიხმო და წიგნი "ჩემი მეგობარი ლევანი" მისახსოვრა წარწერით. შესანიშნავი ნარკვევი გაეკეთებინა ლევანზე. მაშინ გავიცანი ლევანი და... მას შემდეგ ვმეგობრობდით. მისმა უცნაურმა გარდაცვალებამ გამაოგნა. უაღრესად თბილი პიროვნება გახლდათ, ყველგან სიკეთეს, სითბოს, სიყვარულს თესავდა. თუ სათქმელი ჰქონდა, პირში გეტყოდა, ზურგს უკან არავის გაკილავდა.

არა მარტო ჩვენმა ქალაქმა, არამედ სრულიად თეატრალურმა საზოგადოებამ დაკარგა მისი სახით დიდი პიროვნება.

წარმოიდგინეთ, 24 წელი უხელმძღვანელა თეატრს. როგორი რთული ორგანიზმია თეატრი, მაგრამ... ნებისმიერ სიტუაციაში პოულობდა გამოსავალს – ერთ მხარესაც მოუსმენდა, მეორესაც და... ისე მოაწესრიგებდა ყოველივეს, რომ ორივე მხარე კმაყოფილი რჩებოდა. ეს არაა ადვილი საქმე. მას კი ამის რაღაც გამორჩეული ნიჭი ჰქონდა. თეატრმა არაერთი დირექტორი გამოიცვალა, მაგრამ ამ პოსტზე ამდენ ხანს არავინ დარჩენილა.

საინტერესო იყო მისი სცენარით, რეჟისორობით ქალაქში განხორციელებული არაერთი ღონისძიება. ასეთი 800 იყო. უბადლო მთხრობელი გახლდათ. ხშირად გვიყვებოდა უდიდეს

მსახიობებთან: აკაკი ხორავასთან, აკაკი ვასაძესთან, ვასო გო-  
 დიაშვილთან შეხვედრებზე. სასიამოვნო ხმის ტემბრით ყვე-  
 ბოდა. გადაუჭარბებლად და ლამაზად, ნიუანსებში.

შარშან, გიორგობას, 23 ნოემბერს, ჩვენს მეგობარს ალი  
 სამსონიას დაბადებიდან 80 წლის იუბილე შეუსრულდა. ის  
 ხომ ჩვენი სახალხო აკადემიის საპატიო პრეზიდენტი გახლ-  
 დათ. ლევანი კი, ორი წლის წინათ პრეზიდენტად ავირჩიეთ,  
 ცხონებული ჰაიდარ აბაშიძის გარდაცვალების შემდეგ და  
 სუფრასთან გადავწყვიტეთ, ეს თარიღი ფართოდ აღგვენიშნა.  
 შევაგროვეთ საჭირო თანხა და... თამაღობა მე დამავალა. 4  
 საათი ვისხედით სუფრასთან. ყველამ თავისი წილი სათქმე-  
 ლი თქვა, თავდაც განსაკუთრებულად მოეფერა.



სხედან: ავთო დიასამიძე, გოგიტა ლორთქიფანიძე, ლევან ლლონტი  
 დგანან: ნოდარ საჯიშვილი, ალა ვაზაგაშვილი, მანანა ძიძიშვილი

მეც აღმინიშნა შარშან ”სტეკლიაშკაში“ 70 წლის იუბილე. არაერთი თბილი სიტყვა მითხრა (როგორც იცოდა ხოლმე), მაგრამ ის განა მარტო ჩემი, ყველას მომფერებელი იყო.

შესანიშნავი ოჯახი შექმნა. ქალბატონი ლენა სანკტ-პეტერბურგელი გახლავთ. არაჩვეულებრივად თბილი და გულისხმიერი. ბრწყინვანლედ შეისწავლა ქართული ენა, კარგი შვილები აღზარდეს – მაია და ნატო, ჰყავთ შვილიშვილები. მიხარია, რომ შვილთაშვილსაც მოესწრო. ყველაზე დიდი სიყვარულით გვიყვებოდა.

...უაღრესად განათლებული, კეთილშობილი, ადამიანური. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მართალია, ლევან ღლონტი ჩვენ გვერდით აღარ არის, მაგრამ ვფიქრობ, თეატრში მისი 75 წლისთავის იუბილეს უნდა აღინიშნოს და მისი სახელობის ვარსკვლავიც გახსნან. რადგანაც მის შესახებ მან სწორედ გარდაცვალების დღეს შეიტყო.



**მ. კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა  
და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი**

**კიდევ ერთი ჭეშმარიტი ბათუმელი**

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს, ეს ეპითეტი სწორადაა მისადაგებული ბატონ ლევან ღლონტის პიროვნებასთან. მას ქართულ თეატრში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, იყო ბრწყინვალე მსახიობი, ასევე წლების განავლობაში ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატულ თეატრს. ბავშვობაში ცეკვა ”აჭარულის“ უბადლო შემსრულებელი გახლდათ, ხოლო სიცოცხლის ბოლომდე მსახიობთა მწყემსმთავარი, ლეგენდარული პიროვნება.

სამწუხაროა, რომ შეწყდა ბათუმის დიდი კოჰორტის კიდევ ერთი წარმომადგენლის ბატონ ლევან ღლონტის სიცოცხლე, მაგრამ მას დავიწყება არ უწერია.



## **მანანა ძიძიშვილი,**

ჟურნალისტი

აი როგორ აშუქებდა ამ მოვლენას ჟურნალისტი და ბათუმელთა საყვარელი ქალბატონი **მანანა ძიძიშვილი**, რომელმაც საყვარელ მსახიობს და მეგობარს – ლევან ღლონტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით უამრავი ინტერვიუ ჩამოართვა საზოგადოებას და განათავსა გაზეთ „აჭარა“-ს ფურცლებზე, რომელსაც გთავაზობთ:

### **შენს ბათუმს მოენატრები, ლევან!**

კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება გამოაკლდა ჭეშმარიტ ბათუმელთა რიცხვს – წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელიც ალამაზებდა ბათუმს, უხდებოდა ქალაქს...

საქართველოსა და აჭარის დამსახურებულ არტისტს, იუსუფ კობალაძის სახელობის პრემიის ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს, ბულგარეთის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატს, საზოგადო მოღვაწეს ლევან ღლონტს 11 თებერვალს უკანასკნელად მიაგეს პატივი. დღის 12 საათზე მისი ცხედარი ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში გადაასვენეს, საიდანაც საზოგადოებამ, მყურებელმა, რომელსაც ასე შეაყვარა თავი, უკანასკნელ გზაზე გააცილა. მათ შორის იყვნენ აჭარის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, თბილისის, სენაკის, ფოთის, ოზურგეთის თეატრების, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა საზოგადოების წარმომადგენლები...

სახელდახელო სამელოვიარო მიტინგზე გამოსვლისას მეგობრები, კოლეგები, ყველა, გულისტკივილით ამოთქვამდა დიდ სატკივარს. თითოეული მათგანი მადლობას უხდოდა

მას კარგი ბათუმელობისთვის, სიყვარულით სავსე, სუფთა გულისათვის, მომხიბლველ გარეგნობასთან შეხამებული ნიჭისთვის, კარგი მსახიობობისთვის, იმ დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის, რითაც ყველას დაამახსოვრა თავი, გამორჩეულად ნაღდი, უღალატო, ბრწყინვალე მეგობრობისათვის, გულისხმიერი ადამიანობისათვის, უნიკალური, გულთბილი მისაღმებისათვის, ბრწყინვალე თამაღობისათვის.

– 24 წელი იყო თეატრის ღირექტორი, ეს არაა ადვილი. მთელი ამ ხნის განმავლობაში არავინ გაუთავისუფლებია. ესეც მის ღირსებასა და კაცობაზე მეტყველებს. ქედს ვიხრი ჩემი მეგობრის წინაშე, ვუსამძიმრებ ყველას, ვისაც ის უყვარდა, ასეთი კი ძალიან ბევრია. თქვა საქართველოს თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელმა **გიორგი ქავთარაძე**.

– დიდებულ ოჯახში აღზრდილი ლევანი ჩვენი ქალაქის გამორჩეული რაინდი იყო. მისი სახით ბათუმის ცას ერთი მანათობელი ვარსკვლავი მოწყდა, მაგრამ არ ჩამქრალა, დიდხანს იკიაფებს, ზეცაში ასული მის სულსაც გაანათებს. საპატიო ბათუმელი ბათუმელთა შორის გამორჩეული იყო. ამიტომ ავირჩიეთ ეგრეთწოდებული სახალხო აკადემიის პრეზიდენტად... ლევანი აქაც მეგობრობის, ძმობის სიყვარულის ჭეშმარიტი პრეზიდენტი გახლდათ, რომელიც მუდამ სიმართლეს, პატიოსნებას, ურთიერგატანას, ქართული წესჩვეულებებისა და ტრადიციების დაცვას ქადაგებდა... გუშინ იქ, ”სტეკლიაშკაში“ მისი სურათი ჩამოკიდეს, – აღნიშნა პროფესორმა რამაზ სურმანიძემ.

– ლევანი იყო ადამიანი, რომელიც ზნეობას განასახიერებდა... ერთი კაცი გარდაიცვალა, მაგრამ... არ იყო ერთი, ის მრავალწახნაგოვანი თვისებებით შემკული გახლდათ. ოთხ ათეულ წელზე მეტს ითვლიდა ჩვენი მეგობრობა. სამწუხაროდ, აღარ არის ლევანი ჩვენს შორის, ყველას მომფერებელი,

ლამაზი, უსაყვარლესი პიროვნება, – თქვა **ალეკო ჩხარტიშვილი**.

...თეატრში მოსულმა საზოგადოებამ წუთიერი ღუმილით პატივი მიაგო ღვაწლმოსილ ადამიანს... უკანასკნელი ტაში, ახალგაზრდა კოლეგებმა გამოასვენეს მისი ცხედარი თეატრიდან.

ლევან ღლონტი აჭარის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.





**მარინა მითაიშვილი,**

ჟურნალისტი

### **ლევან ღლონტის „საიდუმლო“**

გარდა იმისა, რომ ეს არაჩვეულებრივი ადამიანი, კარგი მსახიობი გახლდათ და არაერთი დასამახსოვრებელი სახე შექმნა, ამავე დროს იყო კარგი ქალაქელი, ბათუმის სახელი და ღირსება. კაცი რომელთა მსგავსნი ყოველთვის ამაღლებენ ქალაქის სახელს.

შესახედაობით, თავდაჭერით, ქცევის მანერით ყოველთვის გამოჩნეულს, მკაფიოდ ესვა კეთილშობილების ბეჭედი – უეჭველი ნიშანი პიროვნების კაცურობისა. მასთან შეხვედრისას ცდილობდი, თავადაც ამაღლებულიყავი და მის თვალს შენში ისეთი რამ არ შეენიშნა, რაც ბათუმელის სახელს არ მოუხდებოდა. ასეთი ადამიანები ისე მოქმედებენ გარშემო მყოფებზე, ისე გრზდიან, თავადაც არ უწყიან, რადგან გუნებაში არასდროს ჰქონიათ, რაიმე ნაკლზე მიენიშნებინათ. ასეთი ადამიანები მთელ ქალაქს ეკუთვნიან, ისინი ყველას ახლობლები არიან, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულს არ იცნობენ!

ერთი ეპიზოდი მახსენდება, ქალაქში შევხვდი, „სტეკლიაშკის“ აკადემიასთან. თანააკადემიელებთან ერთად საუბრობდა. ბავშვი მახლდა – საბა, დაინახა თუ არა, თვალები აუციმციმდა. ჩვეული გალანტური სალამისა და მოკითხვის შემდეგ, საბას ხელი ჩაჰკიდა და ტკბილი საუბრით სადღაც გაიყოლა. მანამდე მითხრა, ჩვენ მალე მოვალთო, ჩემდა გასაკვირად, უკარება საბაც ბოჩოლასავით გაჰყვა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მოკოლადით პირგამოტენილ ბავშვთან ერთად მასზე არანაკლებ კმაყოფილი დაბრუნდა. ტკბილეულის „რეზერვი“ პაწიას ჯიბეებიდანაც „იჭყიტებოდა.“

ლევან ღლონტის – საქართველოს დამსახურებული არტისტის, რეჟისორის, ღირსების ორდენის კავალერის, იუსუფ კობალაძის პრემიის ლაურეატისა და ბათუმის საპატიო მოქალაქის პიროვნული სიმაღლის საიდუმლოებას მაინც ადამიანებთან, თანაქალაქელებთან, მეგობრებთან და უახლოეს ადამიანებთან მისეულ დამოკიდებულებაში ვხედავ. კეთილგანწყობა, სიკეთე, თავმდაბლობა (რომელიც კიდევ უფრო უსვამდა ხაზს მის ღირსებებს), უკონფლიქტობა და სხვისი ჭირის თუ ღზინის გაზიარების უნარი, ჭეშმარიტად ყველასაგან გამოარჩევდა.

ბათუმმა ქალაქის სახის და ღირსების მატარებელი ერთ-ერთი უიშვიათესი ადამიანი დაკარგა, ადამიანი, რომელმაც მას სამუდამო კვალი დაატყო და მარადისობაში ისეთივე ჩახჩახა სიყვარულით გადაინაცვლა, როგორიც 76 წლის წინათ ამქვეყნად მოიტანა.



## ჩიტო ომერაძე

### გული ბათუმში დარჩა...

არის ქალაქი და არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი არსებობის მანძილზე ისტორიულ კვალს ტოვებენ. წლები, წლებს ემატება, მაგრამ ინერციის მიუხედავად

ის კვალი, რომელიც ცხოვრების განვლილი გზით იზომება, არასოდეს ქრება. ეს რეალურად ბატონ ლევან ღლონტის ცხოვრებაშიც ასე მოხდა.

ბატონი ლევანის შემოქმედებას ახალგაზრდული წლებიდან გავეცანი ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენიდან. იმ პერიოდში პრესტიჟულიც იყო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაშიც გვთხოვდნენ ბათუმის თეატრის სპექტაკლებზე დასწრებას, რომელმაც შემდგომ ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა. მის მიერ განხორციელებული ყველა როლი, დღესაც ჩემი მეხსიერების დიდი ნაწილია. ახლაც კარგად მახსოვს თაყვანისმცემელთა გრძელი რიგი, რომელიც მას თეატრის გასასვლელ კარებთან ელოდებოდა. ეს სიყვარული ერთეულების ხვედრია.

არასოდეს დამავიწყდება მაშინდელ სტალინის ქუჩაზე მისი გამოჩენა როგორ აჟიოტაჟს იწვევდა თაყვანისმცემელთა შორის.

ჩვენი ურთიერთობის მეორე ეტაპი სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის პერიოდში გადაიკვეთა. იმ წლებში ალბათ არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი დატვირთვის ღონისძიება თუ შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენელთა საღამოები, იუბილეები, დაკავშირებული რომ არ ყოფილიყო ბატონ ლევანთან. მისი ნიჭისა და ძალისხმე-

ვის წყალობითაა, რომ აჭარას განსაკუთრებულად დახვეწილი გემოვნებით გამორჩეული სალამოები შემორჩა. ეს კი მისი ხელწერა იყო...

უნდა აღინიშნოს ახაგაზრდობასთან მისი საქმიანობის პერიოდი. ისტორიული გადასახედიდან გვერდს ვერ აუვლით ბათუმის პიონერთა პარკში მისი ხელდასმით შექმნილ „მწვანე თეატრს“, რომელმაც შესანიშნავი შევსება მოუშადა ბათუმის დრამატულ თეატრს. აჭარის ყველა რაიონს შემორჩა მის მიერ ორგანიზებული და ბრწყინვალე რეჟისორობით მომზადებული და ჩატარებული სახალხო დღესასწაულები: „შუამთობა“. „კოლხობა“, „ახალგაზრდული ზეიმები და რამდენი ერთი. ყოველთვის და ყველგან იგრძნობოდა ბატონი ლევანისეული დამოკიდებულება მინდობილი საქმისადმი.

შემდგომი პერიოდი ჩვენი ურთიერთობისა დაემთხვა ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებას. ბატონი ლევანი იმ პერიოდში ბათუმის დრამატული თეატრის ხელმძღვანელი იყო და იმავდროულად სათავეში ჩაუდგა ახლადშექმნილ ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს. იმ ურთულეს პერიოდში ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას ბრწყინვალედ გაართვა თავი და მართლაც, ორი განსხვავებული ჟანრის თეატრალური დასის ერთ ჭერქვეშ ყოფნა ურთულესი პროცესი იყო. ყველგან იგრძნობოდა მისი თბილი, მშვიდი და აუჩქარებელი დამოკიდებულება ყველასა და ყველაფრის მიმართ. იგი იყო შეუდარებლად უკომფლიქტო პიროვნება. არასოდეს გამოდიოდა წონასწორობიდან. მას უზომოდ უყვარდა თეატრი.

ხშირად, ერთად გვიწევდა ფორცმაჟორულ სიტუაციაში მნიშვნელოვანი ღონისძიებების ორგანიზება, მასთან ურთიერთობა და საქმიანობა ჩემთვის ძალზედ ძვირფასი იყო. ისე გავიდა წლები, ერთი წყენაც არ მახსოვს მისგან. იყო პერიოდი, როცა ურთულესი დღეებიც გადაგვიტანია. მას ახასიათებ-

თენგიზ ცაგსლაშვილი

და ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნდობისა და ერთგულების ფაქტორი და ამ გრძნობას მისთვის არასოდეს უღალატია. იმ წლებმა, რომელიც ბატონ ლევანთან მაკავშირებდა, ჩემში უდიდესი კვალი დატოვა და მადლერიცა ვარ, მისგან ბევრი რამ ვისწავლე.

ბოლო პერიოდში ბატონ ლევანს ჩვენს თანაქალაქელთა უსაყვარლეს ადგილას, ეგრეთწოდებულ „სტეკლიაშკაში“ ვხვდებოდი, ეს შეხვედრები დღეს, უბრწყინვალეს მოგონებებად შემომრჩა. იგი თავისი ჰაბიტუსით და საუბრის მანერით, თავისი იქ ყოფნით ავსებდა იმ ბრწყინვალე ბათუმელთა თაობას, რომლებიც კი იკრიბებოდნენ იქ.

ბატონი ლევანი თავისი იუბილესთვის ემზადებოდა და ჩვენი შეხვედრაც 2013 წლის ოქტომბერში ამ საკითხებთან



ქალბატონი ჩიტო ომერაძე და ბატონი ლევან ღლონტი ღონისძიების ჩატარების დროს

დაკავშირებით შედგა. რამდენიმე მისაღები წინადადება ჰქონდა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელობასთან. ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ და გულიც ვიჯერეთ. გახარებული წავიდა ჩვენგან. აშკარად ეტყობოდა, რომ ამ დღისათვის დიდხანია ემზადებოდა. ბოლოს კი 7 ნოემბერს „სტეკლიაშკასთან“ ახლოს დაბადების დღეზე შეკრებილ ქალბატონებს ულამაზესი ვარდების თაიგული გვისახსოვრა ისე, რომ თვითონ არც კი გამოჩენილა. ბატონი ლევანი ამგვარ სიტუაციებშიც შეუდარებელი იყო. ამიტომაც დატოვა უდიდესი სიყვარული ჩვენს ქალაქში საზოგადო მოღვაწემ, ბათუმის საპატიო მოქალაქემ ლევან ღლონტმა.

ბათუმის სიყვარული ძალზე ძნელია, მას ერთეულები თუ იმსახურებენ.



## ლავა ღლონტი,

მომღერალი

### ბათუმის პატრონი

ვინც ბათუმში ბათუმური წვიმით არ დასველებულა, „ბერეგზე“ ცნობილი „სათენიკას ყავა« არ დაუღევია, ძველი „ნექტარისა« და „გემოს« აჭარული ხაჭაპური არ უგემია, დილიდან დაწყებული ქეიფი საღამოს „ინტურისტების« კაფეში შამპანურით არ გაუგრძელებია, ვისაც „სტეკლიაშკაში« ბათუმის სადღეგრძელო არ დაუღევია, ვისაც კაცური თავმოყვარეობის მიუხედავად ერთხელ მაინც ხელში ძველი ქოლგა არ ჭერია, ვისაც ბათუმის წვიმიან გუბებში ფესსაცმელი არ დასველებია და ვისაც ზაფხულში შვებულება აუღია, იგი ვერასოდეს მიხვდება ამ პატარა ქალაქის პეწსა და ლაზათს.

ყველას როდი აქვს უფლება იწოდებოდეს ჭეშმარიტ ბათუმელად. ბათუმი დიდი სკოლაა კაცობის, წესიერების, ღირსების, თავმოყვარეობის, ზრდილობის, სტუმართმოყვარეობისა და უდიდესი სიყვარულის.

საოცარი ცრემლითა და ბათუმური წვიმით გააცილა ქალაქმა უკანასკნელ გზაზე მისი ღირსეული შვილი, უკეთილშობილესი პიროვნება, ჭეშმარიტი რაინდი, უნიჭიერესი მსახიობი, და ბათუმის უკანასკნელი მოჰიკანი ლევან ღლონტი.

რა სულისშემძვრელად მართლად აღნიშნა გამოსათხოვარ სიტყვაში, არაჩვეულებრივმა ბათუმელმა პოეტმა, ვახტანგ ღლონტმა: „ლევან ღლონტის დასაფლავებით ჩვენ საკუთარ თავს ვასაფლავებთო« და ვაი,რომ მართლაც ასეა.

აქვე მახსენდება ჯანსუღ ჩარკვიანის საოცარი სიტყვები: „ისეთი ადამიანები წავიდნენ,რომლებიც სიცოცხლეში ცხოვრებას გვიადვილებდნენ, ხოლო გარდაცვალებით კი სიკვდილსო«

ყოველდღიურ ცხოვრებაში მუდამ მოუცლელმა და მორიდებულმა ლევანმა ვერც თავისი ვარსკვლავის გახსნისათვის მოიცალა, მაგრამ იგი ბათუმმა დააჯილდოვა ყველაზე დიდი ვარსკვლავით „ქალაქის აკადემიის“ (სტეკლიაშკის) პრეზიდენტობით, რაც მარტო ერთეულთა ხვედრია და ეს ტიტული მხოლოდ და მხოლოდ ხალხის სიყვარულით, თავისთავად მოიპოვება.

ლევან ღლონტის სახელის ხსენებაზე მასხენდება ერთი დიდებული აჭარელი მომღერლის გურამ თამაზაშვილის სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა გოგი დოლიძის გარდაცვალების შემდეგ: „გოგის არყოფნა „ქართული ხმებისათვის“ ისეთივე დანაკლისია, როგორც მცხეთაში შემოსვლისას რომ არ იდგეს მცხეთის ჯვარი“. სწორედ ასეა დაობლებული დღეს ბათუმი ლევან ღლონტის, მისი პატრონის გარეშე. ბათუმით სუნთქავდა, ბათუმს იფიცებდა, ბათუმის გარეშე 2 დღესაც ვერ ძლებდა. არასოდეს არავისი არ შურდა, ყველას წარმატება ბავშვივით უხაროდა!!! დიდი ბავშვი იყო!!! ჩემი სცენაზე გამოჩენა ისევე როგორც მრავალი ხელოვანის, სწორედ პატონი ლევანის სახელს უკავშირდება.

მთელი აჭარის მასპინძელს თავისი მოკრძალებული სახლის შელახული კედლებისთვისა და საკუთარი მატერიალური კეთილდღეობისთვის არასოდეს უფიქრია. ბევრი მიუკვლია და სტუმრისთვის ბათუმის სახელით ფეიერვერკები მოუწყვია. 24 წელი თეატრის დირექტორი იყო და სამსახურიდან არავინ გაუშვია. სიყვარულით ცხოვრობდა, სიყვარულს ატარებდა. ადრე სპორტსმენი გახლდათ. საქართველოს ნაკრების კარს იცავდა როგორც მეკარე. მას ეს სტატუსი მთელი ცხოვრების განმავლობაში არ დაუკარგავს და ყოველთვის იყო ბათუმისა და აჭარის გულანთებული დამცველი.

ბათუმს დიდი ხანი არ ახსოვს ამდენი ცრემლი. ასეთი სიყვარული ადამიანისა XXI საუკუნეში. ვნახე საოცრება.



ამდენი გულიდან წამოსული სიტყვა, ამდენი ახალგაზრდა, ამდენი ატირებული ბათუმელი, ამხელა სიყვარული სამაგალითოა. მისი ცხოვრების ბოლო წუთებიც ისე, როგორც მთელი მისი პატიოსანი და უღალატო ცხოვრება ბათუმის სტუმრის პატივისცემისთვის იყო განკუთვნილი. იგი განზრებული მოვიდა სახლში სურსათ-სანოვაგით დატვირთული, ხვალ ბათუმის სტუმრები მოდიან ჩემთანო. და ვაი, რომ ვეღარ! ისევ სტუმრის, ბათუმის სტუმრის მოლოდინში გარდაიცვალა და ისიც ისე უცბათ და ლამაზად (თუკი შეიძლება სიკვდილი იყოს ლამაზი), რომ არავინ არ შეუწუხებია. მოულოდნელად შეწყდა ბატონი ლევანის უღალატო გულისცემა.

ლევან ღლონტი აღარ არის!!!

ბათუმში სხვანაირად გათენდა, „სტეკლიაშკაში» ვეღარასოდეს მოვისმენთ მისი უღამაზესი ტემბრის ხმას, ვერასოდეს ვნახავთ მის მკვირცხლ ფეხზე წამოხტომას და მოწიწებას ბავშვის წინაშეც კი. აი, ესაა ცხოვრების აზრი, ესაა მწვერვალი კაცობისა, უბრალოებისა და სისუფთავისა!!!

ღღეს ყველა ქელს იხრის შენს წინაშე ბათუმის პატრონო!!! ხშირად კამათობენ რომელი გზით უნდა ვიაროთ ევროპულით, აზიურით, ამერიკულით, რუსულით. არა!!! ჩვენ უნდა ვიაროთ ლევან ღლონტის გზით! ესაა სიყვარულის ქართული გზა!!! გზა, რომელიც იმ დიდ მამულიშვილებთან ერთად გაიარა ერთმა ბათუმელმა ბიჭმა, ლევან ღლონტმა. „ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი და ვრჩები მუდამ ბებერი ბიჭი». ბებერ ბიჭად და ბათუმის პატრონად დარჩება იგი ყოველთვის, ვიდრე შავიზღვისპირას, ერთ პატარა უღამაზეს კუთხეში იარსებებს ქალაქი, რომელსაც სახელად ბათუმი ჰქვია. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის, ბიძაჩემო, ყველას ბიძავ და მამავ, შენი ნაპატრონები და შენი ყველაზე დიდი საფიცარი, ბათუმის წმინდა მიწა!!!

## **ჯიშსონ გურგენიძე,**

აჭარის დიზაინერთა კავშირის წევრი

### **რით ვინუგეშოთ თავი...**

დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. წავიდა ამ ქვეყნიდან უსაყვარლესი, განუძეორებელი, დიდი ადამიანი, ბათუმის ნამდვილი კოლორიტი. ბათუმის ინტელიგენციის, სახალხო აკადემიის პრეზიდენტად ჩვენ ავირჩიეთ, ავირჩიეთ მისი გამორჩეული ღირსებების გამო და ვფიქრობ, მას ველარავინ შეცვლის.

ნახვამდის, ჩემო ლევან! სიტყვები უძლურია იმ ტკივილის გამოსახატავად, რასაც ახლა თითოეული ჩვენგანი განიცდის. არ ვიცი, რით უნდა ვინუგეშოთ თავი...



**სიმონ ფუტყარაძე,**

აჭარის დამსახურებული არტიტი,  
ქორეოგრაფი-პედაგოგი

**ხელოვნების ყოველ ნაწარმოებში დიდსა  
თუ პატარაში, თვით ყველაზე მცირედშიც კი,  
ყველაფერი კონცეფციამდე მიდის**

**”გოეთე“**

აჭარის მთიანეთის კულტურულ ცხოვრებაში გასული საუკუნის მიჯნაზე ნათელი კვალი დაამჩნიეს ჩვენს რეგიონში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეულმა პედაგოგებმა, ექიმებმა, კულტურის მუშაკებმა. მახსოვს ისინი, ძალიან პატარა ვიყავი 4-წლის, დღესაც თვალწინ მიდგას მათი სახეები, სწორედ ამ ძვირფასმა ბუმბერაზმა ხალხმა დაგვიდგა ჩვენი სამშობლოს სიყვარულის პირამიდები, ამ ძვირფასმა ხალხმა შემოიტანა ჩვენს რეგიონში კულტურა, განათლება, მათ შეგვიწარმოეს ჩვენს ხალხს დედაენა, მოგვეფერა, ჩაგვეხუტა და ნაძვის ხის ყავრით შემოჭედელ აკვანში ჩვენს დედებს, რურუი-ნანას სამღერი სიტყვები იავენანათი შეაცვლევინა და ხმამაღლა ამღერა.

სწორედ ამ ძვირფას ხალხთან გვერდით გვირგვინად დადგა ჩვენი მთიანეთის დიდი მეგობარი და ხშირი სტუმარი უძვირფასესი პიროვნება ბატონი ლევანი ღლონტი. ის, მარტო რეჟისორი კი არა უფლით მოვლენილი უნიჭიერესი ბუმბერაზი აღმზრდელი იყო, ის ჩვენი ფოლკლორის, სულის ენა იყო, იგი ის კაცი იყო, რომელთანაც კუთხურობის, ვერ ცერთ ხასიათს ვერ ნახავდი, მე მისთვის ყოველთვის დიდი ქართველი ვიყავი, არასოდეს დავივიწყებ მის ძვირფას თანადგომას, ჩემი

კუთხის, ფოლკლორულ-ქორეოგრაფიის განვითარებაში, ქართული ფოლკლორის აღორძინებაში, სწორედ მან გამოამზიურა, დახვეწა, გაალამაზა და მალალმომთხოვნი საზოგადოების წინაშე გაუკაფა გზა ჩვენი მთიანეთის შემოქმედებას ქართულ სულს, ამიტომაც ვიტყვოდი პირდაპირ, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში, მის სულს ყოველთვის თვალცრემლიანი იეთიმური, მეგობრული სიყვარულით მოვეფერები. ის ბუმბერაზი ქართველი და დიდი ხელოვანი იყო, ჩემი პატარა შემოქმედებითი ძიების სფეროში მიღებულ რაიმე ჯილდოს თუ დავხედავ, აქ მისი ხელი ახატია, მისი ღიმილიანი სახე ახატია. ჩემი ქორეოგრაფიული ანსამბლების გამოსვლას ყოველთვის მისი მდიდარი თვალთახედვა აღამაზებდა, ამდიდრებდა და ზოგჯერაც ყურში ჩამჩურჩულებდა, შემისწორებდა და ცოდნით შეიარაღებული ახალი წარმატებისაკენ მიბიძგებდა. ბატონი ლევანი ჩემი მთიელი კაცის-აღმაფრენა, სიცოცხლე და სიყვარული იყო. შეამაყება, რომ ჩემს კურთხეულ აჭარასა და სრულიად საქართველოს ჰყავდა ასეთი დიდი ბუმბერაზი ხელოვნების ქომაგი და მოამაგე, საზოგადო მოღვაწე, დიდი პიროვნება.

შეამაყება, რომ ჩემს აღზრდაშიც მიუძღვეს დიდი წვლილი და ბედნიერ კაცად ვითვლები.

ამრავლოს ღმერთა ასეთი ძვირფასი ხალხით ჩვენი საქართველო, მისი გვარი და მოღვაძე მრავალჟამიერი ყოფილიყოს მათში.

მისდამი დიდი პატივისცემით...



**ამირან შალიკაშვილი,**

პოეტი

**ჩემს მეგობარს ლევან ღლონტს**

შენ ღღეს ღამეს გაათენებ  
ღილა ლოცვით შეგ ხვდება,  
შენს თოფს ყალყზე შეაყენებ  
ბრძოლა შეგეფერება!

შენ ღღეს მთვარეს შეაჩერებ  
ზეცა მოგეფერება,  
მზეს ფიალას მიაწოდებ  
მზე შენს ლოცვას მოჰყვება.

შენი ნიჭის შთაგონება  
შენს მოსვლას შემოჰყვება,  
თამაშობა, არტისტობა  
ამ კედლებს შემორჩება.

ჩემს სიცოცხლეს შემახსენებ  
მთა სიმღერას მოჰყვება,  
შენი ლოცვა, ჩემო ლევან,  
ჩემს ფიქრებს არ შორდება.

მაგ კაცობის კაცურობა  
ხეზე აიფოთლება,  
შენი დიდი სიყვარული  
ჩემს გულს ეამბორება.

ყველას გულით მოიკითხავ,  
გიყვარს ზეცის ფერება,  
ღამეს ფიქრში გაატარებ,  
ღილა ლოცვით შეგ ხვდება!

## ღუბლას კომასიძე,

პოეტი

### ლევან ღლონტს!

მაღლა ზეციურ ვარსკვლავებთა თვალთა კიაფი,  
დედამიწაზე უამრავი უმწიკლო გრძნობა,  
საქართველოა დღეს ვაჟკაცთა, ლომთა აკვანი,  
სადაც ბობოქრობს, უღალატო ნამდვილი ძმობა!

დღეს შენ მათ შორის, ერთადერთი დიდი ლომი ხარ,  
დრო რომ გაგირბის თეთრ რაშივით ფაფარაშლილი,  
დაფიქრებულხარ?, თამაღობას ვინ ჩაიბარებს.  
შენ როცა გვეტყვი, დამასვენეთ, მე ვარ დაღლილი.

უფლის წყალობით, მორთმეული ვაზის ნაჟური,  
ბუნებისაგან ნაბოძები სუფრის მეფობა,  
გულს ნუ გაიტეხ, ბატონო ლევან, არ თქვა ვბერდები,  
ეგ შემართება, რაც შენა გაქვს დიდხანს გეყოფა.

ზედავ? ცხოვრება რა ლამაზად მიედინება,  
თითქოს ივსება სიყვარულით მთელი სამყარო,  
ჩვენი თაობა შენ არ მოგცემს იმის უფლებას,  
რომ თქვა დავბერდი და ფარხმალი უნდა დავყარო.

როგორ უხდები შენს პატარა ქათქათა ბათუმს,  
რა რიხიანად ეგებები ყოველ ალიონს,  
ნუთუ, არსებობს ის მაგიდა, შენ რომ თამაღობ  
და სიყვარულის სადღეგრძელო, რომ არ დალიო!

## ინოვაციური ლექსი,

მსახობი

### მაღლობთ, ბატონო ლევან!

როგორ უნდა შეიცნო საკუთარი თავი და ადგილი, რა უნდა მოიმოქმედო შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის, რომ შემოქმედებითი ცხოვრება მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყოს, ერთ ადგილზე არ გაჩერდეს და ცხოვლის-მყოფელ სტიმულად იქცეს? ამისათვის თავდაუზოგავი შრომა საჭირო. იშრომე რომ სულიერი ძალა შეინარჩუნო, იშრომე რომ მიუწვდომელს მისწვდე... – დაახლოებით ეს სიტყვები მითხრა ბატონმა ლევანმა მრავალი წლის უკან, შესვენების დროს, როდესაც დრამატულ თეატრში ერთ–ერთ ღონისძიებას ამზადებდა და მე მირზა გელოვანის ლექსი “ნუ მწერ” უნდა წამეკითხა. ღონისძიების დასრულების შემდეგ ყოჩაღო მითხრა, აღელვებულს მხრებზე ხელი მომხვია და გულში ჩამიკრა. ის შექება და კეთილგანწყობა დღესაც შემოქმედებითი სტიმულის მატარებელია ჩემთვის.

გარდა იმისა რომ ბატონი ლევანი ცნობილი და წარმატებული მსახიობი იყო, განსაკუთრებული ორგანიზატორული თვისებებითაც გამოირჩეოდა, აღარაფერს ვამბობ მის წარმოსადგე, ვაჟკაცურ იერსა და ხიბლზე. გამოკვეთილი შინაგანი კულტურა და გარეგნული მომხიბვლელობა ჰარმონიულად აისახებოდა მის პიროვნებაზე და საზოგადოების ნდობასა და პატივისცემას იმსახურებდა. იგი მრავალი წლის მანძილზე იყო დირექტორი იმ თეატრისა, რომლის სცენაზეც არაერთი დასამახსოვრებელი სახე შექმნა და მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა. თანამდებობაზე მუშაობის დროს, მანამდეც და სიცოცხლის ბოლომდე ბატონი ლევანი უამრავი შეხვედრის,

კონცერტისა და იუბილეს ავტორი და რეჟისორი გახლდათ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ამ კალედოსკოპივით მრავალფეროვან ღონისძიებებში მეც მიმიღია მონაწილეობა, რომლებსაც ჩემი მხრიდან უაღრესი პასუხიმგებლობის გრძნობა და ძღვევარება ახლდა, რადგან ბატონი ლევანი თავად ხომ ბრწყინვალედ კითხულობდა და პროზისა და პოეზიის უდიდესი თაყვანისმცემელი ბრძანდებოდა. მიტომ ვცდილობდი ისე წამეკითხა, რომ უწინარეს მისი მოწონება დამემსახურებინა...

ერთხელ დამიბარა და მითხრა: ჯემალ ჯაყელის საიუბილეო საღამოს გამზადებ და მზად თუ ხარო – ყასიდად მკითხა „მზად თუ ხარო“, ბატონი ჯემალის შემოქმედება ძალიან მიყვარს და ხშირად ვკითხულობდი მის ლექსებს.

ბატონო ლევან, რომელ ლექსსაც შემირჩევთ იმას წავიკითხავ-მეთქი, ვუპასუხე. მაგიდასთან იჯდა, როგორც ყოველთვის სიგარეტს ეწეოდა, სიგარეტი საფერფლეში ჩააფერფლა და დაკვირვებით შემომხედა. ახლაც მახსოვს ეს შემოხედვა და დინჯი, მკერდისმიერი ბარიტონით ნათქვამი: არ გინდა აქ, ჩვენთან მონო სპექტაკლი ითამაშო? – მეგონა მომეყურა, – ნუთუ ეს შესაძლებელია? ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე მონო სპექტაკლი ვითამაშო? – შიშის და მოულოდნელობისაგან გული თითქოს გამიჩერდა, მონო სპექტაკლი და არა მხოლოდ ლექსი, რომელსაც ავანსცენაზე ერთხელ წაიკითხავ, თავს დაუკრავ მაყურებელს და კულისებში გაუჩინარდები... ბატონი ლევანი ელოდა, რას ვეტყვოდი, სიგარეტი ნამწვის საფერფლეში ჩასრისა, მერე კოლოფიდან ახალი სიგარეტი ამოიღო, ისევ შემომხედა, გაელიმა და ნუ გეშინიაო, მითხრა, თან დასძინა: ეს იქნება ორიგინალური, სრულიად განსხვავებული იუბილეო, – წამოდგა, სიგარეტს მოუკიდა და კაბინეტიდან გავიდა. მე კი სავარძელში დიდხანს ვიჯექი გაოგნებული... ვერ გავიგე, როდის შემოვიდა დასის გამგე ქალბატონი ლიანა ლორთქი-



ფანიძე, მან კვირის განრიგი გამაცნო და მეორე დღეს რეპეტიციასე დამიბარა. თან მკაცრად გამაფრთხილა, პუნქტუალური ვყოფილიყავი.

მღელვარებისგან იმ ღამეს თითქმის არ მიძინია, მეორე დღიდან ჩემთვის დაუვიწყარი სამუშაო პროცესი დაიწყო. თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის მცირე მასშტაბის სცენას შეგუებულს მიჭირდა დრამის ფართო სცენაზე მოძრაობა და ტექსტის გადანაწილება, სცენის სიღრმისკენ წასულს, ან კულისებთან ახლოს მდგომს შიში მიპყრობდა, მეგონა ვიკარგებოდი სცენის უკიდევანო სივრცეში და დარბაზში რეჟისორს, ბატონ ლევანს საშველად თვალებით ვეძებდი, რომელიც მოთმინებით, პროფესიული ალლოთი ცდილობდა ეს სივრცე და ატმოსფერო ჩემთვის მშობლიური და ახლობელი გაეხადა. იყო მომენტები, როცა ჩემთან ერთად დადიოდა სცენაზე. ჩემთან ერთად იმეორებდა ლექსის სტრიქონებს და ავტორის ფიქრებისა და განცდების მიმართულების სწორად წარმოსაჩენად ზუსტად მიგებდა შესაბამის მიზანსცენებს. ერთხელაც შემაჩერა და მითხრა: “პოეზია სამხატვრო გალერეაა, სადაც ადამიანურ გრძნობებზე ფერები ლაპარაკობენ და თვალისმომჭრელად ელვარებენ... შენ უნდა განათდე, ეცადე განათდე და თუ ეს გამოგივა, სწორედ მაშინ ამზეურდება სათქმელი – მითუმეტეს რომ ჯემალ ჯაყელის პოეზია მზითა და ათასგვარი ფერებითაა გაბრწყინებული.

მალე ბატონმა ლევანმა რეპეტიციებზე ცნობილი ბალერონი და ბრწყინვალე ადამიანი ბექარ მონავარდისაშვილი მოიწვია. იგი ჩვეული ენერგიით და იუმორით შემოუერთდა რეპეტიციებს. ბატონი ბექარი მეხმარებოდა მიზანსცენებში ტექსტისა და პლასტიური მოძრაობის შერწყმაში, რამაც თავისებური ელფერი შესძინა ბატონი ლევანის ჩანაფიქრს.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. მწერლები და პოეტები ხშირად იხსენებენ ჩვენს წარმატებულ მონო-სპექტაკ-

ლს, მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარი პროფესიონალ ადამიანებთან ურთიერთობაა და ამ ურთიერთობის რეზულტატი – პროფესიული ბედნიერების განცდა. ლომელსაც იგემებ თუ არა, მაშინვე კარგავს გემოს და უფრო გემრიელი ბედნიერების მისაღწევად გიბიძგებს... სწორედ ეს არის ის სულიერი ძალა, რომლის შესანარჩუნებად ბატონი ლევანი მრავალი წლის წინ, შესვენების დროს მეუბნებოდა: და მისი სიტყვები დაახლოებით ასე ჟღერდა: „შემოქმედებითი ცხოვრება მრავალფეროვანი და ნაყოფიერი რომ იყოს, ერთ ადგილზე არ გაჩერდეს და ცხოველისმყოფელ სტიმულად იქცეს – ამისათვის თავდაუზოგავი შრომაა საჭირო, იშრომე, რომ სულიერი ძალა შეინარჩუნო, იშრომე, რომ მიუწვდომელს მისწვდე“.

გმაღლობთ, ბატონო ლევან, თქვენ არამარტო ჩემს მცირე შემოქმედებით ბიოგრაფიას შესძინეთ ნათელი ეპიზოდები, არამედ აჭარის და სრულიად საქართველოს კულტურულ სინამდვილეში ისეთი ღრმა და წარუშლელი კვალი დატოვეთ, რომ აღარასოდეს წაიშლება.



## ალექო ჩხარტიშვილი,

თვითმმართველი ქალაქის –  
ბათუმის საკრებულოს წევრი

### ლევან ღლონტი

ქართულმა კულტურამ უდიდესი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, ბათუმის საპატიო მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე ლევან ღლონტი.

მისი ამქვეყნიური ცხოვრებიდან მარადისობაში გარდასახვა არ გახლავთ მხოლოდ ერთი ადამიანის, ერთი პიროვნების გარდაცვალება. ჩვენგან წავიდა არამარტო უდიდესი ხელოვანი და მრავალმხრივი მოღვაწე, ქალაქის ჭეშმარიტი დენდი, არამედ – რაღაც თითქოს ჯერ კიდევ მრავალთათვის ბოლომდე ამოუცნობი, უდიდესი დაღებითი მუხტის გადმომცემი, მუდამ გვერდში მდგომი და ყველასათვის უსაყვარლესი ადამიანი. აი, ასეთი გახლდათ ჩვენი «პეჩორინი», როგორც მას ვიწრო წრეში მივმართავდით ხოლმე

ძნელია წარმოიდგინო ბათუმი ბატონი ლევანის გარეშე... ძნელია, წარმოიდგინო ჩვენი ქუჩები ამ ერთობ მოხდენილი და მაღალზნობრივი კაცის გარეშე...

ქალაქი ვალშია თქვენს წინაშე, ბატონო ლევან, იმ მოფერებისათვის, რომელსაც ასე უშურველად გასცემდით; თქვენთან ვალშია ასეულობით ადამიანი იმ სიკეთისათვის, რომელსაც მრავალთა მიმართ იჩენდით და რომელიც თქვენი ყოველდღიური ცხოვრების თანმდევი გახლდათ. შეგეძლოთ სიკეთის თესვა და მთელი სულითა და გულით ემახურებოდით მას; ამიტომაც დაიმსახურეთ მართალი და უღალატო ადამიანისა და სიკეთის მსახურის სახელი.

სიმბოლურია ისიც, რომ თქვენ ქართული საზოგადოებრიობა იმ სცენიდან გაცილებთ, რომელსაც მთელი თავდადებითა და ერთგულებით ემსახურეთ მრვალთათვის სიხარულისა და ბედნიერი წუთების მინიჭების სურვილით

ჩვენ, ყველა იმათ, რომლებსაც უფალმა წილად გვარგუნა ასეთ დიდ ადამიანთან ურთიერთობის ბედნიერება, უდიდეს სიამაყეს განვიცდით, როცა ვიხსენებთ თქვენთან გატარებულ ყოველ წუთს და ასე იქნება მუდამ, რამეთუ თქვენ ყოველთვის გამორჩეული ბრძანდებოდით მრავალ გამორჩეულთა შორის.

მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის ქართული მიწა, რომლის მსახურებასაც შეალიეთ მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება!



## მანანა სულაპრიძე,

პედაგოგი

**ლევან ღლონტი** – რაფინირებული ინტელიგენტი, ელეგანტური, უღალატო, ზნე-მაღალი და ზნე-კეთილი, გულმართალი და გულალალი; წესიერების, თავაზიანობის, მოკრძალებულობის, სიღარბაისლის სიმბოლო, აგრერივად რომ უხდებოდა მისთვის საფიცარ ბათუმს!

ლევან ღლონტის მიერ განვლილი წლები ჩვენი ქალაქის, ჩვენი კუთხის, სრულიად საქართველოს სიამაყეა. ის იმ რჩეულთა რიცხვში ბრძანდებოდა, ვისაც ძალუმს ადამიანებს მიანიჭოს სიხარული და ბედნიერება. მისი ცხოვრების კრედოც ეს იყო და ზშირად ამბობდა: „სიცოცხლე ისედაც ხანმოკლეა. საუკუნე რომ იცხოვრო, უკან მოიხედავ და გიკვირს, რა უცებ გასულა დრო, ამიტომ უნდა ვეცადოთ, ყველა ადამიანზე ვიზრუნოთ“.

ზრუნავდა კიდეც! – ვინ მოთვლის, რამდენი სასიქადულო ადამიანის საიუბილეო კონცერტი, შეხვედრა თუ ლიტერატურული საღამო გამართულა აჭარაში ლევან ღლონტის რეჟისორობით. რამდენ ხელოვანს, პოეტს, მწერალს, მხატვარს, მსახიობს, მუსიკოსს, მოცეკვავეს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს მოფერებია მის მიერ ჩატარებული ღონისძიებებით... და რა დასანანია, რომ თავად მას ერთხელაც არ მოწვევია იუბილარის როლში სცენაზე ყოფნა...

ბ-ნ ლევანს ღომის წილი უდევს იმაში, რომ მისი მოღვაწეობის პერიოდში ბათუმელებში გაღვივდა შემოქმედებითი სული, დაიხვეწა თეატრალური და საკონცერტო გემოვნება, გაძლიერდა ქართული ხელოვნების პატივისცემა და, საბოლოოდ, ჩვენი ქალაქი იქცა ზეიმების ქალაქად.

მეამაყება, რომ ლევან ღლონტი ჩემი დიდი მასწავლებელი იყო. მქონდა ბედნიერება, წლების მანძილზე ვყოფილიყავი

მისი რეჟისორობით გამართული ღონისძიებების სცენარების ავტორი და წამყვანი. თავისი საიუბილეო საღამოს სცენარის დაწერა და წამყვანობაც მე მთხოვა. როცა სცენარი წავუკითხე, მოკრძალებით მითხრა: -- მანანა, ამდენს ნუ მაქვებ, უხერხულად ვგრძნობ თავს, ასე საქებარი არა ვარო! არადა, სწორედ ლევან ღლონტისნაირი ადამიანები არიან საქებარნი, მისაბაძნი, ხელისგულზე სატარებნი! სამწუხაროა, რომ ბ-ნი ლევანი ვერ მოესწრო საკუთარ საიუბილეო კონცერტსა და მისი ვარსკვლავის გახსნას! მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან და დაგვიტოვა უსაშველო ტკივილი, უზომო მონატრება!

ადამიანის სიმაღლე იზომება არა მანძილით მიწიდან თავის თხემამდე, არამედ მანძილით მიწიდან ზეცამდე. ბატონი ლევანი მის მიერ განვლილმა ცხოვრებისეულმა და შემოქმედებითმა გზამ ზეცის თვალშეუდგამ სიმაღლემდე აიყვანა! ეს გზა მოფენილია ლევან ღლონტის ნიჭიერების ზეობით, მაყურებლის ოვაციებით, ხალხის სიყვარულითა და მისი ხსოვნის არდავიწყებით!



## **თენგიზ ცაცხლაშვილი**

საზოგადოებრივი მოძრაობა „2011 წლის 26 მაისი“ –  
„მამული, ენა, სარწმუნოება“ – თავმჯდომარე

### **ეროვნული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული**

ბავშვობიდან ვიცნობდი და ვმეგობრობდი, ამიტომ კარგად ვიცი, როგორი ეროვნული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, ყველაფერი როგორ მიჰქონდა გულთან. გულშემატკივრობდა ყველა ეროვნულ საქმეს. იყო წინა რეჟიმის წინააღმდეგი და სულიერად განიცდიდა იმას, რაც 9 წელი საქართველოში ხდებოდა. მიხარია, რომ იმ რეჟიმის წასვლას მოესწრო. გული დამწყვიტა მისმა გარდაცვალებამ.

(ამონარიდი გაზეთ „აჭარა“-დან 18. 2014 წ.)



## მუხრან კობალაძე

გაზეთ „ბათუმი და ბათუმელები“-ს  
მთავარი რედაქტორი

### მშობლიური ქალაქის სიყვარულით

ცხოვრობს ბათუმში. ცხოვრობს და იცხოვრა საინტერესო ცხოვრებით, გადააბიჯა 7 ათეულ წელიწადს, თუმცა მისი შემართება, მხნეობა და, თუ გნებავთ, გარეგნული იერსახე ბარეორ ბევრად ახალგაზრდას შეშურდება.

საინტერესო ცხოვრებით იცხოვრა-მეთქი. რამდენიმე დღე ვსაუბრობდით სანამ ამ პუბლიკაციას ჩაუჯდებოდი. ბევრი რამ გაიხსენა, ბევრი მეც მახსოვს ჩვენი ნაცნობობის, აგერ 40 წლის მანძილზე. ყველაფერს ერთად, რომ მოუყვარო თავი, ერთი საგაზეთო გვერდი არ გვეყოფა, მეტიც უფლებას კი, სამწუხაროდ, ჩვენი გაზეთის ფორმატი არ მძღვეს. ამიტომაც ვცდილობ ვიყო კონკრეტული და ამავე დროს ვთქვა, რაც შეიძლება მეტი და საინტერესო (ვნახოთ, თუ შეეძელი).

როცა ძველ ბათუმელებზე ვწერ, უპირველესად ვცდილობ მის ფესვებს ჩავწვდე – საიდან მოდის, ვისი გორისაა და ა.შ.

ლევან ღლონტის წინაპრები (დედის მხრიდან) ბაბუა – გიორგი და ბებია – ეკატერინე ბერიძეები ბათუმში ცხრაასიანი წლებში დასახლებულან.

„ბავშვობიდანვე ულამაზესი გოგონა ყოფილა ბებიაჩემი ეკატერინე, – იგონებს ლევან ღლონტი, – იმდენად ლამაზი, რომ როცა ქუთაისში აკაკი წერეთელს იუბილე გადაუხადეს, კალთაში ბებია ჩაუსვეს, ამ ამბავს ლევანდასავით იგონებდნენ ჩემს ოჯახში. ბაბუა გიორგის კი სანკტ-პეტერბურგში, ნევის პროსპექტზე საკუთარი რესტორანი ჰქონია, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა, თურმე გავარდნილი...“



ბატონი ლევანის მშობლებზეც უამრავი რამ მაქვს სათქმელი და დიდი ხანია მინდა მათს შესახებ მოვუთხრო მკითხველს, მაგრამ ეს შემდეგისთვის იყოს, რამეთუ მიტროფანე და მარგალიტა ღლონტების ცხოვრება მეტად საინტერესო თემაა და ასე, ერთი კალმის მოსმით არ აღიწერება.

მოდით, ისევ ჩვენი დღევანდელი წერილის გმირს, ლევან ღლონტს დავუბრუნდეთ და შევეცადოთ ვთქვათ ის, რაც აქამდე არ თქმულა (თუმცა, ძნელია, ძალიან ძნელია ეს, რადგან ბევრჯერ დაწერილა მის შესახებ, დაუწერიათ ცნობილ ჯურნალისტებს, მწერლებს...)

1937 წლის მარტში დაიბადა ლევან ღლონტი. სახელად ზურაბი დაანათლეს, თუმცა, მხოლოდ ოფიციალურ საბუთებშია ეს სახელი დაფიქსირებული, ოჯახშიც ლევანს ეძახდნენ და მთელი ბათუმიც ამ სახელით იცნობს.

ერთი ჩვეულებრივი ბათუმელი ბიჭი იყო. იპარებოდა ზღვაზე, თამაშობდა ბურთს, ცელქობდა სკოლაში, მაგრამ ყველაფერი ეს არასოდეს გადასულა იმ ფაზაში, რასაც, ჩვეულებისამებრ, ძნელად აღსაზრდელობას ვეძახით.

ერთი სიტყვით ბურთზე შეყვარებული ბიჭი, თეატრის შეყვარებული გახდა.

აქ არ შემიძლია ერთი ეპიზოდი არ მოვიყვანო ლევანის ცხოვრებიდან, რომელიც ადრეც მაქვს აღწერილი, მაგრამ იმდენად საინტერესო და ერთგვარად კურიოზულია იგი, რომ ვერც ამჯერად ავუარე გვერდი.

ინსტიტუტი რომ დაამთავრა, ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაანაწილეს. ჩამოვიდა და დაიწყო მუშაობა. ერთ დღეს თეატრთან იდგა, გზად წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა, თბილისის დინამოს ყოფილმა მოთამაშემ, ბათუმელმა **ბორის ფროლოვმა** ჩამოიარა. იგი

ლევანს ადრეული ასაკიდანვე იცნობდა და მის წარმატებებს ფეხბურთში ინტენსიურად ადევნებდა თვალს.

– გამარჯობა ლევან, როგორა ხარ, სად თამაშობ? რამდენი ხანია არაფერი მსმენია შენს შესახებ.


– აქ ვთამაშობ, ბატონო ბორის, უპასუხა ლევანმა.

– სად? ბათუმის „დინამოში“ არ მინახიხარ.

– აქ, ბატონო ბორის აქ და ლევანმა თეატრის შენობაზე მიუთითა.

– ვოტ, დურაკ! – გააგრძელა ცნობილმა ფეხბურთელმა და ცივად დასცილდა ლევანს. დღესაც ღიმილით იგონებს იგი ამ ამბავს.

1960 წლიდან ირიცხება ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. ასზე მეტი როლი განასახიერა.



მარცხნიდან: ლევან ლლონტი, მუხრან კობალაძე, სერგო ჩხარტიშვილი

მაყურებელმა პირველი დღეებიდანვე შეიყვარა სასიამოვნო გარეგნობის, ლამაზი ხავერდოვანი ხმის მფლობელი ახალგაზრდა მსახიობი და მისი ყოველი გამოჩენა სცენაზე უცილობლად ტაშსა და ოვაციებს იწვევდა.

ლევან ღლონტის ენერგიას და შემართებას ბევრი მსახიობი ინატრებდა. მთელი დღის ნარეპეტიცივეი ახალგაზრდობასთან სამუშაოდ გარბოდა. ეს მისი ინიციატივით გაიმართა ბათუმში პირველი „ცისფერი შუქის“ საღამო, ჩამოყალიბდა მხიარულთა და საზრიანთა კლუბი. მან მოამზადა ბათუმის №2 და №16 სკოლებში გუნდები, რომლებმაც მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში (შემეცნებითი პროგრამა „ცხრაკლიტული“) პირველი და მეორე ადგილი დაიკავეს.

იყო სტუდენტური თეატრის რეჟისორი. ამ დასის ერთ-ერთი წევრი მეც გახლდით და კარგად მანსოვს, როგორი დაუცხრომელი ენერგიით მუშაობდა იგი ჩვენთან. სპექტაკლებიც მშვენიერი გამოდიოდა. 1960 წლიდან დღემდე რვაასამდე კულტურულ-მასობრივი ღონისძიება მოამზადა, როგორც ბათუმში, ისე აჭარის მაღალმთიანეთში („ბათუმი ძმობისა და მეგობრობის ქალაქი“, „დედის დღე“ ხულოს რაიონში, რომელიც საერთოდ, პირველი იყო საქართველოში, „სიმღერის დღესასწაული“ – შუახევში, „ტბელობა“ – ისევე ხულოს რაიონში, „ახალგაზრდობის დღე“ – ქობულეთში, „ყვავილების დღესასწაული“ და ფოლკლორის პირველი საერთაშორისო დღესასწაული ბათუმში...) ყველას ნამდვილად ვერ ჩამოვთვლი, ვიტყვი მხოლოდ ერთს, რასაც აკეთებდა თავისი საყვარელი ბათუმისათვის, თავისი კუთხისათვის აკეთებდა.

თეატრის დირექტორობა რომ შესთავაზეს, იცოდა, რომ მსახიობის ამპლუას ასე თუ ისე დამორღებოდა, მაგრამ მაინც

დათანხმდა, რადგან ესეც ბათუმს, მის სათაყვანებელ თეატრს სჭირდებოდა. დათანხმდა და 24 წლის მანძილზე ედგა სათავეში ჩვენი თეატრალური ხელოვნების ტაძარს, როგორც დირექტორი და სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე, (მისი დირექტორობის პერიოდში აღინიშნა თეატრის ასი წლისთავის იუბილე. გაკეთდა კაპიტალური რემონტი) შემდეგ ახლადგახსნილ საოპერო და დრამატულ თეატრსაც ერთდროულად ხელმძღვანელობდა.

1978 წელს საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა, იყო ბათუმის საქალაქო საბჭოს ოთხეზის მოწვევის დეპუტატი, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

აი, მოკლედ მოგაწოდეთ ლევან ღლონტის ბიოგრაფიული მონაცემები, მონაცემები, ერთი შეხედვით მშრალი, თითქოს საკანცელარიო, მაგრამ ვინც ბატონ ლევანს კარგად იცნობს, იგი ამ საკანცელარიო მონაცემების უკან დაინახავს ნამდვილ შემოქმედს, კაცს, რომლისთვისაც თეატრი, სცენა, მსახიობის კარიერა ცხოვრების ერთადერთ მიზნად იქცა, და კიდევ თავისი საფიცარი ბათუმის დიდი სიყვარულს დავინახავთ მისი ყოველი ნაბიჯის უკან, ვინაიდან იგი ბათუმის ერთ ლამაზ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, ბათუმშივე აიარა თავისი ცხოვრების 7 ათეული აღმართი და დღესაც მხნე და შემართებული ისევ თავის ქალაქს, თავის მეგობრებს ეფერება.

ლამაზი ოჯახი აქვს და ლამაზად შვილთა გამზრდელია. ორი ქალიშვილი, 4 შვილიშვილი, მშვენიერი მეუღლე – ესენი არიან მისი ყველაზე დიდი სიხარული.

ყოველდღიურად ჩამოივლის მემედ აბაშიძის გამზირზე, მეგობრებს მიესალმება, მერე თავის სათაყვანებელ თეატრსაც

მონახულებს, როცა დრო აქვს, არც მეგობრებთან ერთად სადმე „ჩამოვდომაზე“ იტყვის უარს და თავისი ენაწყლიანი თამალობით მოგზიბლავს... თამალობაზე გამახსენდა და რომ არ ვთქვა, არ იქნება. ჩვენი აწგარდაცლილი მეგობრის, დიდებული ბათუმელის მიმა არველაძის შვილის ქორწილში იყო მაყრად ქუთაისში. იქაური თამადა ჩააცივდა, მასთან გადადიოდა ალავერდს, დალიე, დალიეო! – დასძახოდა. ლევანმა კი დალია, მაგრამ იმ თამადას მოტყდა კისერი და ძლივს გაიყვანეს სუფრიდან. რომ აიშალნენ და ბათუმისაკენ გამოსამგზავრებლად მანქანებში სხდებოდნენ, ქუთაისლებმა ერთი უზარმაზარი ყანწი გამოიტანეს – ვინც ამას დაღვეს, მისი იქნებაო. ორ ლიტრაზე მეტი ჩადიოდა იმ ყანწში. ყველამ უკან დაიხია, არადა გზა გადაღობეს მასპინძლებმა, არ ეშვებოდნენ – დალიეთ და ყანწიც წაიღეთო. ისევ ლევანმა ივაჟკაცა, შეავსებინა ის უზარმაზარი სასმისი და ბოლომდე დასცალა. მერე ყანწი იღლიაში ამოიღო და მანქანისკენ გაემართა. გაგიჟდნენ ქუთაისლები. დაუწყეს ხვეწნა – არ დაგვლუპო, სხვისი ყანწია, ძლივს გვათხოვა, ვაჟკაცი ყოფილხარ და გაგვიწიე ანგარიში, თუ კაცი ხარო.

რალას იზამდა, ყანწი დაუბრუნა და დააყოლა – არ დაგავიწყდეთ, ჩვენ ბათუმლები ვართო...

...დადის ბათუმში, ბათუმში გაზრდილი და ბათუმს შესისხლხორცებული კაცი. დადის და ეფერება ყოველ ხეს, ბუჩქს, შენობას, ყოველ გამვლელს, რომელთა შორის თითქმის ყველა მისი ნაცნობ-მეგობარია. ხვალინდელ უკეთეს დღეზე, საქართველოს ნათელ მომავალზე ფიქრობს და ოცნებობს.

დღეს სამწუხაროდ, არც ლევანია ჩვენს შორის და აღარც მუხრანი. აღარ არიან ის კოლორიტებიც, რომლებიც უხდებოდნენ და ალამაზებდნენ ბათუმს და საქართველოს.



ღმერთმა სამარადისო სასუფეველი დაუძკვიდროს მათ  
ზეციურ საქართველოში.

### **ბათუმელ კოლორიტებს...**

ჩვენს ქათქათა, ლამაზს ბათუმს  
ახლავს კვალი წინაპრის,  
დღემდე ცოცხლობს სახელები –  
იუსუფის – მურადის!

პარმენის და ჩვენი აღის,  
ზურაბის და ფრიდონის,  
შალვას, ლალოს, ხასანის და, –  
მამიასი, ვახტანგის!


გივი, არჩილ, ჰაიდარის,  
თემურ, ვასო, მუხრანის,  
შოშიას და ამირანის, –  
გიორგის და ნუგზარის!

მათ სახელებს უკვადაგყოფილთ  
მითხარ, აბა, ვინ მოთვლის, –  
მარადიულ გზაზე შემდგართ, –  
შეემატათ იურიც და ლევანიც!

იღვწოდნენ და გვახარებდნენ  
თავიანთი ლაზათით,  
მათი სულით დღესაც ცოცხლობს, –  
ჩვენი ბათუმ – ქალაქი!

**თენგიზ ცეცხლაშვილი**

01. 09. 2014 წელი



**თენგიზ ცეცხლაშვილი** – პროფესიით პედაგოგი, თადარიგის უფროსი ოფიცერი, სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა 2002 წელს. მან ზედიზედ გამოსცა ისტორიულ-ჰეროიკული პოემები: „გვირგვინოსანი“, „ჩემი ღელეღურდანი“ და „უძეფობის ჟამს“. პირველი მათგანი ფაქტიურად გალექსილი „ქართლის ცხოვრებაა“, რომელშიც ასახულია საქართველოს ისტორია. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის – **მალხაზ სიორიძის** მოსაზრებას: „გალექსილი

ქართლის ცხოვრება“ უცხო არ არის ქართული მწერლობისათვის. არჩილ-II, თეიმურაზ-I, იოსებ თბილელის, დავით გურამიშვილის, გრიგოლ ორბელიანის და სხვათა ისტორიულ პოემებში აისახა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის სხვადასხვა მომენტები, რასაც დიდი შექმენებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა მათი თანამედროვე ქართველებისთვის.

ჩვენი თანამედროვე ავტორის თენგიზ ცეცხლაშვილის ისტორიულ-ჰეროიკული პოემაც „გვირგვინოსანი“, გამოჩენილ ქართველ მეფეთა მოღვაწეობის ძირითად მომენტებს ასახავს. მასში გადმოცემულია საქართველოს ისტორიის ძირითადი მომენტები უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის 10 –იან წლებამდე...

თენგიზ ცეცხლაშვილის „გვირგვინოსანი“ ლალი ენით დაწერილი პოემა და მთლიანობაში საინტერესოდ იკითხება. მიგვაჩნია, რომ იგი, როგორც დამატებითი ლიტერატურა, დაეხმარება მოსწავლეებს საქართველოს ისტორიის მხატვრულად გააზრებასა და შესწავლაში“.

ანალოგიურად შეფასდა პოემა „ჩემი ღელეღურდანი“, რომელშიც საქართველოს განუყოფელი კუთხის, აჭარის ბედკრული ისტორიაა წარმოჩენილი.

ზემოხსენებულ პოემებს თავის დროზე სათანადოდ ამუქებდნენ ქვეყნის მასმედიის საშუალებები. უნდა ითქვას, რომ ეს ნაწარმოე-



ბები ავტორმა ქველმოქმედების წესით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებისა და სოფლების სკოლებში ჩამოარიგა, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. ამ საქმეში მას მხარში ედგა და ასპონსორებდა მისი მეგობარი, ფირმა „ბასკოს“ პრეზიდენტი – ივორ კრეიდენკო, რომელიც უნგაროდ ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას.

ის საკალათბურთო გუნდის, საქართველოს ჩემპიონის „ბასკო“-სა და საბავშვო ფესტივალის „ცისკრის ვარსკლავი“–ს ჰიმნებისა და ლირიკული ლექსების ავტორიცაა, ახლახან მისი რუსულ ენაზე დაწერილი ლექსებით დაინტერესდა ქ. მოსკოვის ქალთა ვოკალური ჯგუფი „ვესნა“.

თენგიზ ცეცხლაშვილის კალამს ეკუთვნის: „მამულო ჩემო საუნჯევ“, „ჩემი სიმდიდრე“, „ხმა“, ორწიგნად გამოცემული „ჩვენი დროის დეკამერონი“, „მამულისათვის თავდადებული“, „ქართული ცირკი“, „გულის ნადები“, „სიყვარულის ძალა“, „სასიკვდილოდ გამეტებულნი“, „26 მაისის სისხლიანი კალო“, „სისხლიანი მაისის ექო“, „ვარდების რევოლუციის ანატომია“, „ჩემი საქართველო“, „კალმის უკვდავი რაინდი“, „ბათუმის კოლორიტი“, „ერისკაცი“, გაცრუებული იმედები“, „აჭარა რეჟიმის წინააღმდეგ“, „გულანთებული აჭარა“, ორ წიგნად გამოცემული „ეს არ უნდა განმეორდეს!“, რომლის მიხედვით გადაღებულია მოკლე მეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი. ასევე აქვს გამოცემული: „მამაცობისა და ერთგულების სიმბოლო“, „Любовные перипетии...“, „Это не должно повториться!“, „ერის სადარაჯოზე“ გამოცემული ორ წიგნად და „სიყვარულის მასწავლებელი“.

რაც შეეხება დოკუმენტურ ფილმს „სისხლიანი კალო“, შემოგთავაზებთ ამონარიდს გაზეთ „აჭარა“-დან 55, 24–28/5. 2014.

**„სისხლიანი კალო“** ეწოდება დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მწერალ **ვახტანგ ახვლედიანისა და სამშობლოსადმი თავდადებულ ღირსეულ მამულიშვილთა ნათელ სსოვნას ეძღვნება**, რომლის პრეზენტაციაც აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა.

ფილმი გადაღებულია საზოგადოებრივი მოძრაობის **„2011 წლის 26 მაისი“** – „მამული, ენა, სარწმუნოება“ თავჯგდომარის თენგიზ

ცეცხლაშვილის მიერ მოწოდებული წიგნების – „სასიკვდილოდ გამეტებულნი“, „26 მაისის სისხლიანი კალო“ და „ეს არ უნდა განმეორდეს!“ მიხედვით.

ფილმში სვლებით ისეთ გამოჩენილ ადამიანებს როგორცაა: **ჭაბუკა ამირეჯიბი, ნონა გაფრინდაშვილი, გოგი ქავთარაძე**... ბევრ სხვა ცნობილ პიროვნებებს, ამავე დროს მათ შორის „სახალხო კრების“ აქტივისტებსაც.

ფილმის რეჟისორია **ნინო დავითაშვილი**, ხოლო იდეის ავტორი – თენგიზ ცეცხლაშვილი.

ფილმში გამოყენებულია არქივებიდან ამოღებული დოკუმენტური კადრები და თვითმხილველთა ინტერვიუები, სადაც ნათლად ჩანს, თუ რა სისატიკეს ჰქონდა ადგილი.

ამ ფილმით პირველად ვიხილეთ ის ადამიანები, ვინც აქციებში მონაწილეობდნენ აჭარიდან“.

არ შეიძლება ამასთანავე გვერდი ავუაროთ ზემოხსენებული წიგნების რედაქტორთა აზრებს, რომლებმაც არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მკაფიო შეხედულებები დააფიქსირეს, რაც თანხვედრაშია აქციის თვითმხილველთა გამონათქვამებთან:

„წიგნი, რომელიც წარმოგვიდგინა ბატონმა თენგიზ ცეცხლაშვილმა, უაღრესად აქტუალურია. 2011 წლის 26 მაისი იყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში უძძიმესი ტრაგედია, რომელმაც გააფერმკთალა და უკან გადასწია 1989 წლის 9 აპრილის „ბართლომეს დამის“ სურათები.

9 აპრილის დარბევა განხორციელდა უცხო ქვეყნის ჯარების მიერ გორბაჩოვის ბრძანებით, ხოლო 26 მაისის დარბევა განხორციელდა ქართული პოლიციელისა და სპეცსამსახურების ხელით. მ. სააკაშვილმა გორბაჩოვს და როდიონოვს ჩამორეცხა 9 აპრილის სისხლი და სირცხვილი.

ბატონი თენგიზი მკითხველის წინაშე ამიშვლებს დარბევის ტრაგიკულ სურათებს თვითმხილველის თვალთ. სხვებთან ერთად მან შეძლო წარმოედგინა ხელისუფლების მიერ დარბეული და ნაწ-

ამებ ადამიანთა შორის ჩვენი მხარის შეილები, მათი გაუტეხელი სულისა და თავდადების, სოციალური თანასწორობისა და დემოკრატიული ცხოვრების წესის აღდგენისათვის ბრძოლა.

მე ღრმად მწამს და მჯერა, რომ სულ მალე ეს ადამიანები ღირსეულად დაფასდებიან.

თენგიზ ცეცხლაშვილის ეს პატარა წიგნი ამ დიდი საქმის ერთ-გვარი პროლოგიაა!

**შოთა ზოიძე,**

მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

### **„ეს არ უნდა განმეორდეს!“ წიგნი, რომელმაც რეჟიმი ამხილა**

თენგიზ ცეცხლაშვილის ნაშრომი „ეს არ უნდა განმეორდეს!“ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ჟურნალისტურ გამოკვლევას, რომელმაც დეტალებში წარმოაჩინა ის დიდი დანაშაული, რომელიც ნაციონალურმა ხელისუფლებამ ჩაიდინა საკუთარი ხალხის წინაშე. გაივლის დრო და ეს ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც ავტორმა მთელი სისრულით გამოიკვლია, იქნება მნიშვნელოვანი გაფრთხილება ყველას მიმართ, რომელიც ეცდება ხალხის სამართლიან შეუპოვრობას იარაღითა და ბოროტებით დაუპირისპირდეს. ასევე, ამ ნაშრომმა უნდა შეასრულოს მამხილებელი როლი ნაციონალური ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებისა. ნებისმიერი ჯანსაღ გონებაზე მყოფი სამართალმცოდნე, მარტო იმ ამაზრზენი ფაქტებით, რომელიც წიგნშია მოცემული, არა მარტო ტომებს შეკრავს ხელისუფლების ანტიხალხური ქმედების წინააღმდეგ, არამედ სასტიკ განაჩენსაც გამოუტანს მას. დიას, ამ წიგნმა უნდა შეასრულოს მამხილებელი ფუნქციის როლი, თუ როგორი სიძულვილით მართავდა ნაციონალური ხელისუფლება ქვეყანას, როგორ ძულდა საკუთარი ხალხი,

როგორ იმეტებდა თავისივე ხალხს სასიკვდილოდ და შემდეგ ამაზრზენი ფალსიფიკაციით გონებას უბნელებდა საზოგადოებას, თუმცა ყველა ხვდებოდა თუ ვისთან ჰქონდა საქმე. ისიც უნდა ითქვას, რომ 2011 წლის 26 მაისი 2007 წლის 7 ნოემბრის სისხლიანი გაგრძელებაა იმ განსხვავებით, რომ მაშინ ნაციონალებმა ვერ „მოახერხეს“ სისხლის ღვრა, თუმცა იმდენი მომწავლელი ნივთიერებები გამოიყენეს, რომელიც შეშურდებოდა ქართველთმოძულე უცხოელ დამპყრობლებსაც კი.

ყველა ის პიროვნება, რომელიც იმ დღეს დაუპირისპირდა მოძალადე ხელისუფლებას და რომლებმაც შემდეგ ტანჯვა-წამების საშინელი გზა გაიარა, ვაჟკაცი და პატრიოტია, სწორედ მათ ამხილეს ნაციონალების სისხლიანი სახე და მსოფლიოს დაანახეს, თუ ვინ იყვნენ ისინი. 2012 წლის 1 ოქტომბერს, როდესაც ხალხმა ნაციონალების ცხრაწლიან მმართველობას უარი უთხრა, ძირითადად განაპირობა 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე პატრიოტი ქართველების დაღვრილმა სისხლმა. სწორედ 26 მაისმა დააჩქარა ნაციონალების მმართველობის დასასრული.

თენგიზ ცეცხლაშვილმა საინტერესოდ აღწერა ის მოვლენები, რომელიც განვითარდა 26 მაისის წინა პერიოდში. განსაკუთრებით კარგადაა შესწავლილი „სახალხო კრების“ მოღვაწეობა. ავტორი, აქტიური მონაწილე იყო ყველა იმ მოქმედებისა, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდებოდა „სახალხო კრების“ ჩამოყალიბებიდან 2011 წლის 26 მაისამდე და 26 მაისსაც, სადაც ქართველთა სისხლი დაიღვარა, ამიტომაცაა მისი მონათხრობი ზუსტი და ობიექტურობით გაჯერებული. ავტორმა სათანადო პატივი მიაგო ყველას, რომლებმაც საკუთარი სისხლის ფასად საზოგადოებას გაბედული არჩევნების გაკეთების საშუალება მისცა, განსაკუთრებით დასაფასებელი და გმირია ის ადამიანი, რომელიც ვაჟკაცურად დაეცა ბრძოლის ველზე. მათ საკუთარი სიცოცხლე გაწირეს და ამით ამხილეს ის ბოროტება, ვისთანაც საქმე ჰქონდა ქართველ ხალხს, ამიტომ ისინი სამარადჟამოდ დასაფასებელნი არიან და საზოგადოებაც ვალდებუ-

ლია, ყველაფერი გააკეთოს მათი გმირული საქმიანობის უკვდავსაყოფად. ვაჟკაცია ყველა, ვინც არ შეუშიდა ტერორს, ნაციონალურ გულაგებში გაიარა ტანჯვა-წამება და საზოგადოებაში პატივისცემა და მოკრძალება დაიმსახურა. სწორედ, ამ ყველაფერს ამას გაიგებს მკითხველი თენგიზ ცეცხლაშვილის ნაშრომში.

მე ღავამატებდი ერთს, ეს ნაშრომი ნამდვილად დაიკავებს ღირსეულ ადგილს ქართულ პატრიოტულ ჰეროიკაში, რადგანაც მან შეასრულა უდიდესი როლი, გაამიშვლა რეჟიმი და საზოგადოებას დაანახა მისი სისხლიანი სახე, თანაც დასვა მეტად დამაფიქრებელი კითხვა, ისეთი რეჟიმი, რომელიც თავის ხალხს არ ინდობს, არ ინდობს იმ ადამიანებს, რომლებმაც თავის დროზე მოიყვანეს იგი ხელისუფლებაში და შემდეგ, როდესაც დაინახა მისი ნამდვილი „სახე,“ დაუპირისპირდა მას და ამის გამო სასტიკადაც დაისაჯა მხილებისა და გაკიცხვის ღირსია ყოველივე ის, რაც 26 მაისს განახორციელა სააკაშვილის ხელისუფლებამ ქართველი ერის წინააღმდეგ, ხელისუფლებამ, რომელიც მთელ მსოფლიოში „დემოკრატიის“ სახელით იყო ცნობილი, განახორციელა ენით აუწერელი, საღისეობრივი და კაცთმოძულეობითი ქმედება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ამიტომ ეს ნაშრომი უნდა ითარგმნოს მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ერის ენაზე, რათა დაინახონ ყველგან, თუ რა ჯალათები განაგებდნენ მთელ ქვეყანას ამ ხნის განმავლობაში.

### **ოთარ გოგოლიშვილი,**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, დამსახურებული მოღვაწე

წინამდებარე წიგნში ავტორი გადმოგვცემს თავის უკომპრომიზო ბრძოლას რეჟიმების წინააღმდეგ, რომლის უშუალო მონაწილეც თავად გახლდათ. ნაშრომი მოგვითხრობს საზოგადოებრივი მოძრაობა „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ ერთ-ერთი აქტივისტის – ბატონ თენგიზ ცეცხლაშვილის თავგადასავალს. იგი მეტად

საინტერესო ისტორიული ნაშრომია. ნაწარმოების მთავარი გმირი თანმიმდევრულად აღწერს საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებას, ფორმირებას, მიზნებს და ბრძოლის დეტალებს. ამასთან ერთად ნაწარმოებში აღწერილია თანამებრძოლების, – აჭარის „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ აქტივისტთა თავგადასავლები, რომლებიც მონაწილეობდნენ 21 და 26 მაისის მოვლენებში.

ისინი თავგანწირვით, გმირულად იბრძოდნენ საქართველოს უკეთესი მომავლისათვის. ერთ-ერთი მათგანი კი ამ წიგნის ავტორი ბატონი თენგიზ ცეცხლაშვილი გახლდათ. ასეთი „უსახელო უფლისციხელები“ ქმნიდნენ და ქმნიან ჩვენი ქვეყნის საფუძვლებს. ადრეც, ახლაც და მომავალშიც მათზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის განვითარება და უკეთესი მომავალი.

თენგიზ ცეცხლაშვილმა 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილის შემდეგ, შინაგანი პროტესტის ნიშნად დატოვა სამხედრო სამსახური, ხოლო 2011 წლის 26 მაისის სისხლიან კალოზე, იგი მიიყვანა მამულის სიყვარულმა, სადაც საქართველოს ბედი წყდებოდა.

2011 წლის 21-26 მაისის მოვლენებს უკვალოდ არ ჩაუვლია, რაც 2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველი ხალხის გამარჯვების ერთ-ერთი წინაპირობა იყო.

### **ასლან ლორთქიფანიძე,**

პოლიტოლოგი, აჭარის დამოუკიდებელ  
ქსპერტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.“

სრულიად ვიზიარებ პროფესორ ოთარ გოგოლიშვილის მოსაზრებას – წიგნი „ეს არ უნდა განმეორდეს!“ ითარგმნოს მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ერის ენაზე, რათა დაინახონ ყველგან, თუ რა ჯალათები განაგებდნენ მთელ ქვეყანას ამ ხნის განმავლობაში საქართველოში“ და მიმანჩია, ანალოგიურად ასევე უნდა ითარგმნოს ლოკუმენტური ფილმიც „სისხლიანი კალო“.

### **ჯემალ სოფორია,**

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი

## სარჩევი

ბიოგრაფია . . . . .	3
გულის საიდუმლო . . . . .	16
ვასილ კიკნაძე . . . . .	27
ნოდარ მოღებაძე . . . . .	33
ავტორისაგან . . . . .	49
ნუგზარ ჯაფარიძე . . . . .	83
მამია ვარშანიძე . . . . .	84
ნინო საკანდელიძე . . . . .	87
იური ცანავა . . . . .	88
მანუჩარ შერვაშიძე . . . . .	94
რეზო ჭანიშვილი, ზაურ ლაზიშვილი . . . . .	95
ცისანა ანთაძე . . . . .	102
ნოდარ იაკობაძე . . . . .	104
ავთო ქარჩავა . . . . .	106
ანზორ კუდბა . . . . .	107
ზურაბ საბაძე . . . . .	110
დავით თედორაძე . . . . .	112
რამაზ სურმანიძე . . . . .	114
ბელა ქებურია . . . . .	119
ვახტანგ ღლონტი . . . . .	120
ავთანდილ დიასამიძე . . . . .	121
მ. კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი . . . . .	124

მანანა ძიძიშვილი . . . . .	125
მარინა მითაიშვილი . . . . .	128
ჩიტო ომერაძე . . . . .	130
ლაშა ღლონტი . . . . .	134
ჯიმსონ გურგენიძე . . . . .	137
სიმონ ფუტკარაძე . . . . .	138
ამირან შლიკაშვილი . . . . .	140
ლევლას კომახიძე . . . . .	141
ნინო დავითაშვილი . . . . .	142
ალეკო ჩხარტიშვილი . . . . .	146
მანანა სულაბერიძე . . . . .	148
თენგიზ ცეცხლაშვილი . . . . .	150
<b>მუხრან კობალაძე</b> . . . . .	151
თენგიზ ცეცხლაშვილი . . . . .	158



რედაქტორი: ანზორ კუდბა

პროგრამისტი ანაიდა ავეტისიან

ოპერატორები: ნესტან და თინათინ ჯაიანები

ქალაქის ზომა 60X84  
ფიზიკური თაბახი 10,5-  
ტირაჟი 500 ც.  
01. 09. 2014 წ.

